

652 /  
1975 / 3

20136020  
300-200000000

The image shows a large, bold red letter 'K' on the left side of the page. A horizontal red bar extends from the top of the 'K' across the page. On this bar, the word 'СЛАВА' is written in black, blocky letters. The background is white.

1 9 7 5 6

ଅବସାନିତି

# ଫିଲ୍ମ୍

୩୦୧୯୦୧, ୩୬୩୫୫

୧. ପାଇଁବାଷପାଦ — ଲୋକ୍‌ଶେଷି	3
୨. ପାତାଲାହାରି — ଲୋଲା ମନେଶରଙ୍ଗା	9
୩. ପରିବର୍ତ୍ତନାରୀ — ମାତ୍ରମଧ୍ୟ ପା- ପାଶିଲୁ ପାତାଲାହାରି ଲୋକ୍‌ଶେଷି	20
୪. ପାରଶାରୋହ — ନିବା ପାଦଶିଳୀ ଫରନିକ୍‌କ୍ଲେବ୍	31

୨୧୯୩୩୩୦

୫. ପାତାଲାହାରିପାଦ — ସାଥିଲ୍ଲାରଙ୍ଗା	52
----------------------------------	----

୨୨୬୦୯୨୬୦

୧୩. ହାତାପାତାପାଦ — ଲୋକ୍‌ଶେଷି	
ପାତାଲାହାରିପାଦ ପାତାଲାହାରି ପାଦଶିଳୀ ପାତାଲାହାରି ପାତାଲାହାରି	64
୧୪. ହାତାପାତାପାଦ — ସାତିକ୍ଷଣାଲିଙ୍ଗ ପା- ତାପାତାପାଦ-ପାତାଲାହାରି ପାଦଶିଳୀ ପାତାଲାହାରି ପାତାଲାହାରି	71

୭୦୮୨୬୧୦୬ ମୋଟାପାଦିତ୍ୟ


୧୫. ପାତାଲାହାରିପାଦ — ପାଦଶିଳୀ ପାତାଲାହାରି	93
ପରିବର୍ତ୍ତନାରୀ „ପରିବର୍ତ୍ତନାରୀ“ 1975 ପାତାଲାହାରି ପାତାଲାହାରି ପାତାଲାହାରି	95

୨୩୧୬

ଲୋକ୍‌ଶେଷି-ପାତାଲାହାରି-ପାତାଲାହାରି ପାଦ  
ପାତାଲାହାରି-ପାତାଲାହାରି-ପାତାଲାହାରି  
ପାତାଲାହାରି

ପାତାଲାହାରି ପାତାଲାହାରି  
ପାତାଲାହାରି ପାତାଲାହାରି  
ପାତାଲାହାରି ପାତାଲାହାରି  
ପାତାଲାହାରି

୧୧୩୦୨୦ — 1975  
ମୋଟାପାଦିତ୍ୟ — ପାତାଲାହାରି



## ରେଧାକ୍ଷତିନାରାଜ । ୩. ଶବ୍ଦିନା

ସାର୍ବଦାକ୍ଷତିନାରାଜ । ୩. ଶବ୍ଦିନାରାଜ, ମ. ପାରିଶାନିଙ୍କ (ବ. ମୁ. ମନ୍ଦିରାନନ୍ଦ),  
ବ. ଲୋରିନା, ଅଲ୍. ହିଂଲେରିଶ୍ଵରିଲୀ, ଫର୍. କାଲିପାଶିରିଲୀ, ଫର୍. କାଲିପାଶିରିଲୀ.

ରେଧାକ୍ଷତିନାରାଜ । ୩. ଶବ୍ଦିନାରାଜ, ମନ୍ଦିରାନନ୍ଦ, ଏନ୍ଦ୍ରପ୍ରଦୀପ ନଂ ୨୧,  
ବ୍ୟୋମପାତ୍ରନଂ — ୩୩-୭୧.

କ୍ଷେତ୍ରମାତ୍ରରେ ୧୬.୧୨.୭୫ ଏକାର । କାର୍ଯ୍ୟକ୍ଷେତ୍ରରେ ୬ ଏକାର । କାର୍ଯ୍ୟକ୍ଷେତ୍ରରେ ୫ ଏକାର ।  
କାର୍ଯ୍ୟକ୍ଷେତ୍ରରେ ୫ ଏକାର । କାର୍ଯ୍ୟକ୍ଷେତ୍ରରେ ୫ ଏକାର । କାର୍ଯ୍ୟକ୍ଷେତ୍ରରେ ୫ ଏକାର ।

\* \* \*

ଶବ୍ଦିନାରାଜ । ୩. ଶବ୍ଦିନାରାଜ, ମନ୍ଦିରାନନ୍ଦ, ଏନ୍ଦ୍ରପ୍ରଦୀପ ନଂ ୨୧,  
ବ୍ୟୋମପାତ୍ରନଂ — ୩୩-୭୧।

ଶବ୍ଦିନାରାଜ । ୩. ଶବ୍ଦିନାରାଜ, ମନ୍ଦିରାନନ୍ଦ, ଏନ୍ଦ୍ରପ୍ରଦୀପ ନଂ ୨୧,

## ସୋଧାରଣ ପଲ୍ଲୀ

ମେ ରନ୍ଧ ଫଳେ ବୀପୁର, ଏହି ଶେରି କାତରିତ,  
ଦ୍ଵାରାତ୍ରାଶୀ, ଅଲାର ଦାଗଲାଥିଲେବୋଲି.  
ମିହିଦି ବୀପୁର, ମାଲିନ ଗନ୍ଧାରାବ୍ଦି,  
ରନ୍ଧା ଶେର ଶୁକ୍ରା ଅଲାର ମେଲାବ୍ଦି.

ମିହିଦା ରନ୍ଧ ବୀପୁର, ଶେରିପାଞ୍ଚିମାବ୍ଦି  
ତୋରିଲି ସିକ୍ଷେତିତ, ମହିତ ଦା ବାଲାକିତ,  
ପ୍ରବାହିଲି ବୀପୁର, ଦାମିନାକାବ୍ଦି,  
ବେର ମନ୍ଦିରିବଳାବ୍ଦା ଶ୍ରୀବା ଦାଶନାଶି.

ଗଠିଆ ବୀପୁର, ନିଜିତ ଗାଗିପାଲେବ୍ଦି,  
ଶାନ୍ତାତ୍ତ୍ଵ ରତ୍ନମାନ ପନ୍ଦିତ ଗ୍ରାୟବାର୍ଗେଶ,  
ତା ବୀପୁର, ତଙ୍ଗାଲିଶ ହାଗିବ୍ରାହମେବ୍ଦି  
ଶିଳାମିଳି ଶିଖିନିନିଦେଶ ଦା ଶିବାରାହେ.

ଦିଲ୍ଲୀରୀର ବୀପୁର, ନିଜେବ ମେହାଲରା  
ମେତକ୍ଷା, ରନ୍ଧ ମନ୍ଦିରିବ ଶେନ୍ଦ୍ରକ  
ମନ୍ଦିରିବ,  
ତୁମିତ ସିକ୍ଷେତିଲି ବୀପୁର, ଶେର ଗାରିଦା,  
ଶାମିପାତ୍ର ଶୁକ୍ରାତ୍ମେଶ ଶାର ବିଦିବିଦି.

ଉରତନ୍ତିଶାନି ବୀପୁର, ଗିରୀଶାର୍କେବ୍ଦି  
ଉରତେଶୀଶ ଦା ଉର୍ବରେନି ନିର୍ମିତାଲେବୀଶ,  
ଲ୍ରବିନି ରନ୍ଧ ବୀପୁର, ନିଜ ଦାମିଲେବ୍ଦି,  
ମନୀନାତ୍ରିରେବ୍ଦି କପଳାଶ ହେମି ଦାଲେବୀଶ.

କୋମାଲିଦି ବୀପୁର, ମୃକ୍ଷେଲି କର୍ମବିନ୍ଦିତା,  
କୁରିନ୍ଦି ଗାସିବାନିଦି ଶ୍ରୀକର୍ମିତା ଲେଲେଖି,

იქნებ ჩვენ ღმერთსაც მეტად  
მოვწონვართ  
სხვა პლანეტების სიცოცხლეებზე.



შრომა რომ ვიყო მკლავს დავღალავდი  
და რას შევჭმნიდი შენთვის ვინ იცის,  
რომ მომერჩინა რამდენ ღალატით  
ნაიარევი შენი სანდისი.

იყავი ჩემთან, არ მიმატოვო,  
ვერავინ შეძლოს ჩვენი გაყოფა,  
შენ, მოგიზგიზე სულის ატომო,  
გადამინათე ყოფნა-არყოფნა.

### ს 3 ლ პ

თუ ჩემი გემი საღმე შეჩერდა,  
მაინც მიმიყვანს უამთა ხომალდი,  
მე იმ კუნძულის აღქმულ გორამდი,  
საღაც ფიქრების ჭრელი კენჭებით  
ჩემთა იმედთა ყორეს ვყორავდი.

საღაც დავტოვე ნორჩი ცისკრების  
განთიადებად შლილი განგაში,  
საღაც ვამბობდი: თუ კი ვიქნები,  
ცხოვრების ჭკვიან ფურცელს გადავშლი.

მიმიყვანს, მჯერა, ვიცი მიმიყვანს  
გემი სანატრელ მყულრო ყურემდი,  
საღაც ცრემლითაც მითქვამს — „კი მიყვარს“,  
და ცაჟე მიმდნარ ნისლს გავყურებდი.

საღაც ბავშვები. — მე და დღე ჩემი,  
 ბუქარში ფიჩხთან ერთად გბოლავდით,  
 საღაც ფიქრების ჭრელი კენჭებით  
 ჩემთა იმედთა ყორეს ვყორავდი.

## მიღრინავდნენ ჭერობი

მიღრინავდნენ წეროები, —  
 მწერივი ფრთოსან მწედართა,  
 ატირებდა ქარი ყავარს,  
 ჭერში წვეთი წვეთავდა,  
 ფოთლებს ჰელავდა შემოდგომა...  
 ამას ყველა წედავდა,  
 მავრამ ყველას არ შეეძლო  
 ამის გამო ედარდა.

ვისაც უშვარს სიყვარული,  
 სიმართლე და სიკეთვა,

ვინაც წედავს ჩიტი ხეზე  
 ბუდეს როგორ იკეთებს,  
 ვისაც ალლობს გაზაფხულის  
 სინათლე და სინედლე,  
 იმან იცის ეს წეები  
 მოისხამენ იმედებს.

ირგვლივ ზოგჯერ ქვითინია,  
 ზოგჯერ ქვებიც მღერიან.  
 ვაი, იმას, ვინც მუდამყამ  
 მხოლოდ ბედნიერია.

\* \* \*

მიყვარს სმა წინანდალის,  
 უფრო მიყვარს მანავი,  
 ჩხავერი კი ყველას ჯობს,  
 რაა დასამალავი.

ყველაფერს მირჩევნია ჩემი ყავრის კარავი,  
 მისი ჭერის დირე ვარ, ფუძე მისი ბალავრის.  
 მისი სევდის მთქმელი ვარ,  
 მისი თბილი სალამის,

ნაფვრის ასრულება ვარ,  
 ერთადერთის, მთავარის;

მეზავრი უკვე გავლილის და იმ გადასავალის უბის მიზანი  
სადაც მელის ხიფათი მრავალი და მრავალი.  
მაგრამ უფრო ლამაზი ქვეყანაზე რა არის, —  
თუ ხარ მცველი სიცოცხლის და წინაპრის სამარის.  
მჯერა! ეს დღე ჩემსავით არ უყვარდა არავის.  
თუ არ გიყვარს ვერც უმღერ,  
რაა დასამალავი.

## ც ხ მ ო რ ი ს ი

პატარა თანასოფლელებს

აქ შემომხვდა მზე პირველად,  
სხივით სხივზე დართული,  
პირველი გზა დავინახე, ბორბალი და მავთული.

ამ კერასთან ამიღია სადლეგრძელო პირველი,  
აქ მიგრძენია მეგობრული გული — გულთამხილვილი.

მომეჩვია აქ პირველად  
სიტყვა ხამი, უხეში  
და შევებით ორივენი აქვე ლექსის უღელში,

რათა მეთქვა: მე ამ მთების  
შვილი ვარ და ბედი ვარ,  
ამ ქოხების ხმით მემღერა,  
ტქივილებით მეტირა.

აქ მე გეგელიძეებთან, ცხმორისთან, ახოსთან,  
ღარდა-ღურდა ღელიპირებს  
ისევ ისე ვახსოვარ.

გამოქლექილ სახელოებს სევდის ძაფით ვკერავდი,  
თვალებს წიგნით ჩავითბობდი,  
ყელს კი — ნაცარკვერათი.

აქ ჩემს ახლადგამოწვართულ ქართველობას ელოდა  
ბევრი თეთრი გაზაფხული,  
ბევრი მწიფე რთველობა.

საყვარელო პატარებო,  
შუათნებო, დიდებო!  
ამ სიცოცხლის დღენი ბედმა სადაც უნდა გვითენოს,

იმ მთა-ბარის შუქი ვლოცოთ,  
რომ აყვავდა აკვანთან,  
ტკბილი მისი მოგონება  
ვერაფერმა წაგვართვას.

## მ ე ს ხ ე თ ი ბ უ ლ შ ი

ეგ სისტლისფერი შენი ყვავილი  
გულს მომიცხუნე, ჩემო მესხეთო,  
ქვაც მეუბნება, აქ რომ გავივლი,  
სიმღერა ჩემგან დაისესხეთო.

მკერდგათელილი, ვაშმობალთული  
ბედს შესცემოდი მწუხარ თვალებში  
და ვერ გარჩენდა არაქართული  
სიტყვა, ან ლოცვა ანდა ალერისი.

გადაივიწყე ცრემლი და ოხვრა,  
მაგრამ გზას მაინც ვინ აიოლებს,  
გამჩინევ სხეულზე იმ ძველ, ამომწმარ  
ვაზთა ტერასებს, როგორც ჭრილობებს.

გიქებ სიფხიზლეს, ჩემო მესხეთო,  
გჭირია? ღუშმანს კვლავ შევაკვდებით.  
დღეს აჭარაშიც, უნდა შეხედო,  
როგორ ითლება შენი აკვნები,

შვილებს მაღლიან მარჯვენს უფასებ,  
სიყვარულს შენი დამცველი,

უფრო გაბრწყინდეს ქართულ სუფრაზე,  
მესხეთო, შენი ნაყოფ-ნაწველი.



ისე ტკბილია შენი დანახვა,  
კიდევ მრავალი მოვა მგოსანი,  
რათა სიმღერის სხივზე ასწას  
შენი დღეების კრიალოსანი.

იმედი ჩემგან დაისესხეთო,  
მეტყვიან ქვებიც, აյ რომ გავივლი,  
მკერდზე მესროლე, ჩემო მესხეთო,  
ეგ სისხლისფერი შენი ყვავილი.

## ვიქრები სასაფლაოს შესასვლელთან

ჩამოლვარულა მზე — ოქროს ლავა,  
შესანდობარი ყანწით ილევა,  
ადგას იმხელა გრანიტი საფლავს,  
მგლოვარისაც ქვეშევეშ გაგელიშება.

სამარიდანაც დღეს ბევრი გვიშლის,  
უამი ცოცხლებსაც ცოდვას აბრალებს, —  
შარმარილოთა ტლანქი სიშიშვლე  
ჩანს სირცხვილივით ზოგ-ზოგ საფლავზე.

ჩვენ გვყვავდა მეფეც, გმირიც, მგოსანიც  
ერისთვის ტანჯვის ბედით ვნებული,  
სიცოცხლე განვლეს პატიოსანი,  
სიკვდილშიც დარჩენენ მოკრძალებულნი.

შენ, დღევანდელს რომ ქმნი და პატრონობ,  
მომსვალს ღირსი უნდა უმზადო,  
ყოველ საჭმეში ძეგლად ჩატოვო  
გზა სინდისივით სუფთა, უზაღო.

## სერხან ქათელავი

### დ ი ლ კ

ამას წინათ ერთი უცნაური წერილი მივიღე. სტუდენტობისდროონდე-  
ლი მეგობარი მწერდა:

— ნეტი, როგორ ხარ ახლა, გონილ, ჩემო დიდი ხნის უნახვო  
მეგობარო! რამდენჯერ გამახსენდება შენი გრძელი ცხვირი და მომქნატ-  
რება შენი გურული იუმრი — უწყისარი, უბოროტო ხურობა, რითაც  
თავის თავსაც და სხვებსაც განუტრიევლად აქილიერდი. სხვაც ბევრი რამ  
მახსოვს მაშინდელი, მაგრამ ყველაზე მშირად მაინც ჩვენი ლიტერატუ-  
რული პაექტონმები მაყონდება, რომელთაც მუდამ ერთნაირად ვიწყებდით  
და არასოდეს კი არ ვამთავრებდით.

მე, ხომ გახსოვს ლიტერატურის რა თავგამოდებული ქომაგიც ვიყა-  
ვი, წაუკითხავს არაფერს გავუშეებდი და ყოველ წიგნში — რომანში, მო-  
თხოვაში და თვით ლირიკულ ლექსებშიც კი ცხოვრებისეულ სიმართლეს  
ვხედავდი. ლიტერატურას ჩემზე ნაკლებად არც შენ კითხულობდი, მავ-  
რაც თითქოს იმიტომ, რომ დაგეცინა და ვაგებიაზრუებინა. კითხულობდი  
და თან ცხვირში ისე ქსიტინებდი, თითქოს სტრიქონებიდან უსიამის სუნი  
გცემდა. ხოლო როცა დამთავრებდი, წიგნს ხელუაულმა გადაისროდი და  
საწილზე გულამია გაშოტილი აგდებით იტყოდი:

— საოცარია, საკვირველია... როგორ უყრიან თავს ამდენ სისულე-  
ლეს? რისთვის იყვლეტენ ტვინს?

შე კი, პირიქით, წიგნის მეტი არაფერი მწამდა. რეალური ცხოვრება  
ჩემთვის მხოლოდ წიგნებში არსებობდა. სხვა ცხოვრებას არ ვიცნობდი  
და თავიც სულ წიგნიერი ამბებით მქონდა გამოტენილი. უბრალო ამზანა-  
გურ საუბარშიც კი წიგნებიდან ამოკრეფილი ფრაზებით ვმეტყველებდი.

ამით შაშის ძალიანაც ვამაყობდი და ის კი არ ვიცოდი, რომ სულ ერთხა—  
ვად წიგნებით ხედვა ზოგჯერ უწიგნურობაზე უარესი ყოფილა.

და აი, ერთხელ...

მშ დილასაც, ჩვეულებრივ, გამეღვიძა თუ არა, მაშინვე გუშინ დაწ—  
ყებულ წიგნს გადავსწვდი, მაგიდაზე რომ მედო, თავთით, და ჩანიშნულ  
გვერდზე გადავშალე. კითხვამ ჩვეულებრივ შემიყოლია და თანდათან ისე  
გაძიტაცა, რომ ინსტიტუტში წასვლა გადამავიწყდა. თავი რომ ავწიე,  
უკვე ათი სრულდებოდა. ახლადა გამახსენდა, რომ დღეს, ცრრა საათზე  
სპეციალობაში ჩათვლა უნდა მიმეორ. — დასწუვევლოს ღმერთმა, რა დრო  
გასულა, ე, ბიჭი, ჩქარა! — წამოვიძახე საკმაოდ წმიქმალლა, საბანი გადა—  
ვიძრე და პირსაბანზე გავვარდი.

ჩემ შემოსვლამდე შენც გაგლვიძებოდა, ბალიშს იდაყვით დაყრდნო—  
ბოდი და თვალებს იუშვნეტდი. ალბათ ჩემიმა წამოძახილმა გაგაღვიძა,  
რადგან შემოსვლისთანავე უკმაყოფილოდ შემეკითხე:

— რა იყო, რაზე ყვიროდი?

— რაღა რა იყო, ჩათვლაზე დამიგვიანების-მეტქი, — გითხარი და ჩაკ—  
მას შევუდექი. — წიგნს ვკითხულობდი და აი... სულ გადამავიწყდა. თა—  
ნაც დღეს უკანასკნელი ვადა მაქვს.

— წიგნის გულისთვის რა თავს იღუპავდი, ბიჭი, მერე წავეჭითხა.

— აბა, რომ ვეღარ მოვწყდი...

— ახალია?

— ეი.

— თანამედროვეა?

— ეი. და ისეთი კარგია, ისეთი, რომ... პირდაპირ ბრწყინვალეა.

— მაინც რით არის ასეთი ბრწყინვალე? — ბალიში იღლიის ჭვეშ  
ამოიდე, თვალები მოჭუტე და „ასეთი ბრწყინვალე“ როგორდაც გაგრძე—  
ლებულად და ტკეპნით წარმოსთქვი. მე, რა თქმა უნდა, ამას უმალ მიგიხ—  
ვდი და ცოტა არ იყოს უკმერხად და წმიქმალლაც გიპასუხე:

— რითი და, იმითი, რომ დახატულია ცხოვრებისეული სურათი,  
მართალი, რეალური სურათი! გაოგე?

— ცხოვრებისეული მართალი სურათი? — უნდობლად ჩაიცინე შენ  
და უკვე საპაეჭროდ მოემზადე — ბალიში შემიმაღლე და თვითონაც ზევით  
ამოიწიე, მაგრამ მე აღარ მოგისმინე. კარგად ვიცოდი, ამის შემდეგ რა—  
საც შეტყოდი — ეს არაერთხელ მქონდა მოსმენილი და ვიცოდი: ცხოვ—  
რება ისეთი უკიდევანო რამ არის, რომ მას წიგნში ვერავინ ჩატევს, და  
მაშმასადამე, ვერც მართალ სურათს ვინმე დახატავს, რომ იგი, ცხოვრება,  
— მით უფრო ჩვენი, დღევანდელი — შეუჩერებლად მიჰქერის წინ, კოს—  
მოსური სისწრაფით და მისი კვალდაკვალ დევნა ან გადასწრება მხოლოდ  
გენიოსთა ხევდრია და გენიოსები კი ჩვენს ლარიბ საუკუნეს აღარ ჰყავს.  
რომ ცხოვრებაში სულ სხვა რაღაც ხდება, ხოლო წიგნებში დახატული

კახოვრება წიგნებშივე რჩება, რომ... ერთი სიტყვით გააბატდი მატუოჭვენი ისავით, — რა ლმერთმანი ენაზე ჭავლი მოგედებოდა და მე კავშირის არ მქონდა. საჩქაროდ წამოვკრიფე მაგიდიდან სემინარის რვეულები და კარი გავიჯახუნე.

ივანზე შევდექი და მამადავითის მთას გავხედე. მეჩქარებოდა, მიგრამ მთაწმინდა ისეთი ლამაზი ჩანდა ცის ლაუვარდ ფონზე, რომ ოვალი კარგა ხასს ვერ მოვწყვიტე. ნუშისა და ტყემლის თეთრ-წითელი ყვავილებით შეფიფქებული და დილის მზით აფერადებული ცადაზიდული სატელვ-ვიზიო ანით იგი ლურჯ ზღვაში შეცურებულ და საზემოდ მორთულ უზარმაზარ ხომალდს პგავდა, თითქოს უსასრულობისაკენ მიირწეოდა და ძირს დაფენილი აფუსფუსებული ქალაქიც თან მიჰკონდა.

კიბეზე ქუსლების კაფუნით ვიღაც ამოდიოდა. როგორც იქნა, მოგრძივიტე თვალი მთაწმინდას და მეც კიბისაკენ შევმოიტანდი. შევბრუნდი, მაგრამ ფეხი წინ ვეღარ წავდგი: კიბეზე უცნობი ქალიშვილის შემჭრთალ, ფართოდ გახელილ თვალებს წავაწყდი, და ჩემიდაუნებურად შევდექა. ის თვალები დღესაც ცოცხლად მახსოვს და ალბათ სიყვდილამდე ვერც დავივიწყებ. მრგვალ, სპილოსძვლისფერ სახეზე ლერწმის ტევრით მოჩრდილულ ორ უძირო ტბას პგავდნენ, — უძიროსა და კამერამას, როგორთა სილურმიდან თითქოს იმდროინდელი ლაუვარდი ცა შემომყურებდა, და შუქ-თან ერთად რაღაცნაირ სურნელსაც მაფრქვევდა. ჩვენი თვალები სწორედ მაშინ შეხედნენ ერთმანეთს, როცა კიბის უკანასკნელ საფეხურზე შემობიგა, აზიდული მექრდი როგორლაც ზომაზე მეტად წინ წაგდებული ამოიტანა ზევით და თვალები ხანგრძლივად და მოლოდინით მომაშტერა: წამით თითქოს შედგა კიდეც, მერე ერთბაშად შემრუნდა და შერებზე დაფენილი ტალღოვანი თმის ახევითა და მოკლე აჩქარებული ნაბიჯებით კორპუსის ბნელ დერეფანში გაუჩინარდა.

რა დამეტართა იმ წუთში, ახლაც არ ვიცი, — გულში რაღაც უცნაურ-მა ურუოლამ დამიარა და მთელი ტანით ამათრთოლა. განა არა, ასეთი რამ წინათაც მომსვლია, — ერთ შემოხედვას ბევრჯერ ავუფორიაქებივაზ, ჭაბუკის გულს ბევრი კი არ უნდა, მაგრამ ეს სულ სხვა რაღაც იყო, — ასეთი თვალები ჭერ არსად მენარა. მათი ნათელი თითქოს გულში ჩამორჩა და თავდაფიტების ნელ-თბილ ბურანში გამხვდა. ვერც წინ წასვლას ვახერხებდი, ვერც უკან დაბრუნებას, რეტდასმულივით ვიდექი კიბის თავზე დადერეფნის სილრმიდან მონადენ მოკლე ნაბიჯების თანაბარ კაკუნს ვისმენდი. ნაბიჯების ხმა თანდათან მშორდებოდა, თანდათან ყრუდ ისმოდა და ბოლოს სულაც შეწყდა.

როგორლაც უცხად შეწყდა, მოულოდნელად და დერეფანში დუმილი და უძრაობა ჩამოდგა. ამ მოულოდნელობამ უარესად დამაბნია, დამაბნია, შემაშინა კიდეც: ნაბიჯების ხმა უკანასკნელი სტი იყო, როგორც ერთგვარ სიახლოვეს მაგრძნობინებდა, ახლა კი ეს უკანასკნელი ძაფიც გამი-

შეუდა და თვალშინ უსასრულო სიშორე გამეჭიმა. რომ რაღაც ფასტკარგავდი, რაღაც ძალიან დიდისა და სანუკვარს და გული შემოუტმი დაუფიქრებლად მოვწყდი აფგილს და ნახევრად ბნელ დერეფანში შევ-ვარდი. რად შევბრუნდი უკან? რა მინდოდა? ვის მივსდევდი ან რატომ ვჩეკარობდი? — არ ვიცი. მხოლოდ ის მასტოვდა, რომ ის იქით წავიდა და მაშესადამე, მეც იქით უნდა წავსულიყავი... სხვა გზა არ მქონდა.

შეუა კიბის ბაქანზე შევდექი და ქრისტი და ვიწრო დერეფანი თავიდან ბოლომდე დავზევრე, მაგრამ დერეფანში კაცის ჭიანება არ ჩანდა და არც ჩამიჩუმი ისმოდა. სტუდენტები ამ ღროვისათვის წამსვლელები უკვე წა-სულები იყვნენ, ზოლო ვისაც დილით ლექცია ან გამოცდა არ ჰქონდა, ჯერ კიდევ ისევ ვძინათ, ან ეღვიძათ, მაგრამ, როგორც წესი, აღვიშა არ ჩეარობდნენ.

— ვინ იყო? ვისთან მოვიდა? რომელ ოთახში შევიდა? — ვტურჩულებილი ჩემთვის და ყველა კარს დაძაბული მოლოდინით ვაშტერდებოდი. ორ ყრუ კედელს შორის უმოქმედოდ დგომა თანდათან უტანელი შეიქნა. დერეფანის სივიწროვე თითქოს მახრჩობდა — ყელში მიჭერდა და სუნიქვას მიინელებდა, ზოლო გული ბუდიდან ამოვარდნას ლაპობდა. მოძრაობა, მოქმედება მინდოდა, — უმისამართოდ სირბილი და ყვირილი, მაგრამ აფგილიდან ვერ ვიძევროდი. — გამოვა, ერთ-ერთი კარიდან უსათუოდ გამოვა, — ვიმეორებდი დაუსრულებლად და სულ პაწია ხმაურზეც ზაფანგში გაბმული ნაღირიერი ვერთებოდი.

ვავიდა ერთი საათი, საათნახევარი, კორპუსი ახმაურდა: სტუდენტებმა გაიღვიძეს და ადგნენ, ზოგი შედას, ზოგი გამოიდის, მაგრამ ის არცერთი კარიდან არ გამოჩენილა. დგომა და ლოდინი უკვე მთლად გაუსაძლოი გახდა, იმედი სანახევროდ გადამეწურა და სპონტარკვეთილება მომებალა. უკვე აღარ ვიცოდი, რა მექნა, — კიდევ ვმდგარიყვავი და მეცადა, თუ წავსულიყვავი. ვხედავდი, რომ დგომა და ლოდინი არაფერს მაძლევდა, მაგრამ ვერც ხელის ჩაქნევა და წასვლა გადამეწყვიტა — სანამ ის აქ მეგულებოდა, არსად წასვლა არ შემეძლო. ვმფოთავდი, სავარეტს სიგარეტზე ვეწეოდი და ხელში ნაჭერ რვეულებს ნერვიულად ვჭმუნიდი.

— ესენი მაინც დავყარო! — ვთქვი გულმოსულმა და კარი შემოვაღე. შენ ასევ ჩავძინებოდა და ჩემი შემოსვლა არ გაგიგა, კედლისაკენ ვადა-ბრუნებული მშეიდად ფშვინავდი. მაგიდაზე დახორავებულ წიგნებში ყაზბეგის მექუთე ტომი შევნიშნე, უცბად გამახსენდა, რომ იგი დიდი ხნის გამოტანილი მქონდა ბიბლიოთეკიდან და მისი დაბრუნება რატომლაც სწორებ ახლა მოვინდომე. წიგნი ავიღე და კარი ნელა გავიხურე.

პიბლიოთეკა იქვე იყო, ჩვენი ოთახის გვერდით, მაგრამ არ მახსოვს რომ წიგნი როდესმე ღროზე დამებრუნებინოს. ამის გამო თავს მუდაშ დამნაშავედ ვგრძნობდი და ბიბლიოთეკარ ქალთან, დეიდა შაროსთან ყოველთვის თავდალუნული მივდიოდი. დეიდა მარო ერთხანოპა მტუქსავ-



და და ამოწერით მემუქრებოდა, მაგრამ ჩემს უწესრიგობას თავითათხე მიკერძო ეჩვია, ალბათ, ჩხებიც მობეჭრდა, მხოლოდ საყვედურით ასაღდაღაშედავდა და შემწყნარებლურად გაიღიმებდა, თითქოს ამით იმის თქმა სურდა, ომშ სულერთისა, შენზე მაინც არაფრი სჭრისო.

მაშინაც ასე მივადექი თავდაბრილი, და როგორც ჩვეულებად შენდა, წიგნიც უხმოდ დავუდე მაგიდაზე. დეიდა მარომაც ჩვეულებრივ აპხედ-დამხედა და სტუდბილეთი გამომიწოდა. მხოლოდ ახლადა მივწვდი, რომ ჩემი რვეულები ისევ ხელში მეჭირა, იმავ წამს ჩათვლაც ისევ გამახსენდა, მაგრამ ამაზე ოდნავაც აღარ შეგწუხებულვარ, რაღაც უნდებური წამეკიდა, თითქოს დავჩლუნგდი, არაფრის სურვილი აღარ შემჩრჩა და მოვალეობის გრძნობაც მთლიანად დავკარგე. — ჯარაბას, რაც იქნება, იქნება! — ჩაგიბურტყუნე ჯავრისად და გულის გადასაყოლებლად დეიდა მაროს ილუსტრირებული უურნალები გამოვართვი. ასევე თავჩალუნული გავბრუნდი უკან და ფანჯრის პირას, ცალკე მაგიდას მივუჭერი.

ბიბლიოთეკაში კანტიკუნტად უკვე შემოსულიყვნენ სტუდენტები, აქედან გაზეთების ჟარიშური მესმოდა, იქიდან — კალმის წრიპინი, უილაცა ჩემს პირდაპირ, მეორე თუ მესამე მაგიდაზე უურნალს ფურცლაფდა.

უცბად ვიგრძენი, რომ ის ვიღაცა, ჩემს პირდაპირ უურნალს რომ ფურცლავდა, დაუინებით მიმზერდა, ავიხედე და, მართლაც — ისევ ის ცაშავით უძირო თვალები და სპილოსტვლისფერი მრგვალი სახე დაკინჩხე. მარტიდმარტო იჩდა და ისევ გაკვირვებულად მიმზერდა, მაგრამ წელანდელივით ხანგრძლივად აღარ დამაშტერდა, შეხედვისთანავე ამარიდა თვალი და გაშლილ უურნალზე დაახარა.

სიხარულისაგან კინაღამ ხმამაღლა ვიყვირე. მე უკვე დაკარგულად ვთვლიდი, ხოლო აქ ნახვას სულ არ მოველოდი, — აქ ჩვენს კორპუსში მცხოვრები სტუდენტების მეტი არავინ შემოღიოთა. „ვინ არს? რატომ შემოვიდა აქ? რატომ ზის ასე ღოდხანს?“ — ვეკითხებოდი ჩემ თავს, მაგრამ ქალის განზრახვისა და ჩანაფიქრის ამოცნობა არც ისეთი აღვილია. სიმართლე რომ ითქვას, არც ვცდილობდი, რაში მშირდებოდა? ჩემთვის მთავარი ის იყო, რომ არ დავკარგე და ისევ შევხვდი, და შევხვდი სწორედ მაშინ, როცა სულაც აღარ მოველოდი. ეს მოულოდნელობა პედის იდუმალ წყალობად მივიჩნიე და გული კვლავ იმედითა და სასორებით ამევსო. ის წელანდელი შეხვედრაც ამ მოულოდნელობით აქსენი და ბედის მაგიური ძალა საბოლოოდ ვიზრმუნე. დილა თითქოს ხელახლა გამითენდა და მზემაც ისევ სასიკეთოდ გამილიმა, — მორცხვად შემოიჭყიტა ფანჯრაში და მაგიდის კუთხეს ოქროსფერი წინწელები დააფრქვია, თითქოს ფანჯრის პირდაპირ მდგარი ჭადრის ნამშეუმშრალი ფოთლებიც ჩემს იმედისა და სიხარულს იზიარებდნენ — ნიავის წამოქროლებაზე ნელა ირჩეოდნენ და ერთობლივი შრიალით რაღაც გამამხნევებელს ჩამჩრერჩულებდნენ.

უურნალს აუჩქარებლად ვფურცლავდი და უცნობი ქალიშვილისაკენ უურულ მზერის ვაპარებდი. რამდენჯერმე ქსეთი ფარული გამოხტოვთ იმი-შაც დავიჭირე. ამან მოლად თავბრუ დამახვია, უკვე ჩემიც ვთვლიდი და მხოლოდ იმსალი ველოდი, როდის მორჩებოდა უურნალების გადათვალი-ერებას, როდის გავიდოდა აქედან, რომ გავყოლოდი და გული გადამეშა-ლი. უურნალში ყასიდად ვიყურებოდი და გულში სათქმელს ვალაგებდი. რაღაც თავისებური მინდოდა, უფრო შთამიშეჲთავი, რომ შაბლონი არ გა-მომსვლოდა და პირველი სიტყვისთანავე მომენტიდა. ბევრი რამ წუკით-ხულიდანაც გავიხსენე, მაგრამ ყოველმხრივ სრული და მოსაწონი ვერა-ფერი მოვითიქრე. ეს ოხერი, მესისიერებაც სწორედ მაშინ გვლალატობს, როცა ყველაზე მეტად გვჭირდება.

ამ გასაჭირში რომ ვიყავი, უურნალის ერთ-ერთ გვერდზე ფერად სათაურის წავაწყდი: „ძალა სიყვარულისა“. სათაურის გვერდით ზელი-ხელჩაჭადებული გოგო და ბიჭი ეხატნენ. დასაწყისი ახლაც ზეპირდ მა-ხსოვს: „სიყვარულს დიდი მჭევრმეტყველება არ უნდა, სათქმელს ივი უფრო დუმილით ამბობს და გულისწადილს უკეთაც გამოხატავს“. — ეს სიტყვები საჩემოდ მივიჩნიე და პირველსავე სტრიქონებს წყალწალებუ-ლივით ჩავეჭიდ.

მოთხრობეში აღწერილი ამბავი მართლაც რაღაცით ჰგავდა ჩემისას. სოფლელი ბიჭი გამოცდების ჩასაბარებლად ჩამოდის თბილისში და ვი-ლაც შორეული ნათესავის სახლში დაბინავდება. სახლის ბინადარი ქალები და გოგოები, როგორც ეს თბილისის ძეველი სახლების ბინადართ სჩვევი-ათ, მთელ დღეებს ეზოში, ბებერი თუთის ქვეშ ატარებენ, — ხელსაქმო-ბენ, საუბრობენ, კისკისებენ. სოფლელ ბიჭს არავითარ ყურადღებას არ აქცევენ, თითქოს ვერც ამჩნევენ, ხოლო თვითონ სიმორცხვის გამო მათ-კენ გასედვას ვერ ბედივს.

მაგრამ ერთ საღამოს, ინსტიტუტიდან დაბრუნებულს, ჭიშკარში ერ-თი შავტუხა, წვრილ-მაღალი და ოვალებბრიალა გოგო შეეფეთა. ბიჭი თავდალუნული მიღიოდა, გოგო გამორჩოდა და შუბლებით კინალამ ერთმანეთს დაეჯახნენ. ზედ ზღუბლზე შეიყარენ, ბიჭი გარედან, გოგო შიგნიდან და ერთმანეთს მონუსხულივით შეაშტერდნენ. გონს მოსვლა და განძძრევა კარგა ხანს ვერცერთმა ვერ შესძლო. ბოლოს ისევ გოგომ იმარჯვე — წარბი შეკრა და მბრძანებლური სახით გასასვლელისაკენ გაი-წია. ბიჭმა გზა მისცა და გვერდით მიღვა, გოგომ ამაყად, ყელმოლერებით ჩაუარა და სწორი გაშლილი თმა მხრებზე გადაიფინა. ბიჭმა მალული მზე-რა გაყოლა, გოგომც მოიხედა და მათი თეალები კვლავ შეხვდნენ ერთ-მანეთს. ბიჭმა თავი დალუნა, გოგომ ხმამაღლა გადაიკისისა და სახლის კუთხეს მიეფარა.

ამ წუთიდან, როგორც მოთხრობებში წერია ჩოლმე, ბიჭსა და გოგოს შორის რაღაც იღუმაღლი კავშირი დამყარდა, თითქოს უხილავი ძაფი გაიბა

და ყველა მათი სურვილი, ფიქრი, ოცნება და მოქმედება ამ უჩინერ ძალებისა იყინძა. გარეგნულად თვითონ არაფერს იმჩნევდნენ — გულის ნადებს არაფრით ამეღავნებდნენ, მაგრამ სიყვარულს თავისი გააქცეს: ყოველი ფარული შეხედვა, უნებლივი შეკრთომა თუ განგებ თვალის არიდება მათს კავშირ-ურთიერთობას სულ უფრო ამძაფრებს და შესამჩნევს, დასანახსა და სარწმუნოს ხდის.

სამკითხველოში თანდათან მოტშირდა სტუდენტობის შემოდენა. ყველა ახლად შემოსული თვალებით ჭამდა უცხო, ლამაზ ქალიშვილს, მაგრამ ის ზედაც არავის უყურებდა, დროდადრო თუ ასწევდა თავს უურნალებიდან და მაშინაც მე გამომზედავდა. ამით მე უზომოდ ვამყობდი, სტუდენტი ბიჭების ხარბ, აღტაცებულ მზერს დამცინავი ღიმილით ვუთვალვალებდი და მოჩვენებითი წარმატებით თავბრუდახვეული გულში უკვე გამარჯვებას ვზეომობდი.

მოთხრობა თითქმის გავანახევრე, რაც უფრო ვუახლოვდებოდი და-სასრულს, მასში მით უფრო მეტ სიახლოეს ვპოულობდი. იგი თითქოს საგანგებოდ ჩემზე იყო დაწერილი, უცნობი ქალ-ვაჟის ურთიერთობა სწორედ ისე წარიმართა, როგორც მინდოდა და მოველოდი. ვართალია, გოგო და ბიჭი ჯერ ისევ უბრად არან, მაგრამ სათქმელი უთქმელადაც ითქვა. ეზოს ბინადარმა ქალებმა უკვე ყველაფერი იციან და დასასრულ-საც შესაფერს წინასწარმეტყველებენ. „პარი თითქოს ელექტრონით და-იმუსტა და მთელი ეზო უცნაურად გაყუჩდა: ხეები, კედლები, ფანჯრები და აიგნები მოლოდინად გადაიქცნენ და დათქმულ დასასრულს დაძაბული მღუმარებით მოელიან“. — ამ სტრიქონებში ჩემს თავს ვხედავდი, — ვიპოვი, აუცილებლად ვიპოვი საჭირო სიტყვას, — ვჩურჩულებდი იმედით და სიტყვებს კი არ ვკითხულობდი — თვალებით ვკრეფდი და მშიერივით გყლაბავდი.

მოთხრობა უკვე დასასრულს უახლოვდება, მხოლოდ ბოლო ფურცელი დამრჩა ჩასაყითხი. ქალიშვილს გაგხედე: ნიკაპი ზელის გულზე ჩამოეყრდნო და დაუინებით მაშტერდებოდა. მე რომ შევხედე, ისევ უურნალზე დაიხარა. გვერდით კიდევ ეწყო გადასაფურცლი უურნალები. „მოათვებს მათს გადასინჯვას და გავა... მეც გავყვები...“ — თვალები დავხუჭე, რომ უფრო კარგად წარმომელინა ჩვენი შეხვედრის სურათი და სათქმელიც დამელაგებინა... სამკითხველო დარბაზის ჩვეულებრივი ყრუ ხმაური თითქოს საიდანდაც შორიდან მესმის, ისევ შარიშურობს გაზეთები, წიგნისა და უურნალის ფურცლები, სკამები მორიდებით ბრაზუნობს, ვილაც დგება და მაგიდებს შორის ფეხაკრეფით მოაბიჯებს. ვიღაც დეიდა მარის ეჩურჩულება... კარები იღება და იხურება... ყველაფერი ეს თითქოს მეტმის და არც მესმის, ყურადღებას აღარაფერზე ვამახვდლებ, თვალდახუჭული და ნეტარი მოლოდინით გაბრუებული ჩემს ფერად ოცნებას მივსდევ და გონებაში სასურველ სურათებს ვხატავ: „იგი კვლავ ტანის მოხდენილი

რხევითა და მოკლე, სწორი ნაბიჯებით გაივლის დერეფანს, მეტად მატებს, უცები, თითქმის გვერდოგვერდ. იგი, როგორც წესი, ნაბიჯს აუჩქარებს, არც მე ჩამოვრჩები, მაგრამ დერეფანში არაფერს ვეტყვი... არც კიშეზე ვეტყვი, ეს ნამეტანი სულწასულობა გამომიერა და უხერხსულია... აჩქარებით შეიძლება საქმე გავაფურო კიდეც... მხოლოდ კიბის დასასრულს გავაჩერებ... მან, რა თქმა უნდა, იცის, რისთვისაც მივყვები და რის თქმისაც ვაპირებ, იცის და მოელის კიდეც, მაგრამ ამას არ დაიმჩნევს, მოსახვენებლად გაიღოცებს, ოდნავ განხე მიღება, თვალებს გაცვირვებულად მომავე-თებს და ნაძალადევი წყენით მეტყვის:

„— რა გნებავთ?!“

ამ მოულოდნელმა კითხვამ გამომატებიზლა და მომავონა, რომ საჭირო და აუცილებელი ჭერაც არაფერი მქონდა მოფრქრებული. „რა ვუთხრა?“ — ვკითხე ჩემს თავს და თვალები გავაჩილე და, რა თქმა უნდა, მაშინვე მისკენ გავიხედე, მაგრამ ის თავის აღგილზე აღარ იყო, უურნალებიც აელყებინა და ფანჯრის პირს მიღებული ცარიელი მავიდა გაძარცვულსა და მიტოვებულს დამსგვეხმდა.

უცმად თთქოს მეხი დამეცა, საბედნიეროდ მალე მოვეგე გომს. უეთიანივით წამოვგარდი და კარებს ვეცი. დერეფანი ორი ნატომით მოვათვე, ასევე ჩავირბინე კიბეც და ტრამგაი-ტროლეიბუსების გაჩერებაზე გავედი. სადისპეტჩეროსთან ჩამომდგარი ყველა ტრამგაი, ავტობუსი და ტროლეიბუსი დავზურე, მაგრამ ვერსად ვნახე. ერთხელ ტაქსების რიგშაც ავუარ-ჩავუარე — არც იქ ჩანდა, ისევ უკან გამოიყენებუნდი და რატომშაც ისევ კორპუსში შემოვედი. დერეფანი ამჯერად უკვე ფეხაცრეფით გავიარე და უველა კარს მივაყურადე, მაგრამ სანიშნო ვერსაიდან ვერაფერი ვავგონე. ასე გავედი ბოლომდე, სმენაგადარაჯებული, და ბოლო კიბით ისევ ძირს დავეში... მოკლედ რომ ვთქვა, ათ წუთში მოელი სტუდეალა-ქი რამდენჯერმე შემოვირბინე, არ დავტოვე არცერთი კუთხე-კუნძული, სადაც კი სტუდენტთა თავშესაყარი აღგილი მეგვლებოდა, — სამჯერ მარტო ქალთა საპარიკმახეროში შევიხედე, კლუბსა და სასადილოშიც შევედი, სპორტული მოედნებისაკენაც ჩავიარე, მაგრამ ამაოდ — ცამ ჩაყლა-პა თუ მძრამ, ვეღარაფერი ვავივე.

ამდა უკვე მთლიანად და საბოლოოდ გადამეტურა იმედი და სამოწარკვეთილებაც ისევ მომეძალა. მაგრამ სწორედ ამ დროს, როცა ხელი უნდა ჩამექნია და უკან წამოვსულიყავი, ისევ დავინახე — სტუდეალაქის ზედა ჭიშკართან გაჩერებაზე იდგა და აქეთ-იქით იყურებოდა.

თქმა რაღად უნდა, რომ მაშინვე მისკენ წავედი. მიახლოებისთანავე შინაგანი მოუსვენრობა შევნიშნე: დედას აცდენილ შელის ნუქრს ჰევდა და დოლრონი თვალებიც ისე შემომაფეთა — გაკვირვებულად და მომლოდინედ. ჩემმა დანახვამ ოდნავ თთქოს შეაკრთო, მაგრამ თავს ძალა დაატანა და ყელალერილმა გულგრილი მზერა უძოს მთას გაუშტერა.

უკეთეს დროს ვერც ვინატრებდი, მარტონი ვიყავით და გულის წარებულის სარულებაში ხელს აღარაფერი მიშლიდა. მაგრამ დაბრკოლებით არა ლა სწორედ ეს სიმარტოვე გამიხდა, შორის ხამოვდექი და მეც უძოს ბუჩქნარიან მთას გავხედე.

კარგა ხანს ვიდექით ასე — მომლოდინენი და მონუსტულნი: ერთმანეთს თვალს ვარიდებდით და ერთმანეთის მეტს კი ვერავის ვხედავდით.

ფართო გამზირზე ავტომანქანები მიმოქროდნენ. უცბად ერთმა რძის სფერმა „ვოლგამ“ გეზი მარჯვინ მომართა და ტროტუარის პირას, ზედ მის ცეხებშინ, მკვეთრი ღრუჟიალით დამუხტუჭდა. ძველი მარკის „ვოლგები“ მაშინ ახლად შემოდიოდა და თბილიში უფრო მსხვილი საქმოსნების გარდა ჯერ არავის ჰქონდა. ესეც ერთი მდ „ვოლგიანთაგანი“ ჩანდა. ოცდათხუთმეტიოდე წლის მსუქანი ახალგაზრდა კაცი იყო, ჭალარაშერთული ხუჭუჭი თმის კულულები მწითურ შუბლზე ჩამოშლოდა და ძალიან უხდებოდა. ღოშაქზე მარჯვინ გადმოწვა, ჭალიშვილს დაბლიდან ჩამტკბარად შემოსცინა და რაღაც უთხრა. ჭალიშვილმა ტუჩი უქმაყოფილოდ აიბზუა და ოდნავ გვერდზე შემობრუნდა. „ვოლგიანმა“ ეს აინურში არ ჩააგდო, — უკმერხობა არ ითაკილა, პირიქით, ღიმილს უმატა, ღოშაქზე უცრო გადმოწვა და საუბარი გაუბა.

ეს ნამდვილად ძველებურ რომანს ჰგავდა, უკვე სამნი გავხდით — ორი საინდი და ერთი მზეთუნახავი. ახლა არჩევანს თვითონ გადაწყვეტს, ვფიქრობდი გულში და სუნთქვაშეკრული ჩემს ხვედრს ველოდი.

ამასობაში ჩემი მეტოქე თავის საქმეს იკეთებდა. იგი მე სულ არ მამჩნევდა, ისევ ჭალიშვილს უცინდა და ელაპარაკებოდა. გოგოც თვალს კვლავ უქმეხად არიდებდა, — ხან გვერდზე გაისხედავდა, ხან მე გამომხედვდა.

„ვოლგის“ პატრონმა ბოლოს კარიც გაუღო და მანქანში ჩაჯდომა შესთავაზა. ცხადად გავიგონე, რაც უთხრა:

— დაბრძანდით... საითაც მეტყვით, იქით წაგიყვანთ! დაბრძანდით, ნუ გერიდებათ...

გოგოს ყოყმანი შეუდგა. ერთხელ კიდევ გამომხედა და ამჯერად ხანგრძლივადაც დამატებულდა, თითქოს მეკითხებოდა, — რა ვქნა, ჩავჯდე თუ არაო? მე ვიდექი და კვლავ მოლოდინით შევუტრებდი. გოგოს უცებ თითქოს ბრაზი წავკიდი, — თავი უქმაყოფილოდ გაიქნია და მანქანში კი არ ჩაჯდა, მერცხალივით მსუბუქად შეფრინდა.

ახლა კი მეც მოვეგე გონს, — ჰეჰე, მოიცათ! — რაღაც ამის მსგავსი ჩავილაპარაკე და „ვოლგისაკენ“ გავიწიე. მაგრამ მანქანა სწრაფად დაიძრა, წინ რომ გამიარა, გოგომ სარკმლიდან გამომხედა, ენა გამომიყო და პაწია თეთრი ხელი მოხდენილად დამიქნია. სახე რაღაც ჯიბრიანი აღტაცებით გაბადროდა. სხვა ვერაფერი შევამჩნიე, მანქანა მსუბუქად გასრიალდა სველ ასფალტზე და უკან ორი ჭრელი ზოლი გაიყოლა.

ისევ მომინდა უმისამართო ყვირილი და სირბილი, მაგრამ აღარაფოის  
თავი აღარ მქონდა. გულდამძიმებული და ფეხათრეული უკან გამოვტებული  
დი და ისევ ზიბლიოთეკაში შევედი, რომ დეიდა მაროსთვის ჟურნალები  
დამებრუნებინა და ჩემი რვეულებიც წამომეღო.

ჟურნალი როგორც დავტოვე მაგიდაზე გაშლილი, ისევვე დამხვდა.  
თუმცა უცნობი ქალ-ვაჟის ამბავი აღლა ოდნავაც აღარ მაინტერესებდა,  
მაგრამ ცნობისმოყვარეობამ წამძლია და დარჩენილი ფურცელი ბოლომ-  
დე ჩავიყითხე.

გოგო და ბიჭი, განგებ თუ შემთხვევით, ისევ ჭიშკრის ზღურბლზე  
შეიყარნენ და ერთიმეორეს კვლავ მონუსხულივით შეაშტერდნენ. ისევ  
საღამო ხანი იყო და ბიჭი ისევ ინსტიტუტიდან ბრუნდებოდა, ხოლო გო-  
გოს საგარეო კაბა ეცვა... დგანან და ერთმანეთს უსიტყვოდ შეპყურებენ.  
ბიჭს გული უთროის და მზერაში შიში და გაუბედაობა ემიჩნევა. გოგო კი  
კვლავ ჯიქურ შეპყურებს და თვალები სიანცის შუქით უბრწყინავს.

— რატომ მიყურებთ ასე? — ეკითხება ბოლოს.

ბიჭი უფრო იბნევა და გაჭირვებით ბუტბუტებს:

— მე? ჰო... არა, იღბათ...

— მე კინოში მივდივარ, — ამბობს გოგო, თითქოს სხვათაშორის  
და გვერდზე იხედება. ბიჭს ისევ ენა ებმება:

— ჰო... კინოში... კინოში კარგია.

— თუ გინდა, შენც წამოდი, — გოგო უცბად შენობით მიმართავს და  
ჯიქურ შეხედავს, — გინდა?

— მინდა! — ამბობს ბიჭი გაუბედავი ალფროვანებით და ერთმანე-  
ოში ჩალაგებული წიგნები და რვეულები ხელიდან ხელში გადააქვს.

გოგო მიუწვდა. — მე დაგიცდი, — უთხრა ნელი, მიბნედილი ხმით  
და ალექსილი სახე კვლავ გვერდზე წაიღო.

ბიჭს თითქოს ფრთები გამოესხა, ფრენით შევარდა თავის პატარა,  
ფანერისკედლებიან ოთახში, მეორე სართულზე ასასვლელი კიბის ქვეშ  
რომ იყო შემწყვდეული. წიგნები და რვეულები საწოლზე — ფიცრის ტა-  
ხტზე მოისროლა და თვალის დახამხამებს უმალ უკანვე გამოვარდა.

გოგო ჭიშკრის გასწორივ, მომიწნე სახლის კუთხესთან უცდიდა. ბიჭი  
მოკრძალებით მიუახლოვდა და ერთმანეთს შეთქმულებივით მრავალმნიშ-  
ვნელოვნად შესცინეს. ამ უტყვი, უსიტყვო ღიმილით საბოლოოდ დას-  
რულებ ყველაფერი და წყნარ, უხალხო ქუჩას უკვე ხელიხელჩაკიდებული  
გაფყვნენ.

მოთხრობა დაახლოებით ასე თავდებოდა: „ზურგიდან გორისპირის მი-  
სული მზე უღიმოდათ, ხოლო წინ, მოლურჯო ასფალტზე სიგრძივ გაწო-

ლილი თავიანთივე ჩრდილები მიუძღვიდათ, — თანაბარი და ერთმანეთს  
დატოლებული ჩრდილები, როგორც ორი პარალელური სწორი საზღვა,  
რომელებიც თუ ერთმანეთს არასოდეს გადაქვეთავენ, არც როდისმე გაიყ-  
რებიან”...

უურნალი დავხურე და სხვა უურნალებთან ერთად დეიდა მაროს და-  
ვუბრუნე. მოთხრობის ავ-კარგზე წინანდებურად აღარ დავფიქრებულვარ  
და არც იმის განსჯაში შევსულვარ, ლოგიური იყო თუ არა, ასეთი დასა-  
სრული. ნანახი და წაკითხული თავში დომხალივით ამერია. დეიდა მაროს  
სტუდბილეთი გამოვართვი, რვეულები იღლიაში ამოვიდე, კარი დუნედ  
გამოვიხურე და დათენთილი და თავბრუდახვეული ინსტიტუტში წავედი.

---

## მავთულზე გაბმული ფვეტები

ირგვლივ სინაზის ზეიმია  
 და ცის მშვიდობა,  
 ვუშზერ ბალახებს... და ბალახში  
 სიო მისტობავს.  
 რა სასწაული მშვენებაა,  
 რა ფერდიდობა,  
 ფოთოლთა მწვანე ათინათი,  
 მტევანთ ბინდობა,  
 ჩიტის ჭიგჭივი და მიმინოს  
 მარტი ფლიდობა...  
 მინდოდა სხვა რამ მშობლიური, კიდევ მინდოდა?!

\* \* \*

შემოათენდა ჩემს ოცნებას  
 იმედის კონკეთან,  
 მოწყდა ვარსკვლავი და ჩემს ღიმილს  
 კურცხალი მოწყდა,  
 ღირდა კი, ღირდა ამ სიზმარში  
 წუთისთვის მოცდა,  
 ღირდა კი, ღირდა კამათი და  
 თამაში დროსთან, —  
 ღაღაღყოფს ბაგე აღსარებით  
 შემკობილ ლოცვას,  
 აქ, ქაფურებით გაბრუებულ  
 იმედის კონკეთან...  
 მოწყდა ვარსკვლავი შორეული, ვარსკვლავი  
 მოწყდა...

\* \* \*

შევდივარ ტყეში...  
 და სიჩუმეს, როგორც გადიას,  
 კალთაში ვუდებ ჩემს ცოდვილ თავს  
 დილაადრიან.  
 ვხედავ, ტყეები ღრუბლებივით  
 ცაში დადიან,  
 შუბლზე წამისვამს ნამის მირონს  
 ჩემი გადია...  
 და ჩუმად, ჩუმად ჩამჩურჩულებს —  
 ესეც მადლია.  
 ეგერ ფოთლებში გულისხელა  
 ცეცხლი ანთია,  
 სიძლერა მიშვერს მწვანე ხელებს  
 ყველა ლანდიდან,  
 ჩიტები ფრთების ფართი-ფურთით  
 ოქროს ბარინიან.  
 მზეა! — ვიყვირებ.  
 წყნარად! — მეტყვის ჩემი გადია.  
 ვხედავ...  
 თანდათან ნადირები ტყიდან გადიან.

\* \* \*

თუ აპატიებ ჩემს პოეტურ წვას  
 თავხედობას?  
 მონანიება სულს არ უნდა,  
 ცდომებს შენდობა,  
 და თუ ეს ვნება უწყინარი  
 რასმე ერთობა,  
 მაინც ხომ სჯერა ისევ შენი  
 ერთადერთობა?  
 ობ, როგორ მინდა, ყველაფერი  
 იყოს პირველი,  
 თუნდ ეს ბალახი, თუნდ ეს ქოხი,  
 თუნდ ეს ფრინველი.  
 სად მიაქვს დროთა რონინებას  
 ხმა შემწირველი?  
 ან სულს რატომ ღრღნის გაბეზრების  
 მწვანე ნინველი?

ოჱ, როგორ მინდა  
ყველაფერი იყოს პირველი!

\* \* \*

სულ სხვა სანთლებით სურნელებენ  
შენი თითები.

მანტიასავით სულს მოეხსნა  
თალხი ტვირთები.

რად გაკვირდები? — მეც არ ვიცი  
რად გაკვირდები,

მგონია, რასმე მაიმედებ,  
რასმე მპირდები.

მჯერა, ო, მჯერა, წავალ სადღაც...  
და ავტირდები.

მარტო ვარ ახლა...

და ქარვისფერ ორთქლით ვიროვები,  
დაფენილია ჩემს გარშემო  
ნორჩი ჩითები,

ფშვინავს ფოთლები, სანახები  
და სათიბები,

და ვხედავ, ვხედავ, უკმარობის  
გრძნობის დიდებით,

პოწკელა ტოტზე კინკლაობენ  
ველის ჩიტები...

რად ვაკვირდები? —

მეც არ ვიცი რად ვაკვირდები.

\* \* \*

ივნისის რვაა. შუადღეა.

ჭივჭივებს ჩიტი,

პოწკელა ტოტზე ფათურობს და  
რაღაცს მითვლის.

პოწკელა ტოტზე კინკლაობს და  
თავის გულს კენკავს,

და ქარებს მოაქვს საიდანლაც  
ღრუბლები ლეგა.

ვიცი, ეს ჩიტი გაფრინდება  
საითაც უნდა,

ჭივჭივი მისი ჩემს ხსოვნაში

დარჩება ბუნდად.  
 გულლია ქარში ჩამოტყდება  
 პოწყელა ტოტი.  
 და გაჭერდება არემარე  
 ფოთლების შფოთით.  
 და ის ღრუბელიც, ქარს რომ მოაქვს  
 უაზრო ციდან,  
 ჩამოინგრევა მწუხარებად, თშებად  
 და წვიმად.  
 მოხდება კიდევ სხვა რაღაცაც  
 ივნისის ქარში.

მე კი, მე, ნეტა საღ ვიქწები ძვირფასო, მაშინ.

\* \* \*

„მთიბველი მოკვდა.  
 გადაფუნგა ქარმა საბძელი  
 და წყალდიღობაშ სასაფლაო  
 წალეკა ძველი.  
 ტყიდან ყავარი ვერ გამოგვაქვს,  
 დაცხავდა ცხენი,  
 ჭვარტლმა და წვიმაშ გამოჭამა  
 ფიცრული ჭერი.  
 შარშანწინდელიც გაგვითავდა  
 ხმელი ნეკერი,  
 თეთრი კეთილა გაბერწდა და  
 სულ არ იწველის.  
 სიმინდი დათვმა დაგვიბელა,  
 ჩიტებმა ქერი,  
 კიბეებს ხავსი მოესია,  
 ღობეს ეწერი,  
 ვეღარ აუდის კარმილამოს  
 მამიდაშენი,  
 საბრალოს, მწარე ნეკრისებმა  
 მოწყვიტა წელი,  
 ჭიშკართან ზის და მოწყენილი  
 გზას გადასცერის.  
 მე სულ მასთან ვარ და წანდახან  
 თქვენს ქოხში ვწვები,  
 ოჰ, მისი ცოდვით, მისი ხვეწნით გიგზავნი წერილს,

შენ ხუთი დღე ხომ არ გვონია  
ეს ხუთი შელი?!

სირცხვილი შენი...  
სიკვდილი შენი“...

\* \* \*

მეგონა, ვიყავ უაღვირო,  
ბუნების კვიცი,  
სულ მინდობილი, თავაწყვეტილ  
ჭიბვინს და სიცილს,  
გარიდგბული უზნეობას,  
ქენჯნას და სირცხვილს,  
სისხლში შობილი უხსოვარი  
თოვლით თუ სიცხით,  
მაგრამ დღეს ვიცი, უპე ვიცი,  
სასტიკად ვიცი,  
ვინ ვარ და რა ვარ, და რანაირ  
დიდების ღირსი.

რაც იყო, იყო...  
მარად ერთი წადილი მკლავდა,  
ჩუმი და მძლავრი ვყოფილიყავ  
საყვარელ ქალთან,  
ბოროტი სიზმრით თუ სიკეთით  
გხელილ თვალთან,  
მეგრძნო, რომ ქალში ღმერთიც ცოცხლობს,  
ეშმაკის გარდა.  
მაგრამ განგების პერანგს ვაცმევთ  
ტყუილს თუ მართალს,  
გმადლობ, რომ დროზე შემახვედრე საკუთარ  
თავთან,

\* \* \*

კეთილშობილი დღე არის და  
წყნარი დარია,  
ქარია, მაგრამ თუ მოუსმენ  
აღარც ქარია.  
ავდგები, წავალ, იმ საყვარელ  
ბინდებს გავიარ,  
ბინდების იქით ზღვაა, ზღვასთან

ლურჯი ნავია.

ნავს ზღვაში ციმციმ შევაგდებ და...  
რა მიხარია?..

კენჭებზე წევს და იზმორება,

ალბათ ქალია,

ალბათ ქალია, თმები ქარმა  
ისე არია.

სხეული, მზისთვის მიცემული,

კიდევ წყნარია,

მზე კი, მზე, ასე რამ აუშვა,

რამ გადარია.

ნავს ზღვაში ციმციმ შევაგდებ და...  
რა მიხარია?

\* \* \*

ალარც ფლირტები, ექსცესები,

ალარც დენდები,

ვარძიის ქვაბულთ ვემხობი და

ვკართავენდები.

ჩემს ხელში გრძნობა სანთელია,

ფერი, ღვენთები,

როგორ ვშეაგდები, ვდიადლები

და ვითენთები,

ვთენდები! ცეცხლის ჟრიამულში

თეთრად ვთენდები...

უკრავს რიხტერი და სივრცეში მიღის ჰენდელი.

\* \* \*

ნეტავი როდის მომიჩრდილებს

მტევნების ქარგი?

ან უმოწყალოდ მიწეწილი

ნარგიზის ნარგი?

არ ღირს ამისთვის დაღონება,

ჯერ კიდევ არ ღირს,

პატრონი უნდა იმ ბავშვობას

ოცნებად დაღვრილს,

პატრონი უნდა იმ ჭიბეინებს,

მათრახს და ოღირს.

ოჰ, ნასახლარებს, შეჰყმუის და პატრონობს ძალლი.

შშობლის პირმორცხვი ალერსებით  
 სავსეა ჩრდილიც,  
 ან ის სამყურა მოწიწკნული,  
 ან ძეველი ღილი,  
 შემოგარენი ჰგავს წინაპრის  
 გაფოთლილ ღიმილს,  
 სალამოების მწუხარება,  
 თვალფშვნეტა ღილის,  
 შშობლის პირმორცხვი ალერსებით  
 სავსეა ჩრდილი.

ოჲ, მიჸყავთ ბავშვი, საღლაც მიჸყავთ,  
 მიჸყავთ და ტირის!..

\* \* \*

ხავერდოვანი სეზონების  
 დგება ამინდი,  
 მტევანი ბინდით იბნიდება,  
 ღუის კრამიტი,  
 ყველში უაზრო მყუდროება  
 წვეთ-წვეთ ჩამიღის,  
 შენ ჩემთან ზიხარ, გრილი, როგორც  
 გლუვი საფიტი,  
 მოწყენა შენი, მსუბუქია  
 და მიამიტი  
 ღუის კრამიტი საყვარელო, ღუის კრამიტი.

\* \* \*

რა უჩვეულო სიჩუმეა,  
 რა ფერმაღლები,  
 ღეჭავს ბოკვერი კაბის კალთებს  
 თეთრი თათებით,  
 გამოაქვს მზეზე ყრუ ღედაბერს  
 ტაფის ჭვარტლები,  
 ოჲ, ქართველი გარ ხასიათით, კიდევ ქართველი,  
 აღარ გათავდა...  
 ვინათლები და ვინათლები...

\* \* \*

რატომ დიდდება ჩამავალი მზე,  
რატომ დიდდება?  
წითელ ღრუბლებით რატომ ირთვება  
და იტვირთება?  
რა მიაქვს ქვეყნით, დიდება თუ  
იგივ კირთება?  
ო, რა მძაფრია მეწამული  
ეს გაფითრება,  
რატომ დიდდება ჩამავალი მზე,  
რატომ დიდდება?!

უკანასკნელი, კვდომის შუქი  
ცოცავს კარავთან.  
დაპატარავდა ჩემი გული, დაპატარავდა

\* \* \*

უბრალოება აზრია და...  
სულ სილამაზე,  
ჩუქურთმასავით აქ ჩურჩულიც  
ამკობს დაჩბაზებს,  
დღისა და ღამის ვუმზერ ჭიდილს  
მაღალ კარბაზე,  
სურო და ხავსი იზმორება  
ღმერთის კაბაზე,  
და ძუნწ ხაზებში გენიოსის  
წევს სიზარმაცე,  
სძინავთ მშვენიერს, მარადიულს,  
ქვათა ავაზებს...

ამ სისადავით თუ ამავსებ, ცაო, აშავსენ

\* \* \*

აღიზიანებს ჩემს ცვალებას  
ნაცნობი ტოტი,  
ნაცნობი ქუჩაც... და აშიკლებს  
ბეზარი შფოთი,  
მძიმდება უინი აღტაცების,  
ვითარცა ლოდი,  
და მკორტნის ჩემი მარტონბა,  
ზეიმით მკორტნის,

არავინ მიღის ჩემს ხსოვნაში,  
არავინ მოღის,  
რაღაცამ უნდა გამახაროს, ნეტავი როღის?

გაფაჩუნდება ფოთლიანი,  
გადავწევ წალამს,  
ჩემს მონატრებას კიდევ ერჩის  
წკვარამი ძალა,  
ო, მონატრება, ეს კეთილი,  
ეს მაწაწწალა,  
ვიცი, მომიცდის კიდევ ერთ ხანს  
და მერე წავა,  
მე კი აქ ვზივარ და ხელს ვუსვამ  
გათელილ ბალახს.

ოჲ, მკორტნის ჩემი მარტოობა,  
ზეიმით მკორტნის,  
არავინ მიღის ჩემს ხსოვნაში, არავინ მოღის...

\* \* \*

მატარებელში...  
იმ უაზრო ბინდს რომ მიტოპევს,  
მგზავრთა სურვილი, უქმარობა  
და წყალდიდობა...  
და იმ ვაგონში, იმ კუპეში  
და იმ საწოლთან,  
პერანგის ჩრდილი რომ ნებივრობს,  
თრთის და დაცოცავს...  
იქ, საღაც ისმის წიგნის ფურცელა,  
ოხვრა ქალური,  
გამოწეული სინანულით,  
ან სიყვარულით,  
იქ, საღაც შუქი მოქანცული  
კვდება ბალიშზე,  
და სუნთქვა ხშირი, თმები ხშირი,  
ფიქრს აქარიშხლებს...  
ვისაც ბაქნების გაღაურბენს  
პირზე ნათება,  
ახლა ის მგზავრი მესურვება და მენატრება.

\* \* \*

რა საამური მინდორია...  
 რა საამურად  
 ყვავილებს თავშვე დაუქროლა  
 ლურჯმა ამურმა,  
 მზე და სიჩუმე ქარვისფერმა  
 ბინდმა დამურა,  
 არ შეიძლება გველად იქცეს  
 აქ სალამური,  
 არ შეიძლება, ეკლის ტოტზე  
 გაწვეს კამური,  
 არ შეიძლება, ეს პეპელა იქცეს ლამურად

მზე მალე ჩავა...  
 ფოთლებიდან მთვარე გამოვა,  
 ერთ წყნარ სიმღერად ამოაქსოვს  
 ამ ხმამრავლობას,  
 და უცებ ქალი მოგინდება,  
 როგორც წყალობა,  
 როგორც სიცხადე და სიშმაგის  
 გარდუვალობა,  
 და ანგლრევს, ანგლრევს უბასუხოდ  
 ჩემს წარმავლობას,

ქალებს ცოლობა შეშვენით თუ ცოლებს ქალობა?!

\* \* \*

დღეს დაღონება დამეუფლა  
 მსუბუქი ფრთებით,  
 ვიხსენებ რასმე და ნეტარი  
 ტკივილით ვთბები,  
 ოპ, ქარებს შორით, შორით მოაქვს  
 გემების ხმები,  
 მგონია რაღაც დაგაშავე  
 კეთილი ნებით,  
 გწითლდები ძლიერ და კუთხეში  
 ბალივით ვდგები.

ადამიანურს, უფაქიზეს  
 და უნეტარესს,  
 მაძალებს ახლა, სუროებში

ଶେଷଲୀଲୀ ମୋର୍ଗେ,  
ବୀରେ ବୀ ମହେବୀ, ବୀ ଉଦ୍‌ଧରଣତାଙ୍କୁ  
ମଝେତ୍କ୍ଷାବୀ ମତବାର୍ଗେ,  
ରା ମନ୍ଦିରିଟାଙ୍କେ ସିପ୍ରବାର୍ତ୍ତରୁଲା,  
ରିତ ଗାଗାଶାର୍ଗେ?  
ବାନ୍ଦେ, ପଦିଏର ପଦନମିଲ୍ଲେବାଦ  
ମିତରୁଲିବାନ ଅଲ୍ଲେଖିଲି!

—

ଗିପ୍ତର୍କ୍ଷେବ ମାଗରୁମ...  
ମାଗରୁମ ମାନିବୁ ଗାରିଦ୍ରେବ ତପାଲ୍ଲେବସ.

## მამია ვაჩანიძე

# რეაგ და ულეთი

ს ი ს ხ ლ ი

აღრე დილით სოფელში ზემა გავარდა — ბულბულას მამა ჰასანი ცხენისწყალის მიმავალი მტერს მოუკლავსო. ცხენისწყალა ამ ტყეებს გადაღმაა, საკმაოდ შორსაა. რა უნდოდა იქ ჰასანს? ამბობენ, იქ თანდური ჰქონდა და ნახშირის ამზადებდა გასაყიდადო. აბა, რა უნდა ექნა ცოლ-შვილის ჰატრონს, ფული ოითი უნდა ეშოვნა? ან წიფლის შეშა უნდა დაემზადებინა და გაეყიდა აქაურ სოფლელს, ან არადა ნახშირი უნდა გამოეწვა. ამ სოფელში ნახშირის გამოსაწვავ გლეხურ ღუმელს თანდურის ეძახიან. ჰოდა, ჰასან ბიძია სანამ თავის თანდურამდე მიაღწევდა, ზიფათიანი, ტყით დაბურული ბილიკები უნდა გაევლო. მტერი ჰყოლია თურმე, ჩასაფრებია და მოუკლავს.

— საწყალი ჰასანა, — თქვა ქაზიმ მეჩონგურემ. — იგი აქაური როდი იყო. გულებელი იყო, ქედილან. ბაბუამის თურმე მეზობელი სოფლიდან კაცი მოუკლავს, მიწის თაობაზე მოსვლითა ჩხუბი. პატარა შვილები დარჩენია მოკლულს. ჰასანის ბაბუასაც მხოლოდ ერთი ბიჭი ჰყავდა — ჰასანის მამა აბდი. მაშინ ყმაწვილკაცი იყო თურმე ჰასანის მამა, როცა იმ სოფლიდან აიბარგნენ და ქვემო აჭარაში გადმოსახლდნენ. და აი, აქ დაიდგეს ბინა, ამ სოფელში. მევლელი მალე გარდაიცვალა. აბდიმ აბრე მოიყვანა ცოლი — ცხმორისელი გოგონა, შავთვალწარბა, გრძელნაწნავება. შათ გაუჩნდათ მხოლოდ ერთი ვაჟი — ჰასანი. ღმერთმა მეტი შვილი არ მოგცა და მშობლები თავს ევლებოდნენ ჰასანს, რომელმაც მალე აიყარა ტანი. დედამ თქვა — თვრამეტი წლის რომ გახდება ჩემი ჰასანი, უნდა დაგა-

\* გაგრძელება. დასაწყისი „ჭოროხი“ № 5.

ქორწინო... და მართლაც, თვრამეტი წლის რომ გახდა დააქორწინებული ქაბაბრელი გოგონა შერთეს, ცისფერთვალება ზაირა. მათი პირველი შო ბულბულაა, ჩემი ბულბულა.

ჰასანის დედ-მამას წუთისოფელი არ მოუჭამია, ადრე გარდაცლილინ. ჯერ ქმარი და მეტე ცოლიც. აი, დაბლა, ღუქნებთან რომ საფლავებია, იქ მარხია ცოლ-ქმარი. მე და ბულბულა ხანდახან იების კონებს შევკრავდით და იქ საფლავზე ვდებდით. ბულბულას ძალიან უყვარდა ბებია და ბაბუა. იტირებდა ხოლმე, რა ადრე მომიკვდნენო. დიდი ქალივით სტიროდა. მეც გულმოკლული ვიდექი და ვაშოშმინებდი ჩემს ბულბულას:

— ნუ სტირი ჩემო ბულბულა, ნუ! ჩენ ბავშვები ვართ და ტირილი არ ვიცით. სხვანაირად უნდა ტირილი და არა ისე, როგორც შენ სტირი.

— როგორ უნდა აბა, მასწავლე ჯემალ! — მითხრა ბულბულამ.

— გასწავლის დეიდა ხატიჯე. იგი ყველაფრის მცოდნეა. იმას ვთხოვთ, გასწავლის როგორ უნდა ტირილი.

— ჰო, კარგი, სანამ დეიდა ხატიჯე არ მასწავლის ტირილს, მანამდე აღარ ვიტირებ ჩემს ბებიას, აღარ ვიტირებ ჩემს ბაბუას, — მითხრა მორჩილად და საფლავები დავტოვეთ...

და ახლა ბულბულს მამა მოუკლავთ. ვის მოუკლავს? აი, რა ოქვა ქაზიმ მეჩინგურემ: ჰასანის ბაბუამ რომ გულებში კაცი მოკლა, იმის შვილიშვილს მოუკლავს ჰასანი, ბაბუას სისხლი აუღიაო.

დეიდა ხატიჯემ თქვა: — ეს რა უბედური წესი გვაქვს, ბაბუას ვიღაც მოუკლავს და აქ ბადიში ბადიში ჰკლავს. ეს რა გვეირს, ნუთუ გონება ისე დაგვიმნელდა, რომ ავსა და კარგს ვეღარ ვარჩევთ. სისხლის აღება რა ვაჟკაცობაა, ჩაუსაფრდები და კაცს მოჰკლავ, ეს ლაჩრობაა, სიგლახეა. ღმერთო ჩემო, აღამისწლიდან ეს სისხლის აღება სულ აჭარაში და ერთი გონიერი ხალხი არ გამოჩნდა, რომ ასეთი საზიზოარი ჩვეულება მოსპოს, ამოგლიჯოს მიწიან-ფესვიანად. თუ კაცი ვარგიხარ, კარგი საქმით გამაცვირვე, თორემ კაცის მოკვლა რა საქებარია! ღმერთო, შენ გაუნათე გონება ამ ჩვენს ბნელ ხალხს!

დეიდა ხატიჯემ თქვა: — ტირილი თგული უნდა ვიჯერო. ჰასანი ტირილის ღირსია. იგი კარგი ახალგაზრდა იყო და ჩვენს სოფელს უყვარდა. მე გეტყვი და რამეს თხოვდი და არ გაგიკეთებდა. ღობის დაღობვაში მოგვეხმარეო ეტყოდი, თავისას დატოვებდა და შენ მოგვეხმარებოდა. ყანაში მომეხმარეო ეტყოდი, თავისას მიატოვებდა და შენ დაგვეხმარებოდა. წამალი ამომიტანე ბათუმიდანო, ეტყოდი, თავის საქმეს მიატოვებდა და ქალაქში გაიქცეოდა. მერე და რა კარგი ხელი ჰქონდა! რა არ იცოდა. ზამთრობით წნავდა გოდრებს, სკამებს, თლიდა კოვზებს, ჯამებს. ას, რა კარგი კაცი იყო საშუალი ჰასანი! მე უნდა ვიტირო იგი, მთელი გულით უნდა ვიტირო!

ასე ამბობდა დეიდა ხატიჯე და თან კაქლისოდენა ცრემლებს ჰყრილა.

ქაზიმ მეჩონგურემაც თქვა: ისეთი კარვი კაცი მოგვიკლეს, ჩემი ჩინ  
გური უნდა ვატიროვ დღეს!

...და იყო საშინელი წივილ-კივილი ჰასანის სახლში. და როცა ტირილს  
იწყებდა დეიდა ხატიჯე, ყველა მას უსმენდა, ყველას გული ეთუთქებოდა.  
ასე დაიტირა დეიდა ხატიჯემ: — რა მშვენიერი კაცი იყავი ჩემო ჰასან,  
შენ ჩევნი სოფლის თვალი! ვინ იყო ისეთი ბოროტი, რომ შენ სასიკვდილ-  
ოდ გაგიმეტა. ვინ იყო ოხერი, ღმერთის დაწყევლილი, რომ თოფის ფეხს  
ხელი გამოჰკრა და შენსკენ ტყვია გამოგზავნა. ვინ იცის, როგორ გეტკინა  
ტყვია რომ მოგხვდა. იქნებ ვაი დედა, აღმოგხდა, მაგრამ სად იყო დედა-  
შენი, ან სად იყო შენი ცოლი... ან სად ვიყავ მე, რომ შენს ჭრილობაზე მა-  
ლაშო დამედო. დაგტირის შენი ბულბულაც ჩემო ჰასან და რით ვანუგე-  
შოთ ეს პატარა გოგონა, რა ვუთხრათ ამ ანგელოზს, ღმერთო, აშოგდე  
ჯილაგი იმისი, ვისაც ბოროტის გული უდევს!

ქაზიმ მეჩონგურემ ჩონგური აატირა, თითქოს სიმები კანკალებდნენ,  
თრთოდნენ და იფერფლებოდნენ.

მე ჩონგური მინდა ავატირო შენთვის, ჰასან,  
მე ჩონგურით მინდა დაგიტირო ჰასან.  
ჩემო საყვარელო მეზობელო,  
ლამაზო ახალგაზრდავ,  
გულქეთილო ახალგაზრდავ,  
სოფლის თვალო,  
სოფლის წყაროვ,  
ენათაფლიანო,  
გაჭირვებულის მხარო,  
შენ ჭიანჭველასაც ფეხს არ ადგამდი,  
წაქცეულ ნერგს წამოაყენებდი,  
ხმელ ნერგს გააცოცხლებდი,  
ეკალ-ბარდს ამოგლეჭდი და იქ ვარდსა და იებს  
დათესავდი.

კაცის გულის თაფლი იყავი,  
მოწყურებულის წყალი იყავი,  
მოხუცებულის — ჭინი იყავი დასაბჭინებელი.  
ოქრო იყავი, ვერცხლი იყავი,  
ჩევნი სოფლის თვალი იყავი!  
ჰასან, ჩევნო საყვარელო მეზობელო!  
თვალი დაუდგეს შენს მკვლელს!  
თვალი დაუდგეს კაცის მკვლელს!

კანკალებდნენ, თრთოდნენ, იფერფლებოდნენ სიმები და ქაზიმ მეჩო-  
ნგურე სევდიანად, ნელა გალობდა. „ოჲ, ოჲ“, ისმოდა ქალთა და მიმაკაც  
თა შეწუხებული ხმა.

ბულბულას დედას ტირილისაგან ზმა ჩახლეჩოდა. რაღაც-რაღაცა სი-  
ტყვებს ამბობდა, მაგრამ ველარ გაარჩევდით რას ამბობდა.

ბულბულა მამის კუბოსთან მჭდარ დედასთან იდგა და სლუკუნებდა...  
შეც იქ ვიდექი, სადაც ჩემი ბულბულა იდგა. ვერაფერს ვამბობდი, ვერა-  
ფერს ვანუგეშებდი ჩემს ბულბულას, ენა მებმოდა, გული მიკვდებოდა,  
გონება მერეოდა...

...შენ რომ სტიროდი, ჩემო ბულბულა, მეცოდებოდი ჩემო ბულბულა.

რა დაგაწყნარებდა ჩემო ბულბულა? ჩიტის რძე? ცხრა მთის იქიდან  
მოგიტანდი ჩემო ბულბულა, შენთვის სიცოცხლეს გავწირავდი ჩემო ბუ-  
ლბულა.

ვარდის კონა გინდოდა ჩემო ბულბულა? ქვეყნას შემოვივლიდი, ყვე-  
ლა ვარდს თითო ცალს წაგართმევდი და შენ შეგიკრავდი ვარდებს ისეთ  
კონას, მეფის გოგოსაც რომ შეშურდებოდა.

ნუ სტირი ჩემო ბულბულა, ნუ სტირი...

ასე ვაშბობდი მე გულში. ისე კი, ხმას ვერ ვიღებდი, თითქოს მუჯი  
ვიყავი. ცრემლი დიოდა ბულბულას, ცრემლი მილიოდა მეც. სლუკუნებდა  
ბულბულა, გსლუკუნებდი მეც. მეშინოდა, ბულბულას გული არ გაუსკ-  
დეს მეთქი.

მეცოდებოდა.

გული მეთანაღრებოდა, გული მიკვდებოდა...

— ახ, რა ტყუილად მოჰკლეს კაცი! — ამოიგნეშა დავით ბიძიამ, —  
და თვალზე მომდგარი ცრემლი ცვირსაზოცით მოიწმინდა.

— ახ, რა ტყუილად ვკლავდით კაცს. რა ცუდი ჩვეულება გვქონდა.  
ღმერთო, ვინ მოიგონა კაცის მოქვლა და სისხლის აღება. იქ კი არა და არ-  
სად არ უნდა მოიკლას კაცი. განა არ შეიძლება კაცმა კაცთან ენა მონა-  
ხოს, კარგობით გადაწყვიტოს სადავო საკითხები; რა არის მოურიგებელი  
ამქვეყნად? — ჩურჩულებდა ქემალ ბიძია.

— კაცო, შენ კი ხარ ჭკვიანი, კარგი გზით გინდა იარო, მაგრამ განა  
ყველა ერთნაირი ჭკუისაა? ჰოდა, შენ არ გინდა ჩხუბი, ის წაგერჩეულება.   
შენ არ გინდა ცუდი სიტყვის თქმა, ის გეტყვის, შეგავინებს, გაგლანძლავს,  
გავთართხავს. მაშინ? — ხმამაღლა, ქემალ ბიძიას გასაგონად თქვა ყარა-  
მან ბიძიამ.

— ასეთ ბოროტ კაცს კანონმა ენა უნდა მიაჭრას, ხალხმა უნდა შეი-  
ძულოს, გარიყოს, გააგდოს ქვეყნის სამოთხილან და იმქვეყნის ჭოჭოხეთ-  
ში ჩაგდოს. — დაგულიანებულად თქვა ქემალ ბიძიამ.

— გააგრძელე ჭემალ, გააგრძელე ჩვენი ამბავი, — თქვა ერთმა.

მე ვაგრძელებ. დეიდა ხატიჭემ ამოიკვნესა, ცრემლებს იხოცავს

განლილით, ცხელ ცრემლებს. ვინ იცის რა სდულდა მის დედურ გულში. ვინ იცის კიდევ რა მოაგონდა, გულის მოშკვლელი, სულის ამაფორიაქებელი.

ამ დროს კარზე კაცუნი გაისმა.

— ვინ ბრძანდებით? — შეეხმიანა დეიდა ზატიჯე.

— ბულბულა ვარ, დეიდა ხატიჯე, შენი ბულბულა.

გულო უმაღვე წამოხტა და კარი გაულო. შემოვიდა კი არა, გრიგალი-ვით შემოიჭრა ბულბულა და პირდაპირ ჩემთან მოვარდა. მომეხვია და მომეხვია.

— ჩემი ჯემალი, ჩემი პოეტი, ჩემი მწერალი! — იმეორებდა და ცრემლებს ზაბაზუბით აქცევდა. მერე დეიდა ზატიჯეს მოეხვია, გულოსაც, ზოგს ხელი ჩამოართვა... და მერე ისევ ჩემთან მოვიდა.

— გახსოვს ჯემალ?

— რა?

— ის დრო, პატარები რომ ვიყავით. ამ ღელე-ღურდანში რომ დავეწერებოდით, ხან თევზებს ვიჭერდით, ზან იებს ვკრეფდით, ხან მაყვალსა და სოკოებს.

— შეხსოვს ჩემო ბულბულა, მახსოვს. რა დამავიწყებს ჩვეუწი ბავშვობის დღეებს, ჩვენი სიყრმის დღეებს, — ვუთხარი ბულბულას და მინდოდა ამბავი გამეგრძელებინა. არ მინდოდა გაეხსენებინა ისეთი რამ, რაც მას გულს მოუკლავდა.

— გახსოვს მამა რომ მომიკლეს, ახალგაზრდა მამა? — და ჭმამალლა ჭასკრდა ტირილი.

— ნუ სტირი გენაცვალე ბულბულა, ნუ სტირი, — დაუყვავა დეიდა ზატიჯემ. მეც თავზე ხელი გადავუსვი და ვთხოვე დაწყნარებულიყო. მაგრამ არა, იგი სტიროდა, გულამისკვნით სტიროდა. ჩვენ ვდევმდით. ტირილით რომ გული იჯერა, ჩემსკენ შემობრუნდა და თხოვნით, მუდარით მითხრა:

— დაწერე ის ამბები ჯემალ, დაწერე და ქვეყანას უთხარი, რა ტურილად მომიკლეს მამა და ობლად სიმწარით. გავიზარდე. დაწერე ჩემო ჯემალ, რა ვიყავით შეშინ; უმეცარნი, უსწავლელნი. დაწერე ჯემალ, რა იყო ჩვენი სოფელი, რა გვიჭირდა და გვიტონდა. ცოტას რაღაც-რაღაცაშს მეც ვწერ, მაგრამ პოეტმა უნდა დაწეროს, ნამდვილმა პოეტმა, მწერალმა უნდა დაწეროს, ნამდვილმა მწერალმა, თორემ ისე ამბავს რა გამომილებს. მეზღაპრე უსუფ ძიასავით გამოულეველი სათქმელი მაქვს და მოგიყვები კი-დეც, ოღონდ შენ დაწერე. დაწერე ჩემი იმდროინდელი დარღებიც, ჩემი გულის იარა. დაწერე დეიდა ზატიჯეზე, დაწერე ქაზიმ მექინგურეზე, დაწერე ჩვენს სოფელზე ახლა ედემ-სამოთხეს რომ მოგვაგონებს. დაწერე, როგორ უჭირდათ უწინ; კაცი ცოლის თხოვას რომ დააპირებდა, ოქროულობას შეძლებული მეზობლისაგან ინათხოვრებდა და ნიშნად ღაუგზავნი-

და. მოიყვანდა და რამდენიმე დღის შემდეგ პატარძალს შეხსნილენ. ფრთხილი ულობას, და პატრონს დაუბრუნებდნენ. განა ეს გულს არ მოუკლებდნენ ტარძალს? კაცს შარვლის, ქალს კაბის გამოცვლა უჭირდა. წერა არავინ იცოდა და კითხვა. აქლა? ვინ არის აბა უცოდინარი! კაცს კი არა, ზავშვისაც ხელში კალაში უჭირავს და ცაზე წერს თავის ფიქრსა და ოცნებას. დაწერე ჯემალ, დაწერე. დასაწერი ბევრია!

— ვწერ ჩემო ბულბულა, ვწერ. აი, ახლ სწორედ იმ ძველ ამბავს ვუკითხავდი ჩვენს საყვარელ აღამიანებს. შენი ამბავი უკვე გადავთურულე და ახლა, შენის ნებართვით გავაგრძელებ. მომისმინე ჩემო ბულბულა...

არაო, ამიკრძალა კითხვა. ზელმეორედ წამიკითხეო ჩემი ამბავი. ისე შემევედრა, უარი ვეღარ ვუთხარი და გადავთურცლე ბულბულას ამბავი. მე ვყითხულობდი, ის კი სტიროდა, გულდათუთქული სტიროდა. იმდენი იტირა, იმდენი, ერთი მდინარე გაჩნდებოდა. ცრემლი ოქროს ვარსკვლავზე ეწვეთებოდა... ბულბულა თურმე სოციალისტური შრომის გმირი ყოფილა, და შე ეს დღემდე არ ვიცოდი.

— მაპატიე ჩემო ბულბულა, რომ ადრე ვერ მოგილოცე ოქროს ვარსკვლავი. არ ვიცოდი, ღმერთმანი არ ვიცოდი, — ვუთხარი მე. ავდეჭი და გადავეხვიე. მისაყვედურა, როგორ ვერ გაიგეო.

არაფერი მეთქმოდა.

## ნ ა გ ი ლ ი ს ა რ ი

ჩემს დედულეთში რომ შედიხართ, მარცხნივ გორას გააყოლეთ თვალი. იქ, სადაც უბესაგითაა, ნაქილისარია. დეიდა ზატიჯეს სახლიდან ერთი კილომეტრი არ იქნება. გაზაფხულსა და ზაფხულში ნაქილისარის ეზოში ორომტრიალს არაფერი სჯობს. ნაირნაირი ყვავილები ხარობენ, კონიდარი ბიბინებს, ჰაერში სამო სურნელი ტრიალებს. იქ ვვიყვარდა ბავშვებს თამაში, მაგრამ უფროსები გვიშლიდნენ, განსაკუთრებით დეიდა ზატიჯე — ნაქილისარის კედელზე ხელის ხლება არ შეიძლება, კოდვააო. მართალია, ქილისე ქრისტიანების სალოცავია, მაგრამ რას ვერჩით ქრისტიანებს. ისინი იქნებ ჩვენი წინაპრები იყვნენ და მათ ქრისტე სწამდათ, ჩვენ კი მუჰამედი გვწამს. ქრისტიანებს სახარება სწამთ, ჩვენ კი ყურანი. მაგრამ რატომ უნდა გვძლებეს ერთმანეთი. ისინიც ადამიანები არიან და ჩვენც. ასე იტყოდა ხოლმე დეიდა ზატიჯე და ბავშვებს აშინებდა — ნაქილისარის კედელს ხელს ვინც მოკიდებს, დაუუმურდება, და თუკი კი მოშარდავს, ავად გახდება და არც კი მორჩებაო. კედლებს ალაგ-ალაგ შმინდანები ეხატა. ვიღაც გამვლელს კედლის ყური ჩამოუხერევია და ერთი დიდი ნატეხი ძირს დაუგდია. ამ ნატეხზე წმინდანი ეხატა. დეიდა ზატიჯე ეს რომ ნახა, კოდვაა გამვლელები ფეხს დაადგმენ, წვიმასა და თოვლში გაფუჭდებაო და შინ წა-

მოიღო. კარგი ადგილი მიუჩინა კარადის თავზე და შნაურები გაფტრიბული, ხელი არ ეხლოთ. მაგრამ გულოს რა გააძლებინებდა ხელი არ შეევ-ლო წმინდანისათვის. ერთხელ სკამზე შედგა და კარადიდან წმინდანი ჩამო-იყო, ხელიდან გაუვარდა, ძირს დაენარცხა და წმინდანი შუაზე გატყდა. დედა შვა დღეს დამაყენებსო, შიშისაგან იკივლა. დეიდა ხატიჯე ეზოში ძროხის წველიდა. გულოს შემზარავი ხმა რომ გაიგონა, უმალვე შინ შე-მოვარდა, ძირს დაგდებული რომ ნახა წმინდანი, გულო თმებით დაითრია. ვირ თქვენს მტერს რაც გულოს დღე დაადგა. ძლიერ გამოგლიჭეს ხელი-დან. წყვევლა-ქოქოლას აყრიდა. ბუზღუნ-ბუზღუნით თაფლის სანთელით შეაწება ნატეხები და ისევ კარადის თავზე დადო. იმ დღიდან გულო კა-რადის არ გაპერებია, მაგრამ დეიდა ხატიჯე ყოველ გაქსენებაზე მუშტს დაპრავდა ხოლმე თავზე — შე უგუნურო, როგორ გაბედე ხელის ხლე-ბათ.

ნაქილისართან წაშლილი საფლავები იყო. რა თქმა უნდა, არაფერი ემჩნეოდა, მაგრამ მარმარილოს წარწერიანი ქვა გვეუბნებოდა, რომ აქ სა-ფლავებია და ფეხს ნუ დაადგამთო. მაგრამ ვის შეეძლო მისი ამოკითხვა, სოფელში წერა-კითხვა არავინ იცოდა. ხოჯამ ვერ ამოიკითხა — ეს მუსლი-მანური წარწერა არ არის, მგონი ხუცური უნდა იყოსო. ეგდო ქვა იგი მი-ნდორსა შინა, ხოლო უამთა სიავე თავის მკაცრ კლანჭებს აჭირობდა. ერთ დღეს გაპერა ის ქვა და ალაპარაკდა მთელი სოფელი — საფლავის ქვა ვინ მოიპარაო. ყველაზე უფრო გავრობდა დეიდა ხტიჯე. იარა, იარა სოფელ-სოფელ და მიაკვლია ქურდს. დაწყევლა, შერაცხა, უწმინდური, უგუნური უწოდა და მთელ სოფელს შეატყობინა — მავანმა კაცმა სირცხვილი გვაჭა-მა, საფლავის ქვა მოიპარაო. სოფლის თავკაცებმა იმ უბედურს ზურგით აატანინეს ქვა ნაქილისართან და იქ თავის ადგილას დაადებინეს. მერე თვალყურს ადევნებდნენ, არავინ მოიპაროსო. მაგრამ სოფელში უგუნურს რა გამოლევს. თუ აქაური სოფლის უგუნურს მოეკვეთა ხელი, გადაღმა სო-ფლიდან აღმოჩნდა მეორე უგუნური... და ერთ დღეს მარმარილოს საფლა-ვის ქვა გაპერა. ვეღარ მიაკვლიეს მის კვალს.

შუხდა დეიდა ხატიჯე. სწუხდა სოფელი.

მ ი ნ ა წ ე რ ი. გავიდა ხანი. ეს ქვა ერთ მოსახლესთან დელი-მურად-თან, გადაღმა სოფელში რომ ცხოვრობს, იქ აღმოაჩინა მხარეთმოცდნეო-ბის მუზეუმის თანამშრომელმა. იმ უგუნურს ფეხის ადგილად გამოეკრა.

— ქვამალ, ეს ქვა მე აღმოვაჩინე, — თქვა სულო ბიძიამ. — მე ერთხელ შემთხვევით მოვხვდი იმ კაცის ოჯახში.., და იქ მე ვნახე იგი. მერე ვთქვი სოფლის ერთ თავკაცთან. მან კი თურმე მუზეუმის შეატყობინა. რამდენი ეხვეწეს დელი-მურადს ქვა მოვვეციო, მაგრამ არა. პასუხისგებაში მიგცემ-თო, რომ უთხრეს, შეშინდა და ხმა აღარ მოიღო. დღეს იგი მუზეუმში დევს. აი, რა აწერია იმ ქვას, რომელიც თქვენ, დეიდა ხატიჯე, ყმაწვილქა-ლობაში ნახეთ: „ომარ ბეგ, თინათინ, თამარ!“ მაშასადამე, იქ, ნაქილისარ-

თან დამარხეს ვინმე თომა, რომელიც ილბათ, ისმალების ერთგული ყანა მსახური ყოფილა და სამაგიეროდ მისთვის ბეგობა უბოძებიათ, მაშინაც მე, იგი პირველად ქრისტიანი ყოფილა, რაკი ქრისტიანული შემცირების ერქვა, ხოლო მერე გამამდინარებულა. თინათინი და თამარი, ალბათ, მისი ოჯახის წევრებია. ეს სახელებიც ქრისტიანულია. წესით ზანუმებად უნდა იწოდებოდნენ ბეგის ოჯახის მკვიდრნი. მაგრამ, ეტყობათ, თინათინს და თამარს მუსლიმანობა არ მიუღიათ, ქრისტიანად დარჩენილან. გამოდის, რომ ერთი ოჯახში ერთი ისლამს ჩემობს, ხოლო მეორენი — ქრისტიანობას. ხედავთ, იმ სამ სიტყვაში რამდენი რატეს ამოკითხვა შეიძლება. ის ქვა ჩვენი სოფლის ისტორიაა. მაშასადამე, ამ სოფლის წინაპრები ქრისტიანები ყოფილან. ეს ასეც იყო ჩემო მკვიდრებო. აბა, დეიდა ზატიჯე, შენს ეზოში რომ ქვევრები აღმოჩნდა, ამასვე არ გვიდასტურებს! რაკი ქვევრები ჰქონდათ, მაშასადამე ღვინოსაც სუურავდნენ. მუსლიმანები კი ღვინოს არ ეტანებოდნენ, რაღვან ყურანი ამას უკრძალავდა. მუსლიმანობას ჩვენში კი სამასი წლის ისტორია აქვს, მანამდე ქრისტიანები ვიყავით. მაშასადამე, ჩვენი ქვევრები სამას წელზე მეტი ხნისანი არიან, ასევე ძველისძველია საფლავის ქვაც.

— მართალს ამბობ ჭემალ, მართალს ამბობ, აბა, რა უნდოდა ჩვენი სოფლის თავში ქილისეს და თომას საფლავის ქვას ან ქვევრებს! — თქვა სულომ.

— ახლა ქვევრებს ყველგან ნახულობენ აჭარაში, თითქმის ყველა სოფლში, — ხმამალია თქვა გულომ.

დეიდა ზატიჯე გაოგნებული მიცეკეროდა, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ ბედავდა.

— ჰოდა, ჩემო მკვიდრებო, ის ქვა მუზეუმში რომ ნახა ერთმა დიდმა მეცნიერება და მისი ისტორიაც უამბეს, სინანულით თქვა (მერე თავის წიგნშიც დაწერა) — ხედავთ, გაველურებულმა ჩვენმა მკვიდრმა მარმარილოს საფლავის ქვა მოიპარა და ფეხის ადგილად გამოსჭრა, რაკი მასზე ქრისტიანული წარწერა ეგულებოდა. ამას ხომ არ იქმოდა ამ ქვაზე მუსლიმანური წარწერა რომ ჰგულებოდა!

— აՅ, როგორ ეკადრება ეს მეცნიერს. დელი მურადის ბრალს ქვეყანას ნუ დაფდებთ. მთელი სოფელი ეძებდა დაკარგულ ქვას. — წყენით თქვა დეიდა ზატიჯემ.

— დელი-მურადის რა ჭკუა ეკისხება. ყოველ წელიწადს სახლიდან გარბის და ორ-სამ თვეს სადღაც დაეხეტება. ზაფრიანი კაცია. — თქვა დავით ბიძიამ.

— მე თქვენ გეთანხმებით, ჩემო მკვიდრებო. მეც გული მტკიოდა ამის გამო... და შემდეგ ასეთი ლექსი დავწერე... წაგიკითხოთ?

— კი, წაგიკითხე, — ერთხმად თქვა ყველამ....

და მე კითხულობ....

楚爾威爾ა მარმარილოს ჩხაზი — „თომა გეგ,  
თინათინ, თამარ!“

ამ ქვის ზღაპარი მე სევდით მათრობს,  
ეჩურჩულება რასმეს მუზეუმს,  
ძველთა აჩრდილნი ზედ კიაფობენ  
და მოლოდინში თვლემენ მუზების.  
ო, ქვაო ჩემო, შენ ხარ მოწამე  
ჩემი გოდების და ჩემი ჯვარცმის.  
ვარ მაცხოვარი და მე ვარ ცოტნე,  
მემატიანე ვარ დღეთა მკაცრის...  
ქვა ამბობს: გატყდა, გაწყალდა თომა,  
თინათინ, თამარ არ გატყდა, არა...  
ეჭ, მერე იყო ტაძრების თრთოლვა,  
მერე იტირა ვაშმა და ზვარმა.  
მიხარის — თამარს ჰქვია თამარი  
და თინათინი ჰქვია თინათინს;  
კელაპტრად გინოებ მე ამ სიხარულს  
და ჩემი სულის ზეცას ვინათებ...  
აწმენს თუმც კაცი გადაეწვევა,  
როცა მტრის ხმალი კისერზე აღევს,  
გეტყვი წინაპრის ერთ მტკიცე ჩვევას,  
მტრის საფლავსაც კი არ შებილწაგდნენ.  
არას შერყვნიდნენ წინაპრის ნაგებს  
ტაძრებს თუ კოშკებს, რომ დგანან მიწყივ...  
აი, შეხედე! მე ვუშზერ აგერ,  
ვუმზერ და მათზე ოცნებით ვიწვი.  
რაიც წარყვნილა, მტრის სელით მხოლოდ  
და არა ჩემი თრთოლვით და რყევით.  
აქ ვაღმერთებდი ჩემს ხმალს და ჰოროლს  
და ამ ტაძრებთან გამომჭრეს ყელი.  
არად ჩავაგდე სიცოცხლე ტკბილი  
და საკირამდე აქედან მიველ,  
ვიცავდი მამულს, ვიცავდი თბილისს  
და მე აქედან ვიცავდი ივერს.  
განა მამაცნი არა გვყოლია  
და ყველა სულთნის პორტირს ჰკოცნიდა?!  
ჩემო ბატონო, არა მგონია,

ქორონიკონთან თუმცა მორცხვი ვარ.  
 ვინა თქვა მტერი რომ იყო სუსტი,  
 და შევეჭიდეთ ბოლოსღა კოჭლებს?!  
 ვინა თქვა იყო ერთგული სულთნის  
 და სელიშს თავი ამაოდ მოსჭრეს?  
 ღვაწლს მტვერს ნუ ვაყრით ჩვენთა პაპათა,  
 თუმც ვერ შევარქმევთ ყველას უცოდველს.  
 გმირი არ იყო მამა პატას,  
 გარდახვეწილი სადღაც უცხოებს?  
 განა ერთი და ორი ვეფხობდა,  
 მერე რა ვუყოოთ თუქი უჭირდათ...  
 დედის ნანინა საგზლად მეყოფა,  
 მის ფერფლს ვატარებ ალალ მუჭითა.  
 არა, დასტურად არ დამშირდება  
 ციხე ნამუსრი, ქვევრი ნამუსრი;  
 მე მომყვა ძეგლად ჩემივ დიდება,  
 დედის ენა და სინდის-ნამუსი.  
 ცოცხლობს აჭარა — ვეფხვის კამარა,  
 თუმცა ლოდები გულზე დაადეს.  
 საქართველოა ჩემი აჭარა,  
 საქართველოა, ჰაუ, სანამდე!  
 ვით ჩამოვთვალო რბეულ-დანთქმული,  
 რომ მოგაგონო, რა საჭიროა,  
 ცოცხლობს აჭარა — გული ქართული,  
 ძველი მესხეთის ფხა და ჭრილობა.  
 გული გამეხსნა, გული ფართქალებს,  
 გადავევლები მთებს საალერსოდ.  
 ვეალერსები შუქურ-ვარსკვლავებს,  
 მაქვს საქართველო სასპარეზოდ.  
 არა, ვერ მნახავთ სულით ამრეზილს,  
 მოკვდეს ამ მიწის კენჭის გამცვლელიც.  
 გვაქვს ცა და მიწა სასპარეზოდ,  
 სასპარეზოდ გვაქვს მთები ვრცელი.  
 არა, არ მინდა ფიქრები მრუშე,  
 მოვალ და ძმა ძმას გადაგევევი.  
 არ გავიკარებთ არასდროს მუმლებს  
 ჩვენ, ივერიის შვილნი ვეფხვები.

მაშ, ასე ჩემო ძვირფასო მკვიდრებო, მე განვაგრძობ კითხვას...  
ოქვენ ყველანი კარგად იცნობდით ჩემს დედას.

— ო, ვენაცვალე შენს დედას, — გულა მოსკვნილად თქვა დეიდა ხა-  
ტიჭემ. ერთმა დედაჩემის ქება-დიდება თქვა, მეორემ რაღაც გაიხსენა...  
მე ზოდიში მოყურალე მათ, და გავაკრძელე ამბავი.

## 1.

ერთხელ მე და ბულბულა წავიჩეუბეთ.

— ბულბულას მამა მოუკლეს, ბულბულა ობოლია შვილო, არ აწყე-  
ნინო, რაც არ უნდა გთხოვოს აჩუქე, მოეფერე. მას არასოდეს ელიტსება  
მამის ალერსი. მას დღეიდან აკლია მამის ჟელი. გული დაპატარარავებული  
აქვს. ერთი პატარა წყენა და მის გულს ვერაფერი მოაბრუნებს. გახსოვდეს  
ჩემი წათქვამი, შვილო. — მეუბნებოდა დედა და ბულბულას სიბრალუ-  
ლით ცრემლებით ევსებოდა თვალები, ვუსმენდი დედას, გულით ვკრეფიდი  
მის სიტყვებს, ბაღაგი რომ ერია.

ერთხელ ბავშვები დეიდა ზატიჯეს ეზოში ვთამაშობდით. პატარა ქო-  
ხი ავაშენე, ეზოში ფარეხი. თითქოს მყავდა დიდი ფარა. ფარა შევრეე  
ფარეხში. და ამ დროს ზლართანი მოადინა ბულბულამ. ცალმობიძგა მეზო-  
ბელმა გოგონამ. დაეცა ფარეხს... და სულ გამიუუჟა ფარა. თითქოს გამი-  
ნაფაგურდა დიდი სიმდიდრე, და ავღელდი უცებ. ბულბულას ქოხი მოვუქ-  
ნიე. სახეზე მოხვდა, სისხლი წასედა. ბულბულამ სისხლი რომ ნახა, აკივლ-  
და მარა როგორ! ლამის გული გამისკდა. მივედი, მოვეხვიე, მომკალი-მეთ-  
ქი ბულბულა, ოლონდ ნუ იყვირებ-მეთქი. მარა, არა, ბულბულა უფრო და  
უფრო აყვირდა. სად იყო და სად არა, დედაჩემი მოვარდა. როცა სისხლი  
ნახა ბულბულას სახეზე, ვაიმეო, ერთი შესძახა და გაოქნებულმა იყითხა  
რა დაემართაო. მე დედას გუთხარი სიმართლე. და მაშინ მომხვდა დედის  
ხელი, იგი მწარეც იყო და ტკბილიც. რა თქმა უნდა, დედამ შემთხვევით  
ცხვირზე მომახვედრა ქოხი... და მეც სისხლი წამსკდა. ავტირდი, მარა რო-  
გორ! ახლა დედა ორივეს გვეფერებოდა, ნუ სტირით შვილებო, ნუ სტი-  
რითო და თან გულში გვიკრავდა ორივეს. გაჩუმდით, გაჩუმდით ჩემო შვი-  
ლებო! ლოცვასავით ჩურჩულებდა დედა და თან იცრემლებოდა, ვებრალე-  
ბოდით. ფერება-ფერებით დაგვაწყნარა, შერე სახლში შეგვიყვანა და თი-  
თო ჩურჩელა მოგვცა. უცებ ყველაფერი დავივიწყეთ მე და ბულბულამ  
და მაღიანად ვებეჩდით ნიგვზის ჩურჩელას.

- ბულბულა!
- რა იყო?
- მოდი, წავიდეთ და მდინარეში თევზი დავიჭიროთ. ამ ღვერდის შესახებ რა კალმახია.
- რამე კალმახია. გიჭამია კალმახი?
- როგორ არა. მამაჩემი ბადით იჭერდა ცხენის წყალაში.
- პოდა, ჩვენც დავიჭიროთ.
- დავიჭიროთ. მერე რითი?
- ბიძაჩემის ბადით.
- არ გაგვატანენ ბადეს, არ გვენდობიან.
- მოვიპაროთ.
- რომ გაგვლაზონ?
- არაფერსაც არ გაგვლაზავენ.

როცა ბადეს ვიპარავდით ნალიიდან, ბიცოლაში შეგვნიშნა და ყვირილ-ყვირილით ჩამოგრძეკა. მოვეურულტლეთ მე და ბულბულამ და ტყეში სოკოს საძებნელად წავედით.

- იმ სოკოს რა ჰქვია?
- არ ვიცი.
- მოვშინჯოთ, ვჭამოთ.
- აშშობენ, რომ ზოგიერთი სოკო მაწყენარიაო, არ გაბედო, არ შეჭამო ჩემო ბულბულა, არა.
- ცოტას მოვშინჯავ. დედაჩემი ხომ ასეთ სოკოებს ჰკრეფს.
- სოკო სოკოს ჰგავს ბულბულა, აბა, ჩვენ რა ვიცით დედაშენი ან დედაჩემი რომელ სოკოს ჰკრეფს.

ბულბულამ არ დამიჯერა და ჩუმად მოქბიჩა სოკო და შეჭამა. შეორე-ჯერ რომ მოკბიჩა, მე მივვარდი მასთან და ხელიდან ეგამოვართვი სოკო.

— დედაშ მითხრა, ისეთი სოკოცაა, კაცს მოჰკლავსო და არასოდეს შენ მარტოდ სოკოს მოსაკრეფად არ წასვიდეო. მეტი აღარ მოქბიჩა, არ ჩაიდო სოკო პირში, თორემ გაგლაზავ, თმით თრევა-თრევით ჩაგიყვან სახლში, — დავერმუქრე მე. ბულბულას აჩ მოეწონა ჩემი გაწყრობა და უმალვე გამე-ბუტა. არ მინდა შენთან ყოფნაო, და სახლისკენ მოჰკურულტლა. მე, გამოვე-დევნე. ბულბულა ისე მითერინავდა, რომ ვერ დავეწიე. სახლთან უცებ დე-დაჩემი და დეიდა ხატიჯე შემოგვედა. მათ ბულბულა შეაჩერეს. რატომ მოსდევდი, რად შეაშინე გოგოო, დედა მე მიწყრებოდა, გაგლაზავო გემუ-ქრებოდა.

— ბულბულა გავაფრთხილე, არ გვეჭამა სოკო; ზოგიერთი სოკო შეა-მიანია და მოგვწამლავს-მეთქი, ასე მასწავლა დედაშ და დეიდა ხატიჯე-მეთქი. მე არ დამიჯერა და სოკო ჭამა. რომ მოვდეს ბულბულა, მერე რა

ვენა, მე ხომ დამაბრალებთ, შენ წაიყვანე ტყეში და შენი ბრალი სრაპასზუპით ვეუბნებოდი ჩემს სათაყვანებელ ადამიანებს და თქა მეტებულები და, არ გაგლახონ-მეტე.

— ნენევ, ნენევ, რა უქნიათ, — ამოიხერა დეიდა ხატიჯემ.

— აბა მაჩვენე გოგოვ, რომელი სოკო შეჭამე, — ჰეთხა დეიდა ხატიჯემ ბულბულს.

ბულბულს ხელში ეჭირა სოკო და ვერ ბედავდა ეჩვენებინა. დეიდამ ხელი მოჰკიდა, ბულბული სოკოს შორს გაქნევა სცადა, მაგრამ იქვე ახლოს დაგორდა. მივიდა დედაჩემი და მოიტანა სოკო. ორივემ კარგად გასინჯეს სოკო და დაძუკვნეს, რომ ეს საჭმელი სოკო არაა, ეს შხამიანი სოკოა.

— თქვე არ გაქაფაქლებო, რამ გაჭამათ ეს სოკო. რამ წაგიყვანათ ტყეში. — სწყრებოდა დედა.

— წამოდი, გოგო, წაშოდი სახლში, რაღაც წამალი დაგალევინო, თორემ ვინ იცის რა მოგივა, — უთხრა დეიდა ხატიჯემ და ბულბულა წინ წავდეს.

დეიდა ხატიჯემ შინაურული მკურნალობა იცოდა. იცოდა, რით გაანელებდა სოკოს შხამს და უნდოდა ახლავე ეშველა ბულბულს თვის, თორემ შემდეგ იქნებ გვიანი იქნებოდა. მერე ბულბულს დედას ვინდა გააკაცებდა, ტირილ-ყვირილით სოფელს გააყრულებდა, მთელი მილეონი აქ შეიყრებოდა. არ უნდოდათ, რომ დედამისს ეს გაეგო. ამიტომ სწრაფად წაიყვანა დეიდა ხატიჯემ თავის სახლში, დედაც მიჰყვა. მეც უკან მივდევდი. სახლში მისვლამდე ბულბულა ცუდად შეაქვნა, ფერი ეცვალა, გული ერეოდა, თავბრუ მესქმისო, ამბობდა. ბულბულა სწრაფად ლოგიონში დააწვინეს. დეიდა ხატიჯემ ჭერ რაღაც წაშალი დაალევინა, მერე თბილი წყალი: ერთი, ორი, სამი, ოთხი ჭიქა... და ბულბულამ პირს ასაქმა. სტიროდა და თან პირიდან აქცევდა სოკოს შხამს. დაიწრიტა გოგო... მერე კიდევ რაღაც დაალევინა დეიდა ხატიჯემ და ბულბულს მალე ჩაეგინა. საღამომდე ეძინა ბულბულას. საღამოხანს თვალი გაახილა და საჭმელი მოითხოვა. დეიდა ხატიჯემ თაფლი და შესადი შიართეთა, ესეც წამალიაო. დედამისს შეუთვალეს, ბულბულს ამაღამ დეიდა ხატიჯესთან უნდა დარჩენა და ნუ იდარებებსო. რა იცოდა ბულბულს დედამ, თორემ იქნებ მე დამაბრალებდა ყველაფერს და მისი გულის მოსაგებად დედაჩემი მაგრად მიმბერტყავდა. მაგრამ ბულბულს დედამ გულუბრყვილოდ დაიჯერა და სანახვად არ მოსულა. მე გვიანმდე ბალიშთან ვუჭექი ბულბულს და ხმას არ ვიღებდი. ბულბულას თვალები მილულვოდა, თითქოს ეძინა. დედაჩემი და დეიდა ხატიჯე იქვე იქდნენ და მასლათთობდნენ.

— არაფერი რომ ეთქვათ ამ ბალნებს, მაშინ რა ეშველებოდა გოგოს, — სინანულით თქვა დედამ.

— უჰ, უჰ, ნუ იტყვი ასმათ ხანუმ, ნუ იტყვი, იქნებ ვერც კი გაღაიტა-

ნდა, — თქვა დეიდა ხატიჯემ... და გაიხსენა ერთი ძველი ამბავი: ჩემმა ზი-ძოშიღლმა, ერთი სოკო შეჭამა ტყეუში და მაშინვე ცუდად გახდა, სახლმი ძლიერს ჩამოალწია, ლოგინმი ჩავარდა, გონება დაპკარგა და ჭირი მოგვარა. არავინ იცოდა რა დაემართა, პირველად არც თვითონ თქვა, მერე და ძალი-ან თუ მოგერევა სოფო, აღარც წამალი გიშველის. იქნებ გიშველოს ექიმმა, მაგრამ სად იყო სოფელში ექიმი.

— ვაიმე, ვაიმე, — ამოიხხრა დედამ, — ბაღნებს თვალყური უნდა ვკლევნოთ, რომ ტყეუში მარტო არ წავიღნენ, თორემ დავიღუპებით ზატი-ჯე-ხანუშ! — გულდოთუთქულად თქვა დედახემმა, მერე მივიღა ბულბუ-ლისთან, შუბლზე ხელი დაადო, მადლობა გამჩენს, სიცხე არა აქვსო, კარ-გია, რომ ჩაძინებიან.

დეიდა ხატიჯემაც გადაუსვა შუბლზე ხელი, აკოცა ბულბულას და თქვა: — აქვე დავუგოთ ლოგინი ჯემალსაც; ხომ ხედავ ერთმანეთს არ სცი-ლდებიან ეს ეშმაკუნები!

ბულბულას გვერდით დამიგეს ლოგინი და დამარტვინეს. მე ჩამეძინა და აღარ მახსოვს როდის წავიღნენ ისინი ოთახიდან. მხოლოდ ადრე დი-ლით დეიდა ხატიჯემ შემოიჭირიტა. ჩვენ ესაუბრობდით, ვეჯილინებოდით ერთმანეთს.

— პაი, თქვე, შეითნებო, კიდევ არ ისვენებთ ზომ! აწ, მარტო ხოშ არ წახელთ ტყეუში? — ჩაგვეკითხა ორივეს. დეიდა ზატიჯეს თვალებში მუ-ჭარაც ამოვიკითხეთ.

— არა. — ვუპასუხეთ ერთად.

— დაიფიცეთ.

— მზეს ვთიცავთ, ჭარის გამჩენს ვფიცავთ, არა — დავიფიცეთ ჩვენ.

— კარგი, ფიცის გამტებს ღმერთი დასჭის, ენას გაუშეშებს, ამიტომ მუ-დამ გახსოვდეთ ფიცი, — გაგვაფრთხილა დეიდა ხატიჯემ.

— არ დავიფიცებთ დეიდა ხატიჯე. არა, — წამოვიძახეთ ორივემ.

— მაშ, თქვენ კარგ საუზმეს მოგიმზადებთ. ერთი საათის შემდეგ ადექით...

და როცა ერთი საათის შემდეგ სამზარეულოში შევედით, სუთრა გაე-შალათ, ბულბულას დედაც მობრძანებულიყო და დეიდა ხატიჯეც მას უამ-ბობდა წუხანდელ ამბავს.

— დედა, დედა, ბეღზე არ შევხვდითო, — ამოიგვნეშა დეიდა ხატიჯემ.

ბულბულას დედა თრთოდა, ფერი წასვლოდა და ენას ვერ იღებდა.

— ვაიმე, შვილო ბულბულა, რაღა მეშველებოდა მაშინ, — ეს თქვა ბულბულას დედამ და შვილი გულში ჩაიკრა. გასაწყრომად ვეღარ გაი-მეტა.

მზე უკვე აცხუნებდა. ტოლები მოგვიჟინებდნენ. ვინდა გაგვახერებ-და სახლში... მე და ბულბულა ხელიდან გავუსხლტით ჩვენს საყვარელ

აღამიანებს, ბილიკი სწრაფად ჩავირპინეთ და ტოლებს შევერიყო უკინებელი გადასახლის სიცოცხლესა და ეშხს ჰმატებდნენ.

2

— რატომ ხარ მოწყენილი? — მკითხა დედამ.

— არ ვიცი, დედა.

— პირზე ფერი არა გაქვს. საღმე უჟმური ხომ არ აგყვა? — მკითხა დედა ხატიჯემ.

— არ ვიცი დედა ხატიჯე.

ბულბულა ჩემს გვერდით მოწყენილი იჭდა. ისიც დარდობდა, რა მოუვიდათ ჯემალს. დედა და დედა ხატიჯე რალაცას ჩუმად ჩურჩულებდნენ. მერე ისევ მეითხეს, იქნებ ღამით „ჭინკების ღელეში“ გამოიარე და შეგე-შინდათ. „ჭინკების ღელეს“ ეძახოლნენ ერთ ადგილს წისქვილის ახლოს, სადაც თითქოს ხანდახან ჭინკები ქორშილს მართავდნენ, თითქოს თვალით ენახოთ ბერიეაცებს. ამიტომ იმ ადგილს ღამით არავინ ეკარებოდა. ნაქი-ლისართან მიმავალს „ჭინკების ღელე“ უნდა გაევლო. ბულბულამ გა-მამულავნა, რომ გუშინ გვიან ნაქილისართან სათამაშოდ წავედით ზე და ბულბულას სტუმარი ნათესავი გვი — იგი ცხმორისელი იყო. როცა შინ გბრუნდებოდით, უკვე ღამე ტახტზე იჭდა. „ჭინკების ღელის“ ამბავი სტუ-მარმა არ იცოდა, და არც ართერი მითქვამს მისთვის, ხოლო მე ღამის გუ-ლი გამისკდა. კიდევ დამელანდა რალაც ვება, ტყის კაცივით რომ დაბო-რიალებდა ხევში, მაგრამ კრინტი არ დამიძრავს, შიშისაგან დაგმუნჯდი. „რა საშინელი ყოფილა შიში!“ ვამბობდი გულში.

— „ჭინკების ღელეში“ ხომ არ დაგაშინათ ვინმემ? — მკითხა დედა ხატიჯემ.

— არა, — ვიცრუე მე. ისე კი ნამდვილად ვნახე ბანჯგვლიანი კაცი ხევდახევ რომ მიიზღაუნებოდა.

ჩემმა საყვარელმა აღამიანებმა დაკითხვა მოათავეს. მერე და-ბალი ხმით მსჯელობდნენ, უნდოდათ გაეგოთ ნამდვილი მიზეზი. ისიც მითხრეს, იქნებ ნაქილისარის კედელთან მოშარდე და იქიდან აგყვა უჟ-მურიო. მართლაც მოვშარდეთ ნაქილისარის კედელთან, მაგრამ როგორ ვიტყოდი. სტუმარი ბიჭუნა, რომელიც ჩემზე სამი წლით უფროსი იქნე-ბოდა, ყველაფერზე უარს ამბობდა. იგი კარგად გრძნობდა თავს, მე კი თითქოს ეშმავი შემიჩნდა სულში და მოსვერებას აღარ მაძლევდა, რალაც შიშის ცეკვინობდი. დეიდა ხატიჯე და დედამ ბოლოს დასკვნეს: ამ ბაღნე-ბმა ნაქილისართან მოშარდეს და იქ უჟმური აპყვა ჯემალს, ხოლო ის ბიჭი ბედზე გადარჩა. მერე „ჭინკების ღელე“ რომ გამოიარეს, ისიც ღამე, რალაც მოელანდა ჯემალს და შევინდა... და უჟმურს ესეც დაემატა. თა-ფლის ფიჭა ვუხრიოლოთ, ხეალ კი მაყვალას დედა „ფალჯი“ ფატი მოვი-ყვანოთ. იმან იცის კარგი მკურნალობა, ჯაჭვში გატარება. თუკი რჩანაც ვერ უშველა, ექიმი ამოვიყვანოთ. რაკი „ჭინკების ღელეში“ თვალშიარუ-

ლია, მარტო ეს ვერ უშეველის, ხოჯას უნდა ვაკითხვინოთ. არც ეტე იქნება  
საყმარისი. რაკი ნაქილისართან მოშარდეს, და იქიდან აპყვა უურუო,  
მღვდელმაც უნდა უკითხოსო, იმ ღამეს, დაწოლის წინ თაფლის ფიჭი ცე-  
ცხლზე დაყარეს და მიხრჩოლეს. მალე ჩამეძინა... აი, ვხედავ სიზმარში,  
ორი ღიღი მურა ძაღლი შემოვიდა ჩემთან ოთახში. ერთ ძაღლს, შავს, სუთი  
ფეხი აქვს, მეორეს, ბრეშს კი სამი. ჩემსკენ მოიღერეს საშინელი დიდი  
დრუსტები და თითქოს შეჭმას მიღირებდნენ. ღამის გული გამისკდა და სა-  
შინლად აუყვირდი. ყვირილი რომ გაიგონეს, ჩემთან შემოცვერდნენ და აი,  
თურმე რა ნახეს: თვალები დამეჭყიტა და ჰერს მიღმტერებოდი. გამაღვიძეს.  
ვკანკალებდი. დედამ ჩელში ამიყვანა და გულში ჩამიტება. დედა სტირო-  
და, ცულამოსკვნილი სტიროდა, ღამეღუპა ბიჭიო. დეიდა წატიჯე ამშვიდებ-  
და დედას, ნუ გეშინია, გაღაუვლისო. იმ ღამეს დედამ ჩემს სასტუმალთან  
გაათენა. დილით „ფალკი“ ფატი მოიყვანეს. ჭრ კარტი გაშალა. მიმკით-  
ხვა. მან თქვა: უუმური აპყოლია, ნუ გეშინიათ, მორჩებაო; თანაც ურჩია  
დედას — მე რომ მკურნალობას მოვათვებ, მერე ხოჯის და მღვდლის კი-  
თხვა უნდაო, ექიმსაც ანახეთო. ერთ კვირას მკურნალობდა „ფალკი“ ფა-  
ტი. თვისი გასამრჩელო მიიღო და წავიდა. ვერ მოვგობინდი, სიარული  
მიჰირდა, მამამ ქალაქიდან მოიყვანა მისი ნაცნობი ფერშალი ქილიფთარ  
ბიძია. მსინჯა, მსინჯა და ბოლოს მამაჩემს უთხრა: — ეს ბაღანა შეშინე-  
ბულია, შთაგონება უნდა, რომ გაუქარდეს შიში სულიდან. ჩემი წამა-  
ლიც დალიოს, ხოჯასთანაც მიიყვანე და მღვდელთანაც. ერთ-ორ კვირას,  
რომ უკითხონ, აუცილებლად მორჩება, ნურაფრის შეგვეშინდებათო. ქი-  
ლიფთარ ბიძიას სიტყვებმა გული ღამიმშვიდა, თითქოს ცოტათი მოვგო-  
ბინდი კიდეც. „რა სასიამოვნო ყოფილა კარგი სიტყვა. როცა გავიზრდები,  
მეც ასე დავაიმედებ სხვებს და გულს გავუხარებ“, გავიფიქრე მე. წასვ-  
ლისას ქილიფთარ ბიძიამ გადამკოცნა, ნუ გეშინია, მალე ფეხზე დადგე-  
ბიო; გიბიდან კამფეტები ამოიღო და მომაწოდა — ჭამე ჩემო ბიჭუნავ,  
ესეც წამალიაო. ოჯახაშენებულმა როგორ გამიხარა გული. „სულ მეყვა-  
რება ქილიფთარ ბიძია. როცა გავიზრდები და ფული მექნება, კარგ სა-  
ჩქარის გუყიდი და მიგარმევ“, ვფიქრობდი მე. მამამ ეზოს ჭიშკრამდე  
მიაცილა ქილიფთარ ბიძია.

— დიდი მაღლობაო, — გავიგონე მამაჩემის ხმა.

— იცოცხლე. ნახვამდის! — უთხრა ქილიფთარ ბიძიამ. ერთხანს მისი  
ფეხის ხმა მეშმოდა, მერე კი მიწყდა.

სამი ღლის შემდევ მამამ ქალაქში წამიყვანა. თურმე წინასწარ მოლა-  
პარაკებოდა მღვდელსაც და ხოჯასაც.

ხოჯა ზოგისპირად ცხოვრობდა, ახლა რომ შინმოუსვლელთა აბელის-  
კი დგას, იმის პირდაპირ. პირველად რომ მიმიყვანა მასთან, ხოჯა მომეფე-  
რა, აა ქოჩორა ბიჭი ყოფილაო, მომისვა გვერდით, გადაშალა სქელი წიგ-  
ნი და დაიწყო კითხვა. ხშირად ამთქნარებდა კიდეც, თვალნაცემიც არისო,

უთხრა მარა. ხანდახან შემიბერავდა და თან დააყოლებდა, გრაფუქლით  
აქედან შეითნებოთ. თითქოს ჩემი სულიდან ეშმაკებს მიერცხუბოდა. აქე-  
დან მერე ეკლესიაში წავედით მღვდელთან. მღვდელმა რომ მნახა, ეს რა  
კარგი ბიჭუნა ყოფილაო და თავზე ჰელი გადამისვა. მამას უთხრა: ქრისტე-  
ლმერთს და წმინდა მარიამს ვთხოვ, შეიწყალონ შენი ბიჭი და განკურნო-  
ნო. ჩემს თხოვნას ისინი შეისმენენ და შენი ბიჭი შალე კარგად იქნებაო. მღვდელი  
შიკითხავდა წიგნიდან, მიკითხავდა კი არა, გალობდა, ხანდახან  
დასტენდა ხოლმე — ქრისტე ლმერთო, შეიწყალე უცოდველი ბიჭუნა და  
მისი სულიდან ეშმაკები ამობერტყე. წმინდათ მარიამ, გევედრები, მოარ-  
ჩინე ოქროსფერთმიანი ბიჭი, ამინ! ხელებს აღაყრობდა და ხმას უმატე-  
ბდა. შე რა ვიცოდი ვინ იყო ქრისტე ლმერთი ან წმინდა მარიამი, და გაო-  
გნებული ვუცეროდი მღვდელს. ხან სურათებს ვაკვირდებოდი. ძალიან  
მომეწონა ეკლესია. მღვდელმა მითხრა: — ი, ეს ქრისტე ლმერთია, მე მას  
ვევედრები, რომ შენ მალე მოგარჩინოსო. მეორეჯერ რომ მივედით  
მღვდელთან, თქვა: წუხელ სიზმარში ქრისტეს დედა მარიამი მოვიდა და  
მითხრა, იმ ბიჭს, შენთან რომ მოჰყავთ, ი, ეს წამალი დაალევინე და მო-  
რჩებაო. მღვდელმა პატარა ჭიქით წამალი დამალევინა. ტკბილი იყო. სუ-  
ლში რაღაც სიამე ვიგრძენი. მამამ დამარიგა: წასვლისას მღვდელს ხელ-  
ზე აკოცე და მაღლობა უთხარიო. მეც ვასრულებდი მამის დარიგებას.  
ამით უფრო მოგაწონე მღვდელს თავი, ზრდილობიანი ბიჭი ყოფილა,  
თავზე ხელს გადამისვამდა და ხმამაღლა იტყოდა, ქრისტე ლმერთი შეგე-  
წიოსო...

თხუთმეტ დღეს დავყავდი მამას მღვდელთან და ხოჯასთან... ერთხელ  
კიდევ მინახულა ქილიფთარ ბიძიამ, ახალი წამლები გამომიწერა და თან  
ღიმილით თქვა: — ეს ბალი უკვე თითქმის გამოცეცებულა, აწ, ნურაფ-  
რის შიში ნუ გექნებათო, მერე და მერე აღარ დამსიზმრებია საძაგელი  
ძალები. მერე და მერე მეძინა მშვიდად. თანდათან ფეხზე დავდექი და  
ჩემი ბულბულას გულიც გავაჩარე.

— რა მეშეველებოდა, შენ რომ რამე მოგსვლოდა, — მითხრა ბულბუ-  
ლამ, ეზოში რომ გამოვედი და მივახარე, აწ არაფერი მიჭირს-მეტქი.

— რატომ? განა უჩემოდ ვერ გაძლებ ჩემო ბულბულა? — ვკითხე მე.

— ვერა, უშენოდ ვერ გავძლებ, — თქვა და თავი ჩაღუნა.

მალე მოვკეთდი. მე და ბულბულა მინდორ-მინდორ კვლავ ყვაფილებს  
ვპრეფდით. დავით მებალესაც ვპარავდით ყვავილებს, კონებად შეკრავ-  
დით ხოლმე და სახლში მიგვქონდა. არა, სახლში კი არ მიგვქონდა, ჩვენს  
„სათამაშო სახლში“ ვმალავდით, თორემ გაგვიგებდნენ უფროსები და გა-  
ვიწყრებოდნენ კი არა, წნელით გვერდებს დაგვიწითლებდნენ.

— გახსოვს ის დღები, დეიდა ხატიჯე? — ვკითხე მე.

— გული ახლაც მიკანკალებს, შვილო, შენ რომ ავად გახდი. ლმერთმა

დღეგრძელი მოგცეს, — ეს თქვა, ადგა, მომენტია და ჩამკოცნა. თან იცი-  
რემლებოდა. იმ დღეთა გახსენებამ გული აუჩუყა. ვინ იცის ჭიდვების ტკბილ-  
ავონდა დეიდა ხატიჯეს!

3

შუაღამე გაღასულია. მე ბებიასთან მშინავს, ისმის კვნესა, საშინელი  
კვნესა. ბებია თვალს ახელს. მეც თვალს ვახელ, ბებია ადგა და ლაშპას  
პატრუქი აუწია, ოთახი განათდა. ვხედავ, ჩემი დედა ლოგინზე წამომჭდა-  
რა და სწუხს, კვნესის.

— რა დაგემართა ასმათ? — ჰკითხა შეშინებულმა ბებიამ. მე გული  
ბიკანებულებს. დედაჩემი არაფერს პასუხობს. ბებია უმეორებს შეკითხვას.  
ზედა ვაწვება ლოგინზე, ერთს ამოიგვენეშებს, ფეხებს გაწვართავს. მერე  
ერთხანს მარცხენა ფეხი თავისთვად მოძრაობდა. ბებია მივიდა დედა-  
თან. ხელი წავლო. სდუმდა დედა და კვნესოდა. არაფერი ესმოდა.  
ხელი ფეხზე შეავლო, ვერაფერი გაუგო, ფეხი კვლავ უთროოდა. ოჲ, მე  
გული მიწუხდა, ნერვები ამიკანკალდა, გონება ამერია. მინდონდა მეყვირა  
— დედა. დედა-მეფე, მაგრამ შიშისგან გული კინაღამ წამივიდა. დედას  
ფეხზეთ მივუჯექი და გაშტერებული ვუცემეროდი, სურადა ჩემი ზედა,  
მე ვერ ვიტანდი მის დუმილს, მინდონდა ხმა ამოერო, ხმა გაცცა ჩემოვის  
ბებიასთვის. მაგრამ არა, სდუმდა ჩემი დედა. ბებიამ სველი ტალი მოუკა-  
თავზე, აანდი დაუსრისა საფეხქლები.

— ამოიღე ხმა, შვილო, ამოიღე! — ჩასძახა ბებიამ. დედას არაფერი  
ესმოდა. — რა დაგემართა, შვილო, რა, მითხარი, შენ გეყურბანე ასმათ,  
ამოიღე ხმა, ამოიღე!

სდუმდა ჩემი დედა, სწუხდა ჩემი დედა, კვნებოდა ჩემი დედა, მე  
ვტიროდი ჩუმად, მე მიკვდებოდა გული, რომ ჩემს ტკბილად მოჭირებე  
დედას ენა ჩაუვარდა, ხმას ვერ იღებს, სიტყვას ვერ ამბობს. ოჲ, ღმერთო,  
რა ვუშველო ჩემს დედას! ბებია შეშინდა, კარი გააღო და შვილები, შვი-  
ლიშვილები გააღვიძა. ყველანი მოგროვდნენ ჩვენს ოთახში, დედას შემო-  
ეხვინენ. ფუსფუსებდნენ, ჩურჩულებდნენ, სტიროდნენ, გვნეშოდნენ,  
ღმერთს ევედრებოდნენ გაჭირვებული დედაჩემის გადარჩენას, საბრალოდ  
თავჩაღუნული და მტირალი რომ მნახს, შევეცოდე ვკელი. ხან ერთი  
მეფეებოდა, ხან მეორე, ნუ გეშინია, მორჩება შენი დედაო.

ჩურჩული... შელოცვა... ეჭვი... წუხილი...

ბიძაჩემი გარეთ გავარდა და უმალ დეიდა ხატიჯე მოიყვანა. იგი ისე  
შინჯავდა დედაჩემს, ექიმი გეგონებოდა. ვერაფერი გაუგო, თავი გააქნია-  
მერე რაღაც გალესა წყალში და სცადა დაელევინებინა დედასათვის, მაა-  
რამ პირი ვერ გააღებინეს, გონზე ვერ მოიყვანეს.

ჩემი სლუკუნი... სლუკუნი... ცრემლი... ცრემლი... ცრემლი... გულა  
გიღულს, სული მიღულს. ვტირი გულამოსკვინილი, ვტირი ჩემდაუზებულია.

„ფალგი“ ფატიც მოიყვანეს. ჩა არ იღონა იმ შეითანხმა — ხან ფეხი უსრიალა, ხან ხელი, მაგრამ არა, დედაჩემს არაფერი ესმოდა, ოზრავდა.

— ვაი შვილო, ვაი შვილო — ოხრავდა ბებია.

— ვაი მამიდაჩემო, ვაი. მამიდაჩემო — ლულლულებდა ჩემი ბიძა-  
შვილი.

ვაით და ვიშით გაათენა ყველაში.

ცისცარმა რომ თეთრი ფრთა შემოჰკრა მთებს, ბიძაჩემი აფრინეს ექიმ, გონიასთან.

მზე კარგად იყო სოფელს მოდებული, რომ ბიძაჩემთა ექიმი ტონია ამოიყვანა. მას გოგო მურა აღარ ახლდა. ამბობდნენ, რამაზს არიდებს დედაო და თან აღარ დაჰყავსო. ერთხმა ისიც თქვა, გოგო რესეტში გაგზავნა, რამაზმა რომ ვეღარ ნახოსო. დილჩანს სინჯავდა ტონია დედაჩემს.

— Ax, парадич! — ხმაგაბზარულად თქვა ექიმშა და ატირდა. იგი დედაქემს იცნობდა. დედაქემი თავს ცუდად გრძნობდა და ამ ერთ თვეში სამჯერ ჩავიდა „დუქნებთან“ და ინახულა ექიმი. მეც თან ვახლდი, მაშინ მურაც სახლში იყო. ქართულად გამელაპარაკა.

— ଦିନ୍ଦିକୁଳ, ରାତ୍ରିଶୁଲୀ କିମ୍ବା? — ମୁଣିତଙ୍କ ମୁଖରୀମ.

— ၁၇၁-မြိုက်နှုန်း

କୁଳିଲିମା ଓ ମାତ୍ରାଙ୍କ...

ექიმმა ტონიამ ბიძაჩემს ურჩია აუცილებლად საავადმყოფოში დაწვინეთო. მე მომეფერა. რა ვიცოდი რა იყო პარალიზი. ალბათ ბიძაჩემი ხვდებოდა, რა უბედურებაც გვჰქირდა.

— Бедный Мальчик! — тѣъза ექიმիა და პორტფელიდან ცხვირსა-  
ხოცი აძლილო და ცრემლი მოიხოცა. დაიმედა ყველა, დაემშვიდობა და  
შავიდა.

ପାଇବିଗଲି ଶ୍ରୀମତ୍ ଦୁର୍ଗାଲୀ.

შამაჩემმა ცნობილი ექიმი ზურაბ ჭერეთველი ამოიყვანა. ბევრი შინგა. შინგა და თქვა: დამბლაა. სისხლი აქვს ჩაქცეული ტვინში, ნემსებს გამოვ-ჭერ. ერთი კვირის შემდეგ მაცნობეთ როგორ იქნება. კიდევ ამოვყევები ომარ ეფუნდისო. მე შუბლზე მაკავა. ერთი კამატიდა მომდა და წავიდა.

მე არ ვიცოდი რა იყო დამბლა, რას ნიშნავდა ტვირში სისხლის ჩაქ-  
ცევა, მაგრამ დედაქემს ძალიან შეწუხებულს, უენოდ მწილარეს რომ  
პედავდი, კაჩზე მომდგარ უბეღურებას ვგრძნობდი...

ერთი კვირაც და... დილით ჩემი დედა მიიცვალა.

ზოგი ტმამალლა სტიროდა, ზოგი ბლაოდა, ზოგი თმებს იგლეჭიდა.

ჩემი ძმები სტიროლნენ.

სტიროდა მამაჩემი, სტიროდა დეიდაჩემი, სტიროდნენ ბიძაჩემები.  
სტიროდნენ ჩემი ბიძაშვილები, ჩემი ბიცოლები.

ყველა სტიროდა.

სტიროდა ჩემი ბულბულაც. ომებს იგლეჭდა, ბლაოდა დეიდა ხატიჯე.

— ასმათ ხანუმს შენი ლამაზი ტირილი დაშვენდება, — უთხრა ქაზიმ მეჩინგურემ. დაჭექი და იტირე შენი ლამაზი ხმით.

— ბატონო ქაზიმ, შენ განთქმული ჩვენი საყვარელი მეჩინგურე და მელექესე ხარ. შენი ჩონგური და გულდამთუთქელი ლექსი დაშვენდება ასმათ ხანუმს. აგერ დაჭექი ჩემს გვერდით. მე რომ გულს ვიჭერებ ტირილით, მერე შენ აატირე შენი ჩონგური და შენი ლექსი, — უთხრა დეიდა ხატიჯემ.

— ქალბატონი ასმათი ლირსია ჩვენი ტირილისა, — თქვა ქაზიმ მეჩინგურემ. — მარხვობის თვეში რამდენჯერ მნახა ძიგარას ვწევდი, ან წყალი დავლიე, მაგრამ არ გაუმჟღავნებივარ. ჩემმა ხანუმმა კი ერთხელ დამინახა და კინალამ მთელ სოფელს მოსდო — ჩემი ქმარი გადარეულა, რამაზანი გასტეხა, არ მარხულობს, შეითნიანი კაცია, რა მეშველება, ხოჭის კითხვა და ჭაჭვში გატარება უნდაო.

— ვენაცვალე ასმათ ხანუმს, რა კეთილი ქალი იყო! — თქვა ერთმა.

მე უგონოდ ვიჯექი დედის ფერხთან და ვგოდებდი... ვგოდებდი, ვგოდებდი...

დეიდა ხატიჯემ ასე დაატირა დედაჩემს: — ქალბატონო ასმათ. საყვარელი ქალი იყავი. ტკბილი თაფლივით, მშრომელი ფუტკარივით, უხმო, მეზობლების, ნათესავ-მოკეთეების მოყვარული. მაღლიანი იყავი. მზიანი ქალი იყავი. შენისთანა ადამიანი ათასში ერთი თუ გამოვა, შენ ყველაზე უკეთესი იყავი, გამორჩეული, ლამაზი, ალერსიანი. ჭერ ახალგაზრდა ხარ, ოცდათოთხმეტი წლისა თუ იქნები, როგორ უნდა მიგაბაროთ შავ მიწას. როგორ უნდა დაგაყაროთ მიწა გულზე! ახ, ახ, ახ! შენ ქვეყნის ულამაზე-სო ვარდო, სურნელოვანო, ტკბილო, თბილო, სიხარულო და სიყვარულო. ახ, ახ, ახ!..

დეიდა ხატიჯესთან ერთად ჰელებდნენ ქალები. ვგოდებდი მეც...

...მე ვკითხულობ და თან ვტირი. დეიდა ხატიჯე ზმანიალლა ტირის. სულოც ტირის, გულოც...

— ქაზიმ მეჩინგურემ რომ დაატირა, იგი ჩემი გულისთქმაც იყო, მიამიტი ბავშვის გულითქმა და ახლაც ჩემი გულისთქმა. მე ჩემი დედულე-თის იმ უჩინარი პოეტის გულს ჩემი გულიც მინდა შევუერთო. თითქოს ახლაც ვზივარ დედის ფერხთით. იქვეა ქაზიმ მეჩინგურეც და ჩვენ ერთად ვგოდებთ...

ქაშიმ მეჩონგურემ ასე დაიტირა ჩემი დედა:  
 მე სიტყვები არ მეყოფა ქალბატონო ასმათ,  
 მე ცრემლები არ მეყოფა ქალბატონო ასმათ,  
 რომ გიტირო.  
 საყვარელო დაო, უწყინარო დაო,  
 შენ სოფელს რომ მოაკლდი,  
 მოაკლდა ერთი სკა,  
 მოაკლდა ერთი ფუთი თაფლი,  
 მოაკლდა ასი სანთელი,  
 მოაკლდა ასი ვარდი,  
 მოაკლდა ათი წყარო,  
 მოაკლდა ათი ნუშის ხე,  
 შენ რომ ამ აყვავებულ სოფელს სტოვებ დაო.  
 შენ რომ ამ ტებილ მზეს სტოვებ დაო,  
 შენ რომ ამ გემრიელ წყაროებს სტოვებ დაო,  
 გული მიკვდება დაო...  
 საღ მიხვალ, ამაზე უკეთეს  
 აყვავებულ ქვეყანას საღ ნახავ!  
 დარჩი ჩემო დაო და გაგვახარე ჩემო დაო,  
 დარჩი ჩვენთან...  
 შენი ხელით გამოცხობილი ცხელი მჭადი გვინდა.  
 შენი ხელით მოტანილი თაფლი გვინდა,  
 დარჩი, დარჩი ქალბატონო ასმათ...

(გაგრძელება იქნება)

ოთარ გუმბერიძე

## ს კ ზ ღ გ რ თ ა ნ

მოულოდნელად შეიცვალა ამინდი. მთებში ხშირად ხდება ხოლმე ასე. შუადღისას ჭექა-ქუხილი ატყდა და ისე ჩამობნელდა, თითქოს და-ლამდაო. მტვინვარე ქარი ამოიჭრა და შემდეგ მთელი სამი დღე ივლარი დათარეშობდა მთებში. ხან კოკისპირულდ წვიმდა, ხანაც ქარი დაჭრილ ნაღირივით ღმუოდა, ზემოთ უზარმაზარ ხეებს ულმობლად ლეჭავდა, ქვემოთ კი ჩანჩქერების გრიალი ისმოდა. ისინა ზაფხულობით პატარები და სუსტები, ახლა მრისხანე ძალად იქცნენ, ძირს უთხრიდნენ საბრალო ხეებს და მერე დაბლობისაკენ ისეთი ხმაურით მიაქანებდნენ, თითქოს უდროოდ დაღუბულთა უკანასკნელ გზას მისტირიანო.

კარგი დღე არც ბალ-ვენახებს და ყანა-სიმინდებს არ დასდგომიათ. ამ ბარაქიან მხარეს დიდი ხანია თავს არ დასტებია ამგვარი ივლარი.

სარეისო ავტობუსი, რომელიც ქალაქიდან ყოველ დილა-საღამოს მოდიოდა, აღარ მოძრაობდა. სატელეფონო კავშირი რაიონულ ცენტრთან და მეზობელ სოფლებთან შეწყდა.

მაგრამ აი, თითქოს სამამულო ომის მქუხარე დღეებმა ჩაიარესო — ცხრა მაისი არაჩვეულებრივი მჟიანი და წყნარი გათენდა. ვინ იცის, იქნებ რაღაც უხილავმა ძალამ საბჭოთა ხალხის გამარჯვების დღეს აიძულა ბუ-ნება დამშვიდებულიყო. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობდა დაუთი და კარგ დღეს კარგი ამინდი რომ დაერთო, ამას იგი ყველაზე უფრო შეპ-ხაროდა.

ამის საფუძველიც გააჩნდა. მას კარგად ახსოვს, რა დაუჭდა ხალხს, და პირადად მას, ეს გამარჯვება.

სოფლელი ბიჭი კარში უულვაშო წავიდა და უკან დადინჯებულ მა-

მაკაცად დაბრუნდა. მკერდს უმშვენებდა სამამულო ომის მეორე ხარისხის და ორი წითელი დროშის ორდენი, მედლებს ხომ ვერ დამტკიცდა.

ომის პირველი დღიდან, მის გამარჯვებით დამთავრებამდე იბრძოდა აჭარელი კოლმეურნე დაუთ ოსმანის აქ ხინკილაძე. 1418 დღე არ გაუშვია ხელიდან იარაღი, მასთან ეძინა, ჭამდა, სვამდა, იარაღით იხვევდა უკან, და უფრო ხშირად შეტევებზე გადადიოდა.

იარაღი ეკავა ხელში, როცა პარტიის კანდიდატი ხდებოდა. კრება სანგარში ტარდებოდა, ბრძოლების შუალედში. სიბნელეში განცხადებას და რეკომენდაციებს პაპიროსის სინათლეზე კითხულობდნენ.

დაუთს ხელში იგივე შაშხანა ეჭირა, როცა პარტიის წევრად მიიღეს. ომი მკაცრი გამოცდა იყო ყველასათვის და დაუთს მცირე დროც ეყო, რომ თავი გამოიწინა.

ეს ყველაფერი, როგორც იტყვიან, უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა. კარგაზანია ათასობით სხვა მეომრებთან ერთად დაუთიც მშვიდობიან შრომის დაუბრუნდა, გარისკაცის ფარავა გაიხადა და იმ სიმალლეების დაპყრობას შეუდგა, პარტიამ მშვიდობიან შრომაში რომ დასახა.

მშვიდობიანი შრომის მოიერიშეთა პირველ რიგებში კომუნისტი ხინკილაძე კარგად ჩანდა.

ასე იყო დღესაც.

გამარჯვების დღის აღსანიშნავად, პარტიული ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, დამატებით ორი ტონა ჩაის ფოთოლი უნდა მოეკრიფათ. ბუნების ჭირვეულობამ კი კოლმეურნებს ხელი შეუშალა. ამიტომ იყო, რომ ცხრა მასს კოლმეურნები ერთსულოვნად გამოვიდნენ სამუშაოდ, სადაც შეიძლებოდა, იქ ჩაის ფოთოლს კრეფლნენ, ზოგიერთ ნაკვეთზე კი მიწას ამუშავებდნენ.

— ომგადაზღიულებს ნება ეძლევათ დღეს დაისვენონ, — წინადაღება შემოიტანეს კომკავშირელებმა.

— დასვენებას მოვასწრებთ, საღამო ჩვენს განკარგულებაში არა? — ყველა ყოფილ მეომართა სახელით პასუხი დაუთმა გასცა...

დასვენებაც ამას ჰქვია. გულნატკენმა დაუთმა ღრმად ამოისუნთქა და გაუწყვეტილ ფიქრებს დაუბრუნდა.

გზად მიმავალმა მესაზღვრეთა სასურსათო ბაზას ჩაუარა. ცუდ ამინდში აქ ჩვეულებრივ არავინ არაა, ახლა კი დაუთმა ერთბაშად სამი ნაცობი შენიშვნა. ალბათ დღეს ისინი არიან გამოყოფილი საგუშაგოზე სურსათის მიმტანად. სამანქანე გზა არ მიღიოდა და ცხენებით დაპირობათ სანოვავე.

— გამარჯობა თარჯიმანო!

— საღამი ბიძია დაუთ!

— გამარჯვების დღეს გილოცავთ ომის ვეტერანო!

მთარულად ესალმებოდნენ გარისკაცები ხინკილაძეს. დაუთს მთელი

საგუშავო კარგად იცნობდა. ჯარში ყოფინისას რუსული კარგად შეიძლოდა და მესაზღვრეებს ჭრიად უწევდა თარგიმნობას.

— ბოდიში, ბიძა დაუთ, გვეჩერება, თუ მოვასწარით კიდევ ერთ გზას გავაკეთებთ, — მოუბოლიშა განაწესის უფროსმა რიგითმა ალექსი სოკოლიუქმა.

— როგორ გეკადრებათ. მოდი მეც მოგეხმარებით ცხენების დატვირთვაში.

— არა, არა, ჩვენ თვითონ, დღეს თქვენი დასვენების დღეა. გეყოფათ რაც იომეთ, — სხარტად მიუგო რიგითმა ბორის ფილატკინმა და ოშგალახლილი დასვა ტაბურეტზე.

ჯანმაგარი მესაზღვრეები საქმესაც ასწრებდნენ და სტუმართან გამოლაპარაკებასაც.

— დადი ხანია, ბიჭებო, არ შემხვედრიხართ, მომენატრეთ, — ამბობდა კოლმეურნე.

— საშინელი ამინდი იყო, გარეთ ცხვირის გამოყოფაც კი ჭირდა. — აგრძელებდნენ საუბარს მწვანეეჭუდინან ჯარისკაცები.

— ალბათ ცოტა დაისვენეთ, ასეთ თავსხმაში საზღვარზე მხეციც კავერ გადმოვა — მცირე პაუზის შემდეგ, რაც პაპიროსის გაბოლებას მოანდომა, — თქვა დაუთმა.

— პირიქით, მათ სწორედ ასეთი ამინდი ურჩევნიათ, — მიუგო სერგეი სუვოროვმა.

დაუთმა მესაზღვრეებს გზა მშვიდობისა უსურვა და თვალი გააყოლა. ძნელი და მძიმე სამსახური აქვთ. და არა მარტო საზღვარზე, აქაც. ცხრა კილომეტრი დაკლავნილი ბილიკი, ერთი მხრიდან მთა, საიდანაც ყოველ წუთს ზვავია მოსალოდნელი, მეორე მხარეს კი — უფსკრული, ჩახედვაც რომ შეგვშინდება, ისეთი.

...დაბნელებული იყო, როცა დაუთი თავისი სახლის მეორე სართულზე ავიდა. აქ ვაჩშამზე თავი მოეყარა მის მრავალსულიან ოჯახს და ომგადახდილ ოჯახის უფროსს ელოდებოდნენ.

შუა ჭამაში იყვნენ, ეზოში რომ ძალმა დაიყეფა. თავდაპირველად ამის ყურადღება არავინ მიაქცია. რაც დრო გადიოდა, ძალლი კი არ ცხრებოდა, პირიქით...

— ვიღაც უცხოა ეზოში, — თქვა შემკრთალმა ემინემ და ქმარს გადახედა.

თითქოს ამ სიტყვების დასტურად, სახლში შემოვიდა გამხდარი, პირგაუპარსავი, ხანშიშესული კაცი, რომელსაც ზურგზე ჩანთა ეკიდა, ხელში კი მსხვილი ჯოხი ეკავა, რომლითაც ალბათ ძალლს იგერიებდა.

როგორც ჭეშმარიტი მთიელი, დაუთი სტუმართმოყვარე იყო, მაგრამ არ სიამოვნებდა, როცა მის სახლში დაუძახებლად ან დაუკავუნებლად შედიოდნენ. ამას მეზობლებსაც არ აპატიებდა, მით უმეტეს უცნობს. ამი-

ტომ იყო, რომ დაუთი მოიღუშა და გამომწვევად შეაცქერდა სტუმარი  
რომელსაც მეორე შეცდომაც მოუვიდა: ოჯახში შემოსულს პირები და  
და მიეცა სალამი დამხვდეურთათვის, მაგრამ მან თავდაპირველად ითახი  
დაათვალიერა, მერე თვალი შეავლო სუფრაზე მჯდომთ. უხერხული დუ-  
მილი ჩამოვარდა. უცნობი ხმას არ იღებდა, მაგრამ არც დაუთი აპირებ-  
და სიჩუმის დარღვევას.

— დიდება ალაპს და ამ ოჯახს — ნაჩქარევად წამოისროლა გვიან  
გონს მოსულმა უცნობმა.

დაუთს გულმა რეჩხი უყო. ჭერ ფიქრობდა, როგორ მოქცეოდა ამ  
ტუტუცს, შემდეგ კი გაქვავდა და მიაშტერდა ახალშემოსულს. იგი ოდნავ  
შეაცბუნა ამ მზერამ და შეათვალიერა თავისი სველი, ალაგ-ალაგ გახე-  
ული ტანსაცმელი.

დაუთი სულ სხვა რამემ გააქვირვა, რაღაც ნაცნობად მოეჩვენა დაუ-  
პატიუებელი სტუმრის ხმა. ალბათ სადღაც უნახავს ეს კაცი. შეიძლება  
მეზობელ სოფელში, ან იქნებ ომის გზებზე. იქ ხომ ბევრი იყო ქართველი.

ნაცნობმა ხმამ თუ შეაცვლევინა დაუთს გადაწყვეტილება და სტუ-  
მარს მდაბლად დაუკრა თავი, თუმცა ჭერ არც იცოდა ვინ ოხერი შემოე-  
ხეტა მასთან, რატომაა იგი ღორივით ამოსვრილი და დასველებული.  
დღეს ხომ დილიდან არ უწევიმია! ნეტავ რატომ აქვს ჯიბეები ასე გაბერი-  
ლი, ან რითაა გატენილი ზურგჩანთა?

ჭესი და ზრდილობა არ აძლევდა დაუთს უფლებას, სტუმრისთვის  
მაშინვე ეკითხა მოსვლის მიზეზი.

ეზოში კი კვლავ ყეფდა ძაღლი.

თავდაპირველად დაუთს ეგონა, ოჯახის ერთგული შეგობარი ჭერაც  
არ დამშვიდებულა იმის გამო, რომ პატრონის უნებართვოდ სახლში უც-  
ნობი შეუშვა. მაგრამ არა, ძაღლის გაცოდებას ბოლო არ უჩიანს. ნეტავ  
რაშია საქმე? უცნობისათვის უნდოდა ეკითხა დაუთს, მაგრამ მან დას-  
წრო.

— იქ ჩემი ამჩანაგია... მართალია, ჩვენ ბარში მცხოვრები კოლმე-  
ურნები ვართ, მაგრამ კარგად ვიცნობთ მთიელებს სტუმართმოყვარეო-  
ბას. ისიც ვიცით, რა ძნელია ცხოვრება ამ დაწყევლილ ადგილას. მიტომ,  
ბევრი რომ არ შევაწუხოთ, თუ ცოტაოდენ მჭადას და უველს მოგვცემო,  
ჩვენ იმითაც კმაყოფილი ვიქნებით.

— რას ილანძლებით ბატონი, რა შეამჩნიეთ ამ სუფრას სილარიბის?  
— გულნაწყენის იერი მიიღო დაუთმა და უცნობს სადღესასწაულო მაგი-  
დაზე მიუთითა. იგი ახლა ცარიელი იყო. ქალები და ბავშვები შეზობელ  
ოთახში უხმოდ გასულიყვნენ და იქიდან უგდებდნენ ყურს მამაკაცთა სა-  
უბარს.

უფროსი ხინჯილაძე უმიროსს მიუბრუნდა:

— გადი ძმაო, დაპატიუე.



უცნობმა მბრძანებლური უესტით შეაჩერა ახმედი:

— მე თვითონ!

როცა იგი გავიდა, ძმამ ძმას შეხედა და ეგონა, ყველაფერი უნზოდათქვა.

ვაი დედას! მაშინ რომ ახმედი მესაზღვრეებთან გაქცეულიყო ამაზე უკეთესი რა იქნებოდა. იგი მწვანექულიან მებრძოლებს სასურსათო ბაზასთან მიუსწრებდა, ან გზაში დაეწეოდა, ახლა ყველაფერი გარკვეული იქნებოდა.

ის ის იყო ძმისთვის რაღაც უნდა ეთქვა დაუთს, რომ სახლში უცნობები შემოვიდნენ. მეორის დანახვამ დაუთს ეჭვი გაუორეცა. ახლად დაპატიჟებულს ხელში შაშხანა ეჭირა, წელზე ფალასკა ერტყა, მზერა მკაცრი და დაძაბული ჰქონდა. სველი ტანსაცმელი მოწმობდა, რომ ღამე ჭორქეშ არ გაუთვიათ, დახეული ფეხსაცმელი კი იმის ნიშანი იყო, რომ მათ არა ერთი და ორი კილომეტრი გაუვლიათ....

— საბუთების გასინჯვას ხომ არ ინებებ, — თქვა ხინერმა და აკანკალებული ხელი ჯიბისაკენ წაიღო.

„მოსულთ რაღაცის ეშინიათ. პატიოსან კაცს აბა რა აქვს საშიშარა. აქ სხვა ამბავია“, და უცნობების შეშფოთება რომ გაექარწყლებინა, მათა ნდობა აღედგინა, დაუთმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

საბუთები მესაზღვრეებმა გასინჯონ, ეს მათი საქმეა.

მასპინძელმა სტუმრებს დასხდომა სოხოვა. ისინიც ფრთხილად ჩამოსხდნენ სამფეხა სკამებზე, თან ყურადღებით ადევნებდნენ თვალს დაუთის ყოველ ნაბიჯს, მიხედნენ, რომ ოჯახში იგი იყო უფროსი და ყველაფერა მასზე იქნებოდა დამოკიდებული.

დედამ, რომელიც მეზობელ ოთახიდან ჩუბად გამოვიდა, უფრას სურსათ-სანოვაგე დამატა და ლამბას აუწია.

ოთახი უფრო განათლა. სტუმრები სუფრაზე მიიწვიეს. უცნობი, რომელიც პირველი შემოვიდა სახლში, მხოლოდ ასაკით როდი ჩანდა უფროსი. ლაპარაკით მარტო იგი ლაპარაკობდა და კითხვებზე პასუხსაც იგი იძლეოდა.

ასე მოიქცა იგი ვახშმობისას.

უცნობზი ხარბად, დიდი ხნის ნაშიმშილებივით შეექცეოდნენ საჭმელს. სულმოუთქმელად გადაპკრეს ორ-ორი ჭიქა ჭაჭის არაყი. დაუთმა კიდევ შეუვსო. ახალგაზრდა ჭიქას მესამეჯერ სწვდა, მაგრამ თანამგზარის მკაცრი მზერა რომ შენიშნა, ოდნავ მოსვა და ძირს დადგა.

დაუთი გულლია მასპინძელივით ეპყრობოდა სტუმრებს და თანაც მათი ვინაობის გაგებას ცდილობდა. ერთთავად ის აზრი აწამებდა, რომ სადღაც შეხვედრია ამ კაცს. რაც დრო გადიოდა იგი ამაში უფრო და უფრო რწმუნდებოდა და ბოლოს მიისი შეხსიერება წუთიერად ვანათდა, დაახ,

გაიხსენა. გაიხსენა და კინალამ წამოიყვირა, ნუთუ მართლა ის ერთს? და თომ შემთხვევით კიდევ შეათვალიერა ხნიერი სტუმარი.

დაუთი არც მესაზღვრე იყო და არც მზვერავის გამოცდილება ჰქონდა, მაგრამ ბუნებას საკმაო აღლოთი დაეჭილდოვებინა და ახლა ცდილობდა გამოეცნო უცნობების განზრახვა. შეამჩნია რომ ახალგაზრდა მეტს დელავდა, ხნიერი კი, ვითომც აქ არაფერიო, სიმშვიდეს ინარჩუნებდა.

დაკვირვებული თვალი მაინც შეამჩნევდა, რომ სულის სიღრმეში ისიც დელავდა. დაუთს მოაგონდა, საბუთები რომ ახსენა, როგორ შეუტოვდა მას ტუჩის კუთხეები. მაშინაც, როცა ერთ-ერმა ბაგშვმა კარი ხმა-ურით გაიხურა, მოსული ამანაც შეაკრთო.

— ოჲ, ამ ტყემ პირდაპირ ნერვები მოგვიშალა, — ჩაილაპარაკა შემცხარება ხანშიშესულმა და თვალების ცეცება დაიწყო.

იგა შემეს თუ არა, ადგნენ და სხვადასხვა კუთხეში ჩამოსხდნენ, თანაც დაურიდებლად გააბოლეს.

„იგი ახლაც იგივე ტუტუცია, როგორიც ჩვენგან გაქცევამდე იყო“, — გაიფიქრა დაუთმა.

სტუმრები დუმდნენ და პაპიროსს პაპიროსზე აბოლებდნენ. დუმდა დაუთიც. თუმცა ყველა გრძნობდა, რომ აღრე თუ გვიან საუბარი უნდა დაწყებულიყო. წესით პირველი სიტყვა კვლავ დაუპატიჟებელ მოსულებს ეკუთვნოდათ. მათ უნდა აქსნათ ასეთი გვიანი სტუმრობის მიზეზი.

— მონადირეები ვართ, — როგორც იქნა უხალისოდ ამოლერლა ხანშიშესულმა და დაუთს შეხედა. მისი უტიფარი თვალები თითქოს ამბობდნენ: „გვერა თუ ხედები მოგატყუეო“. ხინკილაქმ თავი გულუბრყვილოდ მოაჩენა.

— ნანაღირევი ალბათ ჩანთაში გაქვთ, არა?

— არა, ამჯერად ბეჭმა გვიტყუნა, ამინდმა შეგვიშალა ხელი და ტყეში დავიბენით, — ნაჩქარევად უპასუხა მან.

ეს სიჩქარეშიც სიყალბე უღერდა. მისი გაფაციცებული მზერა კიჩევ უფრო აღრმავებდა დაუთის ეჭვებს: „გზა აგებნა? მერე შენ, რომელიც აქ დაიბადე, აქ აღიზარდე! ეს ტყე ხომ მამაშენისა იყო, პაერის გარდა მას ეკუთვნოდა ყველაფერი, და რომ შეძლებოდა, სუნთქვასაც მოგვიშლიდა“.

დაუთს უნდოდა ეკითხა რაზე ნაღირობდითო, მაგრამ თავი შეიკავა, ყველაფერი ნათელი იყო. და იფიქრონ, რომ მასპინძელმა ყველაფერი დაუჭერა. ახლა მთავარია სინი არ მიხვდნენ, რომ დაუთი ყველაფერს ამჩნევს.

— ქობულეთიდან გართ, ნაღირობისა და სასაზღვრო ზონაში გავლის ნებართვა გვაქვს. — კვლავ დინჯად წარმოთქვა უფროსმა. საუბარა ამან შეწყდა, თუმცა იგი თავიდანვე არ ეკრიყო. ასე ხდება ყოველავეს, თუ მოსაუბრეთა შორის არ არის სულიერი სიახლოვე და გულაზდილო-

ბა. დღეს რა სიახლოვეზე შეიძლება ლაპარაკი სამშობლოა: ერთგული დღე  
შოღალატე შეილს შორის. აი, ეს კარგად იცოდა ერთმაც და უმარტინებელი

შესაძლოა, რომელიც უფრო ახალგაზრდად გამოიყურება, მართლაც  
ქობულეთელი იყოს, თუმცა იქაური მონადირეები თითქმის არ დაიარები-  
ან ამ მხარეში და ამჯობინებენ მახარაძის და ლანჩხეთის რაიონებს, მაღ-  
თაყისა და პალიასტონის მიღამოებს. აქეთ კი გრძელი გზაა. თანაც ნებარ-  
თვის აღებისათვისაც უნდა იჭახირო.

მაგრამ მონადირეები თავისებური ზალხია. სიძნელეებითა და ხილა-  
თით ვერ შეაშინებ, თუ კი ტყეში ნადირი ბლომადაა. ამიტომ თეორიუ-  
ლადაც და ნაწილობრივ პრაქტიკულადაც შესაძლებელია ისე, როგორც  
უდროოდ მოსულნი ლაპარაკობენ; თანაც სტუმრების ზოგი საქციელი  
უშუალო და დამაჯერებელია. იარაღს არ მაღავენ. სახლში თამამად შე-  
მოაბიჯეს, საბუთებიც შესთავაზეს. ისე მხოლოდ მას შეუძლია მოიქცეს.  
ვისაც არაფრის შიში არა აქვს

დაუთმა ყველაფერი ეს აღრინდელ ეჭვებს დაუპირისპირა და წამში  
აწონ-დაწონა, მაგრამ სასწორზე მაღე ახალი ფაქტების დადება მოუხდა.

სინკილაძე უფროსი სწრაფად წამოდგა. სტუმრებიც წამოდგნენ.

— სად მიდიხარ? — მკაცრად პკითხა უფროსსმა.

— ქალებს გავაფრთხილებ, ლოგინი დააგონ, — დინჯად მიუგო და-  
უთმა.

— ეს კი სხვა საქმეა.

ხნიერის სახეზე ღიმილის მსგავსი რაღაც შენიშნა. ეშმაქმა დალახვ-  
როს — ეს ღიმილიც ეცნაურა დაუთს. მას კარგა ხანია უნდოდა გასვლა,  
ვინაიდან იქ იყო დედა, რომელსაც შეეძლო დაუმტკიცებინა ან გაექარწ-  
ყლებინა შვილის ეჭვები. და აი, ხელსაყრელი მომენტიც დაღდა.

— ნაირა, დაბლა სართულში ორი საწოლი გაშალე — განგებ ხმა-  
მაღლა უთხრა დაუთმა ომში დაღუპული ძმის მეუღლეს, თანაც დედას  
წასჩურჩულა:

— იცანი?

— მეცნობა, სახეზე თითქოს ჰგავს. რომ დავრწმუნდე, გავალ და  
კადევ ერთხელ შეეხედავ.

— არავითარ შემთხვევაში, დედაჩემო, მტერი ყვავივითაა, დააფრთ-  
ხობ და გაგიფრინდება.

დაუთისათვის დედის ეჭვებიც საკმარისი იყო. ტყუილუბრალოდ ხომ  
არ დაებადათ ორივეს ერთი და იგივე აზრი, რომ მათი დაუპატიჟებელი  
სტუმარი ქოქოლაძეა.

დაუთი ოთახში კმაყოფილი დაბრუნდა. მის მეხსიერებაში აღსდგა  
ახალგაზრდა ქოქოლაძის სახე. მუდამ გაპრიალებული დეზებიანი ჩექმები  
ეცვა, და ისე ჰქონდა შემოსალტული, რომ გეგონებოდა, ეს არის შემოა-  
კდებაო. გემოვნებით შეკერილ კოსტუმს იცვამდა.

დაუთმა შეხედა ტაბურეტზე მჯდომ ქოქოლაძეს და გაუცხადა ჩანარის სად დაკარგა წინანდელი პეტიონ.

უკანასკნელად იგი ხინკილაძემ ოცდათხუთმეტი წლის წინათ ნახა, რა ჩქარა გარდის დრო.

საინტერესოა რა იქნებოდა ქოქოლაძეს სამშობლოსათვის რომ არ ეღალატა. შეიძლება ისეთივე ყოფილიყო როგორიც დაუთია, ან სხვა მისი თანასოფლელი.

მაგრამ ეს კაცი ვერ შეეგუა საბჭოთა ხელისუფლებას, მას არც უცდია გაეგაზრებინა, თუ რა ჩოხდა. სწამდა, რომ მბრძანებლად იყო დაბადებული. ასეთი იყო მისი მამა, ბაბუა, პაპა... თვითონ რად უნდა იქცეს სხვად! და რადგანაც ახალი ღრმება ამის უფლებას არ იძლეოდა, გაღაწყვიტა გაქცეულიყო. რატომაც არა, ძალ-ღონით სავსეა, ოქროებიც ბლომად აქცეს; პირველ ხანებში ეყოფა, ქვეყანა დიდია, სულერთი არაა სად იცხოვრებს?

ასე ფიქრობდა იგი. ერთხელ კი აიღო ცული, იარაღი და ტყეში წავიდა. უკან დაბრუნებული აღარავის უნახავს.

...სანამ ქალები ლოგინს გაშლიდნენ, სტუმრები რაღაცათი უნდა გაერთოთ. ასეც მოხდა. ძმებს შორის წამოჭრილ კამათში, რომელიც „გიორგი საკაძეს“ ეხებოდა, ქოქოლაძეც ჩაერთო.

ფილმი იმ დღეებში გადიოდა კლუბში და ორივე ხინკილაძემ ნახა.

— მე ვერაფრით შევრიგებივარ პაატას განწირვას. ნუთუ მამაშ სხვა ვერაფერი გამოსავალი იპოვა, რომ ეს მსხვერპლი თვითმან აეცილებინა? — შეეკითხა ახმედი უფროს ძმას.

უკეთესს ვერც მოითქმებდა კაცი. დაუთს სურდა ქოქოლაძესთან გულახდილი საუბარი გაეხა და ზოგიერთი წევრილმანი დაეზუსტებინა. შესაძლოა ახლა ნანობს სამშობლო რომ დაკარგა, იქნებ მარტო წლები კი არ მომატებია, არამედ ჰქონაც. უნდოდა გაეგო რითი სუნთქვავდა მისი სტუმარი.

და იი აქ ახმედი, უნებლიერ თუ წინასწარგანზრახვით, წამოეხმარა.

— სამშობლო, საქართველო, ჩემო ახმედ, სააკაძისათვის ყველაზე ძვირფასი იყო, და გიორგი ყველაფერს, საკუთარ თავსაც კი ანაცვალებდა მის ბელნიერებას, — წყნარად უპასუხა მან ძმას, და ქოქოლაძეს შეხედა, იცოდა, რომ მოღალატეს მტკიცენეულ ადგილს აჭერდა.

ქოქოლაძეს ეს ფილმი ნახულიც არ ექნებოდა, მაგრამ როგორც ჩასწავლი ადამიანი, კარგად იცნობდა დიდი მოურავის ისტორიულ პიროვნებას.

— სააკაძემ სისულელე ჩაიდინა. სულთანის კარზე ხომ ყველაფერი პქონდა, სახლ-კარი, ქალები, ფული, კარგი თანამდებობა...

— რაც მთავარია ის არ გამჩნდა — სამშობლო, — მიუგო დაუთმა ქოქოლაძეს, — უამისოდ განა სიცოცხლე სიცოცხლეა? რად ღირს თუნ-

დაც სიტყვები: „ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უცემს გული“.

დაუთხ შეაწყვეტინეს:

— რას აგიჩემებია „სამშობლო, სამშობლოო“. მთელი მსოფლიო კულტურული მარტინის თნაირია. ღღე-ღამეში ყველგან 24 საათია, მზე ერთნაირად ამოდის და ჩადის, ბალაზი ყველგან მწვანეა, მთები — მკაცრი და მღუმარე, მღინარე ქვებიც დაღმა მიედინებიან... ჩემი აზრით სამშობლო იქაა, სადაც თავისუფლად გეცხოვრება და კარგად გიხდიან, — ხმას აუმარლა ქოქოლახემ.

დაუთმა სხვათა შორის ჩაურთო:

— გააჩნია რა სამშობლოსთვის.

— არ მესმის რაზე ლაპარაკობ, — ქოქოლაძე ხინკილაძეს შიაშტერდა.

— რა დიდი გაგება ამას უნდა, ზალხიც სხვადასხვაა და სამუშაოც, — გონებრივი, ფიზიკური, ქალაქისა და სოფლის, ბინძური და სუფთა...

დაუთმა კბილი ენას დროზე დაჭირა, კინაღამ რასაც ფიქრობდა ყველაფერი მიახალა პირში. დროზე გაიხსენა, რომ ეს კამათი. თავისებური დუელი იყო, სადაც გაუფრთხილებელი ნაბიჯით შეიძლება თავიც შეაგონა და ოჯახიც.

ოჯახს უფრთხილდებოდა დაუთი მაშინაც, როცა ტანზე გაიხადა და ლოკინში დაწვა. დაე, „სტუმრებმა“ მშეიდად დაიძინონ. გაგრამ ვერა და ვერ მოისვენა დაუთმა. თვალშინ ხან „უცნობები“ ედგა: ხან ფრინტელი მევობრები.

რატომღაც დემობილიზაციის დღე ორჯერ გაახსენდა.

ოცი ცხრა მაისს დამთავრდა, მაგრამ დაუთისათვის იგი ამ დღეს მეორედ დასრულდა.

— საბჭოთა სამშობლოს სახელით გმადლობ სამსახურისათვის! — მეთაურმა იგი ძმურად გადაკოცნა.

ხინკილაძეს სიხარული და სინანული ერთმანეთში შეერია. გული ჭიდებოდა, როცა მევობრებს სცილდებოდა.

— სად იცხოვრებ დაუთ? — ამჯერად სერიოზულად შეეკითხა მიხეილ პეტროვი, რომელიც მთელ ნაწილში განთქმული იყო, როგორც ენამოსწრებული კაცი.

ჩემი სახლი ზედ საზღვარზეა.

— ასე გამოდის, ფრინტიდან ფრინტზე მიღიხარ.

— გამოდის.

— გახსოვდეს, ჩემს დაცვას ასი თვალი და ამდენივე ყური დასჭირდება. შეძლებ?

— შევეცდები.

მიღი და ეცადე.

ახლა, როცა შორს — ბათუმში, ობილისში, ვორონეჟში, მოსკოვში და ვინ იცის კიდევ სად, დიალი სამშობლოს რომელ ჭუთხეში ღრმად

სძინავთ ნაქეიფარ თანამოლაშქრებს, მას მეგობრების სადლებზე უკანასკნელი  
დალევაც არ დააცალეს, სძინავთ და არ იციან რა მდგომარეობაში დაუ-  
თი. რაკი არ იციან, ვერც ეხმარებიან მას მუზანათ მტერთან ბრძოლაში.

ფრონტზე უფრო იოლი იყო, იცოდა წინ მტერი ედგა, გვერდზე მო-  
ყვარე, ხელში კი იარაღი ჰქონდა. ახლა კი საგონებელში ჩავარდნილი, მა-  
რტო იყო უიარაღო, ორი შეიარაღებულის წინაშე.

რატომ მაინც და მაინც მისი სახლი ამოირჩიეს?

იქნებ იმიტომ, რომ მრავალშვილიანი ვერ გაბედავს მათ გაცემას? ან იქნებ იმ იმედით, რომ მესაზღვრები კომუნისტის სახლს ეჭვის თვა-  
ლით არ შეხედავენ?

თავდაპირველად დაუთი განთიადისას აპირებდა მესაზღვრეებთან  
წასვლას. მით უმეტეს, რომ გარეთ უკუნი ღამე იდგა, საგუშავო მორს  
იყო, სასოფლო საბჭოს ტელეფონი კი დაზიანებულა.

ხინკილაძე შეეცადა დაეძინა, მაგრამ ამაოდ. იდუმალშა ხმამ მას მოს-  
ვენება არ მისცა: „დილით მტრებმა რომ დაგასწრონ, მერე ძნელი იქნება  
მათი პოვნა — იჩქარე“.

ამ სიტყვებმა წამოაგდეს იგი ზეზე.

სასტუმრო ოთახიდან მშვიდი ფშვინგა მოისმოდა.

კარებიდან გასვლა მაინც არ შეიძლებოდა, ჭრიალებდა. ფანჯრიდან  
გადაძრა. უნდოდა მაშინვე გაქცეულიყო, მაგრამ გონიერების ხმამ შეა-  
ჩერა. გაუფრთხილებლობა სიკვდილს უქადდა, განა მარტო მას, მოელ-  
ოქახს.

ეზოში შეჩერდა — მესამე ხომ არ დაუყენებიათ დარაჯად, ვინ იცის  
გამოცდილი მტერი ათას ხრის გამოიყენებსო. ერთგული ძალი რომ  
დაინახა, დამშვიდდა. ნაჯაფ თანასოფლელებს ღრმად ეძინო. საღლაც ახ-  
ლოს ჩქამი გაისმა. დაუთი უმალ შეჩერდა. ეგონა ვილაც მითვალთვალე-  
ბსო ბუჩქებიდან. უნდოდა ხმაურის მიზეზს მიმხვდარიყო. ბილიკი აღმა-  
ადიოდა და ტყეში იყარებოდა.

დაუთმა ნაბიჯს მოუჩქარა, შემდევ კი სირბილით გასწია. ახლა მშაზე  
ბევრი რამ იყო დამოკიდებული.

უცებ ფეხი წაიკრა და წაიქცა. ამით თითქოს ღამის მყუდროება და-  
არღვია. დაუთმა ჯერ ხოხვით გასწია წინ, შემდევ ფრთხილად გადასწია  
ბუჩქნარი, ყური მიუგდო. ირგვლივ ისეთი სამარისებური სიჩუმე იდგა,  
რომ საკუთარი გულისცემა ესმოდა.

„ჩქარა, რაც შეძლება ჩქარა!“ თითქოს ვილაც ჩასახოდა და იგი  
ნაბიჯს უმატებდა, მაგრამ მაინც ეჩვენებოდა, ნელა მივდიგარო. აღმართმა  
დაქანცა. გული ამოვარდნაზე ჰქონდა. ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა.

სიბნელეში მესაზღვრეთა სასურსათო ბაზა დალანდა და გულმა ბაგა-  
ბუგი დაუწყო. მაშინ იკითხე თუ აქ არავინ არის!

წინ ცხრა კილომეტრიანი არასასიამოვნო, ტყეში მიმავალი, გველი-  
ჭით დაკლაკილი ბილიკი ელოდა. საბედნიეროდ ჯარისკაცები ადგილზე აღმოჩნდნენ.  
დაუთის ნათქვამშა ააფორიაქა ისინი.

ერთი ტელეფონს ეცა, მეორე — ცხენების შესაკაზმავად წავიდა,  
ვანაშესის უფროსმა კი გადაშვერტა:

— რაგითი სუვოროვი საზღვრისაცენ მიმავალ გზას გადაკეტავს,  
მე და ფილატეინი სახლის მახლობლად ჩავსაფრდებით, თქვენ კი თავმჯ-  
დომარე გააღვიძეთ და გადაეცით: 15 კაცი სუვოროვთან გაგზავნოს, ათი  
თქვენ გამოგაყოლოთ.

ნახევარი საათის შემდეგ ყველანი ადგილზე იყვნენ. მოქმედების გე-  
გმის შესაბამისად დაიკავეს პისტები. მესაზღვრეებიდანაც მოვიდა მაშ-  
ველი ძალა — 5 კაცი ოფიცირის მეთაურობით.

— ძალა დაუთ, — მიმართა უფროსმა ლეიტენანტმა ასპერმა ხინკილა-  
ძეს — ჯერ თქვენი ძალი მოაცილეთ სახლს, მერე კი ფრთხილად გააღ-  
ვიძეთ ცოლ-შვილი და სასწრაფოდ დასტოვეთ ბინა.

შევიდა თუ არა ბინაში, დაუთს გულზე მოეშვა: შვილის დაგვიანებით  
შეშტოოთებული დედა კარებში ჩატმული შემოეგება. არც ძმას ეძინა, არც  
ქალებს.

სახლიდან, თითქოს ბრძოლის ველიდან, ყველაზე ბოლოს დაუთი გა-  
მოვიდა.

ავისმომასშავებელ სიჩუმეში მესაზღვრეები სულ უფრო და უფრო  
უახლოვდებოდნენ სახლს. .

ერთ-ერთი მებრძოლი, რომელიც შესასვლელიდან უახლოვდებოდა  
ბინას, ავტომატით ქვის კედელს გამოედო და იარაღმა გაიყდარუნა. გამო-  
ცდილი მტრებისათვის ეს საკმარისი აღმოჩნდა. საერთოდ, როგორც შემ-  
დეგ გახდა ცნობილი, მათ თავის დროზე გაიგონეს მეზობელ ოთახებიდან  
გამომავალი ხმაური, მაგრამ ყურადღება არ მიაქციეს. გარეთ ძალი დუ-  
მდა, ეს კი იმის მაუწყებლად მიიჩნიეს, რომ უცხო ვინმე ხინკილაძის სახ-  
ლში არ შემოსულა. ძმები კი მათ აბა რას დააკლებდნენ.

ავტომატის უღარუნემა ისინი გონს მოიყანა, მაგრამ გვიან იყო.

ერთი მათგანი მაღლა აცოცდა. ოფიცერმა და დაუთმა როგორც კინო-  
ექრანზე, ისე გარკვევით შენიშვნეს ადამიანი. იგი კატასავით მიიპარებოდა  
მარჯვნივ, სწორედ იმ კარებისაცენ, სადაც ბორის ფილატეინი იდგა. სამ-  
წუხარო ის იყო, რომ მესაზღვრე ვერ ხედავდა მას. ოფიცერი მეორე კარს  
ეცა.

ქოქოლაძემ (სწორედ ის იყო) ფრთხილად გამოსწია კარი და ორი  
შეიარაღებული ადამიანი ერთმანეთს მოულოდნელად შეეჭახა. თითქმის  
ერთდროულად გაისმა სროლის ხმა, მაგრამ შეიძლება მესაზღვრემ სულ  
რაღაც წამით დაასწრო და ხელში მოახვედრო.

სამშობლოს მოღალატე მეორე კარს ეცა, მაგრამ იქ უფროისი ლეი-  
ტენანტი დაუხვდა.

სიჩქმის საშეფო სხვადასხვა ჯურის იარაღის სროლამ გააყრეს.  
დაუთი ფიქტებით ფილატკინთან იყო. მესაზღვრეს რომ წამით და-  
ევეიანებია, ახლა ცოცხალი აღარ იქნებოდა. სროლისა და მსხვრევის  
ხეებს გადაჩვეულ ხინკილაძეს თავი სიზმარში ეფონა და მოგვიანებით ჩა-  
სწვდა ოფიცირის წინადადების შინაარსს.

— სახლი ალყაშემორტყმულია. დაგვნებდით!

დაბაბული მოლოდინის წუთები მიდიან. დაუთმა არ იცის რამდენი  
წუთი გავიდა, მაგრამ თითოეული ეჩვენება უჩვეულოდ ხანგრძლივად.  
ბოლოს კარი გაიღო და ქოქოლაძის თანამზლებმა ახალგაზრდაშ გამოიხე-  
ლა. მან ისე მიმოავლო თვალი გარემოს, რომ თითქოს უნდოდა გარისკა-  
ცები დაეთვალა. იგი მყისვე შებრუნდა და როცა მეორედ გაიღო კარი,  
მას მოჰყავდა ორივე ხელში დაჭრილი ქოქოლაძე.

ისინი დანებდნენ.

მთელი სოფლიდან მორბოლნენ სროლის ხმით შეშფოთებული აღა-  
მიანები.

— მე არ შემშინებია, ბორის ბიძია, არ შემშინებია, კარადის უკან და-  
ვიმალე, — ტიკტიკებდა გოგონა ეფრეიტორ ფილატკინის ხელში.

ქალები პატარას გულში იკრავდნენ და კოცნიდნენ, უკვირდათ, რო-  
გორ გაბედულად იქცეოდა იგი.

ქალები მაშინვე შეუდგნენ სახლის დალაგებას, ზეეტავლნენ მინის  
ნამსხვრევებს. მეზობლები ხინკილაძის ოჯახის წევრებს ხელს ართმევდ-  
ნენ, დაუთს კი გამარჯვების დღესთან ერთად ულოცავდნენ კიდევ ერთ  
გამარჯვებას.

დაუთ ოსმანის ძემ ეს გამარჯვება იოლად როდი მოიპოვა. საშინე-  
ლი დაღლილობა იგრძნო. თვალები ჩალურჯოდა. ცოტა ხნის შემდეგ ეზო-  
ში გავიდა, სახლს შემოუტარა და... ვეღარ ცნობდა. ბნელი, ჩამსხვრეული  
ფანჯრები ფრინხტისპირის სახლებს აგონებდა.

მოგვიანებით, როცა გადასცეს მედალი „სსრ კავშირის სახელმწიფო  
საზღვრის დაცვაში თავის გამოჩენისათვის“, დავით ოსმანის ძემ თქვა:

— რად მიხდით მაღლობას, მე ხომ ჩემი ვალი და ფრონტელი მეგო-  
ბრების განაწესი შევასრულე.

ასეთია იგი — დაუთ ხინკილაძე.

პროფ. პ. ჩავლეიშვილი

## დამწყებ გზერლებთან მუშაობის ზოგიერთი საკითხი

თავდაპირველად უნდა განვსაზღვროთ, დამწყებ მწერალს გააჩნია თუ არა მწერლობის ბუნებრივი თანდაყოლილი უნარი, პოეტური მაღლი.

არ უნდა მოვერადოთ, პირდაპირ, გულახდილად ვუთხრათ ახალგაზრდას, თუ კი მას არა აქვს მწერლობის ბუნებრივი მონაცემები. მართალია, ამის თქმა ერთობ ძნელია, მაგრამ აუცილებელი კია, რათა ამაռდ არ დაშვრეს იგი. ე. ი. უპირველესად საჭიროა მკაცრი შერჩევა. უნარიან დამწყებ მწერლთან მუშაობა სახალისოც იქნება. რაც შეეხება გულახდილ საუბარს პოეტურ მაღლის მოქლებულ მოკალმესთან, აქ სანამუშოდ გამოგვადგება მ. ვორქის, ილ. ჭიათურაძის, შ. დადაიანის და სხვათა მაგალითები.

ავილოთ მ. ვორქის წერილი ვ. ნ.

ბაგროვისადმი: „ვასილ ნიკოლოზის ძევ, მიიღეთ მეგობრული რჩევა: თავი დანებეთ წერას. არაფერი არ გამოგვათ, დროს ტყუილად დაკარგავთ. თქვენთვის უცეოესი და სასაჩვებლო იქნება, თუ მა დროს მოახმარო წიგნების კითხვას. იმისათვის, რომ იყო სასაჩვებლო მუშაკი, აუცილებელია კარგად იცოდე წიგნიერება. თქვენ კი იგი ცუდად იცით. აგრეთვე ლიტერატურული უნაზევენთვის უცნობია, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, თქვენ არ გაქვთ არავითა არი უნარი ლიტერატურული შრომისა. თქვენი მოთხრობებს გასწორება მე არ შემიძლია, რადგან არაფერია მასში გასასწორებელი — არ არის მასალა, ხოლო მასალა იმიტომ არ

არის, რომ თქვენ კერ გრძნობთ, თუ რაზე უნდა წეროთ. ნუ გა-  
ვიგა ავრ დ ე ბ ი თ. ლ ი ტ ე რ ა-  
ტ უ რ ა ს ე რ ი ი ზ უ ლ ი დ ა  
რ თ უ ლ ი ს ა ქ მ ე ა. (Советы  
молодому автору. 1965 г. стр.  
64. ხაზგასმა ჩევნია. ალ. ჩ.). ვფი-  
ქრობთ, აქ კომენტარი ნამდვილად  
საჭირო არ არის.

დიდად საყურადღებოა ილ. ჭა-  
ვჭავაძის ცნობილი წერილი „პოე-  
ზიის ახალგაზრდა მოყვარულთ“. ჩევნ  
ვიტყოდით, რომ ეს წერილი  
არის პირველი წერილი მე-19 სა-  
უკუნის ქართულ ლიტერატურაში,  
სადაც განხილულია დამწევებ მწე-  
რლებთან მუშაობის ზოგიერთი  
საკითხი, მაგრამ ამას ახლა არ ვე-  
ხებით, მოვიტანთ მხოლოდ ერთ  
ადგილს, საიდანაც ნათლად ჩანს  
ილიას ობიექტური დამოკიდებუ-  
ლება დამწევები მწერლებისადმი.  
ილია იყო გაზრდის რედაქტორი და  
ყოველდღიურად ღებულობდა უა-  
მრავ ლექსს მოსწავლე ახალგაზრ-  
დობისაგან, თხოვდნენ ლექსების  
დაბეჭდვას. ილია ძალიან ცოტას  
ბეჭდავდა. სუსტი ლექსების ავტო-  
რებს პირდაპირ მოურიდებდად  
სწერდა: „ტშირად მთელ დასტა-  
ქალალდს გადაიკითხავთ და ერთ  
სტრიქონსაც ვერ ნახავთ „ღვთაე-  
ბურის ცეცხლით გამობარსა“. სა-  
ნაცური ეს ჩევნი ამ გადაკითხვაში  
დაკარგული დრო არ არის. ეგ ჩევ-  
ნი მოვალეობაა, მართალია, მეტად  
უსიამოვნო და შემაწუხებელი, მა-  
გრამ მაინც მოვალეობა. ხოლო  
საჭიროები ეს არის: დამწერი  
რად სცდება, რად ჰყარგავს დროს,

ხარჯავს ქაღალდს, მელანს, მიუშონდება  
როდესაც არავისაგან დავდასტუ-  
ლი არ არის (ინ. ი. ჭავჭავაძე, ტ. 3,  
გვ. 89).

ერთ მაგალითს კიდევ დავუმა-  
ტებთ. შალვა დადიანის ხშირად მი-  
მართავდნენ დამწევები მწერლები  
და სოხოვდნენ რეკომენტაციებს.  
შ. დადიანი ნიჭიერ პოეტებს ხელს  
უწყობდა, ემბარებოდა. უნიჭო პი-  
როვნებაზე კი ამბობდა: „უნიჭო  
კაცს პირდაპირ უნდა უთხრა, რომ  
ის უნიჭოა და კომენტარებს უნდა  
დავთხოვოთ, რადგან იგი ამ შემ-  
თხვევაში სრულიად გამოუსადე-  
გარია“.

ერთხელ ა. ლუწაჩარსკი სწერ-  
და ა. ბარკოვსკი: „თუ თქვენ მხატვ-  
რული ფეხმძიმობა არ შევიღლიათ,  
მაშინ სტენოგრაფია შეისწავლეთ.  
სხვისი აზრები ჩაიწერეთ და ამით  
მოიპოვეთ პური თქვენი არსობი-  
სო“.

სწორედ რომ დიდად განსწავ-  
ლულ სიტყვის ოსტატებს უნდა მი-  
ენდოთ პოეტური მადლიათ დაგილ-  
დოებულ ახალგაზრდებზე დახმა-  
რება. აქ უნდა შევეხოთ საკითხს,  
თუ როგორი უნდა იყვნენ ის პირები, რომ ე-  
ბს აც მინდობილი აქვთ  
დამწევებ მწერლებთან მუშაობა.

უწინ მთელი ეს სამუშაო გადა-  
დიოდა უურნალ-გაზეთების რედა-  
ქტორებზე და ცნობილ მწერლებ-  
ზე — ტოლსტოიზე, ბერანეჟეზე,  
ბალზაკზე, ემილ ზოლასა და გან-  
საკუთრებით მაქსიმ გორკიზე. ამ  
მხრივ უთუოდ დიდი ღვაწლი

მიუძღვის მ. გორქის. იგი გა-  
მჭედებულად კითხულობდა დამ-  
ჩვები მწერლების ყოველ ნაწარ-  
შოებს და აძლევდა მათ კონკრე-  
ტულ პრაქტიკულ რჩევა-დარიგე-  
ბებს, იძლეოდა თეორიულ განზო-  
გადებას. ახლა ჩვენში ამ საქმეს  
ხელმძღვანელობს მწერალთა კავ-  
შირის სპეციალური სექცია, რო-  
მელსაც კონსულტანტებად გამო-  
ყოფილი ჰყავს სახელმოვანი მწერ-  
ლები. იხილავენ დამწერებ მწერა-  
ლთა ნაწარმოებებს, მსჯელობენ  
მათ ავკარგიანობაზე. სამწუხაროდ  
ზოგჯერ კონსულტანტებად ისეთი  
მწერლებიც არიან გამოყოფილი,  
რომლებსაც არ გააჩნიათ ხანგრძ-  
ლივი პრაქტიკული გამოცდილება.  
ამას ისიც ემატება, რომ ზოგიერ-  
თი გაზეთისა და უზრნალის რედა-  
ქტორი ვერ იჩენს შომთხოვნელო-  
ბას, მიღის დათმობებზე, რის გა-  
მოც გზას პოულობს მდარე ლი-  
ტერატურული პროდუქცია.

რა თვისებებით უნდა ხასიათდე-  
ბოდეს კონსულტანტი და საერ-  
თოდ ის პიროვნება, რომელსაც  
დაგალებული აქვს დამწერებ მწე-  
რლებთან მუშაობა?

შეთ პიროვნებას გარკვეული  
ნიშან-თვისებები უნდა გააჩნდეს.

იგი ბუნებით უნდა იყოს  
და გილდოებული მწერ-  
ლობის მადლით. ამაზე  
ყურადღებას იმიტომ ვამახვი-  
ლებთ, რომ ბუნება ყველას ერთ-  
ნაირი ნიჭით არ აჯილდოვებს.

ჩვენს დროში საქართველოს  
დამწერებ მწერლებთან მუშაობას  
ეწეოდნენ ლეო ქიაჩელი, შალვა

დადიანი, იოსებ გრიშაშვილი  
ალიო მირცხულავი. აწლი და საქმე  
მეს ემსახურებიან კონსტანტინე  
ლორთვითანიძე, კარლო კალაძე,  
ირაკლი აბაშიძე, გრიგოლ აბაში-  
ძე, იოსებ ნონეშვილი, შოთა ნიშ-  
ნიანიძე, მურმან ლებანიძე და  
სხვები. მაგრამ ზოგჯერ დამწერებ  
მწერლებთან მუშაობა მინდობილი  
აქვთ შედარებით ნაკლები უნარის  
მქონე მწერლებს. მათ არ გააჩნი-  
ათ ცხოვრების დიდი გამოცდილე-  
ბა, არც მწერლური მადლი უწ-  
ყობს ხელს დიდად და ამიტომ ჯერ  
ვერ უწევენ საჭირო დახმარებას.  
ამის შედევად ლიტერატურაში  
გზა ეხსნება უმწიფარ ნაწარმოე-  
ბებს.

არცერთი დიდი მწერალი არ  
იტყვის, „მე ვარ და ჩემი ნაბა-  
დიო“. იგი დაინტერესებულია  
მწერალთა ახალი თაობის შემოსვ-  
ლით ლიტერატურაში.

შეორე ნიშან-თვისება კონსულ-  
ტანტისა უნდა იყოს განსწავლუ-  
ლობა. მან კარგად უნდა იცოდეს  
განსაკუთრებით ლიტერატურის  
თეორია. ერთია, იყო კარგი მწე-  
რალი, ხოლო შეორეა, იყო ლი-  
ტერატურის კარგი თეორეტიკო-  
სი. თუმცა, შესაძლებელია მწერა-  
ლმა არ იცოდეს თეორია, მაგრამ  
მანც კარგ ლექსიტს ქმნიდეს. ეს  
ასეა, როცა მწერალი თვითონ ეწ-  
ევა შემოქმედებას, მაგრამ როცა  
სხვას ასწავლის და უსნის, მაშინ  
მას თეორიის გარეშე მოღვაწეობა  
არ შეუძლია. მაშასადამე, კონსუ-  
ლტანტები თეორიულად განსწავ-  
ლულები უნდა იყვნენ, მათ კარ-

გად უნდა იცოდნენ მხატვრული ლიტერატურის სპეციფიკა, საჭი-სა და ცნების განსხვავება, ტიპი-ზურის თეორია, სტილის საკითხე-ბი და ა. შ. ასეთ კონსულტანტს შეიძლება პქონდეს მიღწევები მუშაობაში.

შესამც მთავარი ნიშან-თვისება კონსულტანტისა ეს არის კომუნი-სტური მსოფლმხედველობა.

ყველა ცნობილი კომისულტანტი აჩაზე ამაგვილებს ყურადღებას. აი, რას სწერდა დ. ფურმანოვი დამწყებ მწერლებს: „საჭიროა ის-წავლით ლენინიზმი, — როგორც ღრმა და სწორი გავება ცხოვრებისა და ადამიანთა ურთიერთობის. ამის გარეშე კაპიკი იქნება ფასი ყველა თქვენი ნაწერისა, თუ ვერ გაიგებთ და ვერ შეითვისებთ ძირითადს: მეცნიერებას ცხოვრების შესახებ, ბრძოლის შესახებ, რასაც ნახავთ ლენინისა და სხვა-თა წიგნებში, რომლებიც ამჟე-ბენ და განიხილავენ მის მოძღვ-რებას. ეს არის ერთადერთი სწო-რი გზა, გახდე ხელვანი. ერთი მხრით, ისწავლეთ ლენინიზმი, მე-ორე მხრით, სიტყვის უდიდესი ხელვანება“ (იხ. „ჩჩევა დამწყებ მწერლებს“, 1965, გვ. 131, 132).

თუ ზემონათქვამს შევაჯამებთ, ნათელი გახდება, რომ დამწყებ ლიტერატორთან მომუშავე მწე-რალს უნდა ახასიათებდეს ბუნებ-რივი სამწერლო მადლი, უნდა იყოს თეორიულად განსწავლული, პქონდეს სხვისი სწავლების უნა-რი და მიტკიცე კომუნისტური მსოფლმხედველობა. ასეთი კონ-

სულტანტი ყოველთვის განვითარება და ამიტომ ზოგჯერ საქ-მეს ანდობენ შეუცველებელ პი-რებს, რის შედეგად ფერხდება დამწყებ მწერლებთან მცირდება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლი-ტერატურაში იჭრება მდარე ტა-რისხის ნაწარმოებები, რომლებიც ადაპლებენ მცითხველთა ესთეტი-კურ გემოგნებას.

გვინდა კიდევ ერთ საკითხს შე-ვეხოთ. არსებობს მოსაზრება, რო-მლის მიხედვით დამწყებ მწერალს უნდა დავუბეჭდოთ სუსტი ნაწარ-მოებიც. ვემი წყალში უნდა შე-მოწმდეს, დამწყები მწერალი კი ღაბეჭდვით და მცითხველთან მის-ვლითო. მცითხველი წაიკითხავს, კრიტიკოსი განიხილავს, დამწყები მწერალი გაითვალისწინებს შენი-შენებს და უკეთეს ნაწარმოებს დაწერსო. ე. ი. უნდა ჩავატაროთ შემოქმედებითი ექსპერიმენტი. მართალია, ზოგიერთი ექსპერიმე-ნტი არ ამართლებს, მაგრამ ამის გამო ცდასათვის თავი არ დაუნე-ბებიათო.

ასეთი თეორია არ შეიძლება მისაღებად ჩაითვალის. კარგი ხე-ლოსანი თავისი შეგირდის ცუდ მაგიდას არ გამოიტანს გასასყიდად იმ მოტივით, რომ დაუწუნებენ და შემდეგ უკეთესს გააკეთებსო. ან-ალოგიური მდგომარეობაა დამწ-ყები მწერლის მიმართ: იგი მუ-შაობს კონსულტანტთან, თანდა-თანობით იწაფება, ღებულობს გამოცდილებას, აკვირდება ცხოვ-რებას, და ასეთი სანგრძლივი მუ-

შაობის შედეგად ქმნის ისეთ ნაწარმოებს, რომელიც მინიმალურად მაინც აქმაყოფილებს მხატვრულობის კრიტერიუმს. აქედან აშკარაა, რომ ბოლოს და ბოლოს ხდება შემოქმედებითი მუშაობის შედეგის გამოტანა საჯაროდ. რაც შეეხება დამწყები მწერლის შემოქმედებითი მუშაობის მასალას, იგი რჩება მძისი და კონსულტანტის პირად არქივში. შემდეგ ამ პროცესით დაინტერეს ებული ფსიქოლოგები შეისწავლიან მის მასალებს, განაზოგადებენ და გვიჩვენებენ, თუ როგორ აღწევს დამწყები მწერალი კონსულტანტის დაზმარებით კარგი ნაწარმოების შექმნას.

აქ ჩვენ შევეხებით ზოგიერთი მწერლის ნაწარმოებს. უნდა აღნიშნოთ, რომ პირველი ნაწარმოებების მიგნება ძნელი გახდა. ავიღეთ მხოლოდ პირველი წიგნები. იგულისხმება, რომ პირველი წიგნი ისეთი კრებულია, რომელშიც მოაჩანს ავტორის შემოქმედების დადებითი და უარყოფითი მხარები. მაგალითისათვის ავიღოთ პოეტ ირინე უშვერიძის პირველი კრებული „კვირტები“. ეს წიგნი გამოქვეყნდა 1972 წელს. რედაქტორია შოთა ნიშნიანიძე. თუ რედაქტორს ამავე დროს კონსულტანტადაც ვიგულისხმებთ, უნდა ვთქვათ, რომ არ დაუზოგავს ენერგია, კარგი კრებული გამოსულიყო. ამ წიგნის გამოსვლა ნამდვილად დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს. თემატურად, იდეურ-

ად, გამომისახველობითი სტრუქტურული ბებით მრავალი კარგი ლექტორი სში შეტანილი, მაგრამ ისიც გარევეგით უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი მდარე ნაწარმოებიც შეუტანიათ. აი, მაგალითად, წიგნის ბოლოში დაბეჭდილი ერთი პატარა ლექსი:

თუ არ გეამოს  
ჩემი სიმღერა,  
ან ვერ გაიგო  
რად ვიმღერე ამგვარად იგი,  
ნუ დაფიქრდები,  
დაჭურე წიგნი.

აქ გარკვევით მოჩანს მკითხველისადმი უნდობლობა და ერთგვარი უდიერი დამოკიდებულებაც.

მაგალითს მოვიტანთ ბათუმელი მწერლების შემოქმედებიდანაც-უნდა აღვნიშნოთ, რომ 27 წელია, რაც ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში არსებობს ახალგაზრდა მწერალთა წრე. ამ წრეში ირიცხებოდნენ და იწაფებოდნენ შოთა როკვა, ნოდარ ჭალალონია, ზურაბ გორგილაძე, რევაზ ართილავა, შოთა ზოიძე, ცისანა ანთაძე, დავით თედორაძე და სხვები. წრე უშვებს ხელნაწერ უურნალ „მაკახელას“.

ამ წრეში აიღგა ფეხი ნოდარ ძირკვაბემაც. ბევრჯერ გაგვისილავს მისი ცალკეული მოისხრობები. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მან მუშაობა განაგრძოს ხულოს რაიონში. იქ მოკლებული იყო კონსულტანტს, მაგრამ არ

სწყვეტდა კავშირს ბათუმთან. გა-  
მოცდილი ლიტერატორები საქო-  
ან დახმარებას უწევენ როგორც

ნ. ძირჯაძეს, ისე სოფლად მცხო-  
ვრებ სხვა დამწევებ მწერლებს.  
ისიც უნდა აღვინიშნოთ, რომ მწე-  
რალთა კავშირის აჭარის განკუ-  
ფილებას ჰყავს ორი კონსულტან-  
ტი. ასევე დახმარებას არ იშურე-  
ბენ მხელვანი მწერლები ბელეტ-  
რისტი პარმენ ლორია და პოეტი  
ნესტორ მალაზონია.

როგორც ჩანს, დახმარებას  
ნ. ძირჯაძისათვის დადგებითი შე-  
დეგი მოუცია. მის პირველ წიგნ-  
ში შეტანილია არაერთი საყუ-  
რადლებო მოთხრობა.

კრებულის საუკეთესო ნაწარ-  
მოებად შეიძლება ჩაითვალოს  
„ადამიანები არ რჩე-  
ბიან მარტონი“. ეს მოთხ-  
რობა ხსიათდება თემატიკური  
აქტუალობით. მაღალმთიან სოფ-  
ლებში არსებობდა ზენ-ჩვეულება  
ზაფშის აკვანში დანიშვნისა. ასე-  
თი შავი ბედი ხვდა წილად გლე-  
ზის ვოგო სემინებს. იგი აკვანში  
დაინიშნა. როცა წამოიზარდა, დე-  
დამ ასე უთხრა:

— კარგად დამიგდე ყური. შენ  
ჯერ კიდევ პატარა იყავი, რომ და-  
გნიშნეთ აკვანში. დანიშვნის ჩვე-  
ულება ძველებისან მოდის და  
მამაშენი სიტყვას არ გატეხს. ჯიუ-  
ტია, შენს ნებაზე არ გაგიშვებს,  
ამიტომ მეცოდები, შვილო!..

— ვისზე დამნიშნეთ, დედაჩე-  
მო?

— ბიჭი შენი კბილაა. მას ასლა-  
ნი ჰქვია, ორჯერ ნაციხარია, ჩხუ-

ბისთავი ახალგაზრდაა (ნ. მრჩეველი  
ე — „შენი გულისათვის“ 1965  
წ. გვ. 36).

სემინეთი მეტად მძიმე მდგომა-  
რეობაში ჩავარდა. მას უყვარს  
მეზობელი გურამი. ასლანი არ  
თმობს. მოიტაცა სემინეთი და მო-  
ინგომა მისი ძალით დამორჩილე-  
ბა, მაგრამ... ასლანი დააპატიმრეს  
და გადასახლეს. ასე იბრძვის  
ძველი და ახალი, მზარდი და მო-  
მაყვდავი. ეს არის სინამდვილის  
გამოხატვა მის რევოლუციურ გა-  
ნვითარებაში, რაც შეაზევეს სო-  
ციალისტური რეალიზმის, რო-  
გორც საბჭოთა მწერლობის შე-  
მოქმედებითი მეთოდის, ერთ-ერთ  
მთავარ ნიშან-თვისებას. ამ შემთ-  
ხევევაში ახალი უნდა იმარჯვებდეს  
და მოთხრობაშიც ასე ხდება. გუ-  
რამი ომში გაიშვიეს. ომიდან და-  
ბრუნდა და სემინეთი შეირთო. ამ  
ნაწარმოებში ჩანს, რომ ავტორი  
დაკვირვებით მუშაობს სიტყვაზე  
და საქმაო ემოციურ ეფექტსაც  
აღწევს. აი ორიოდე მაგალითი:  
„აჭარისწყალი ყველგან მხარგაშ-  
ლილი მოღიოდა, წინააღმდეგობას  
რომ წააწყდებოდა, დაჭრილ ნა-  
დირივით ბრლვინავდა. ჯერ ერთ  
ადგილს გუბდებოდა, მერე კი ნა-  
სროლ ტყვიასავით ვარდებოდა.  
კლდეზე ბებერ დევყულივით ტო-  
ტებგაშლილი ბერმუხები საჩრ-  
დილებელს ქმნილნენ“ (გვ. 51). აი  
კიდევ ერთი მაგალითი: „დაფიონი  
მოეკიდა ცას, ნიავქაში იჩწეო-  
დნენ, ტაშს უკრავდნენ გზის პი-  
რის ჩამორიგებული ვერხვები. მა-  
ლლა ღამის ფარდის უკან მზიანი

დღის ელდა გამოკრთოდა, ხეობი-  
დან ფეხაკრეფით ამოდიოდნენ ნი-  
სლის ფანტელები და მაღლა სი-  
ნათლისაკენ მიიწევდნენ“ (გვ. 47).

სამწუხაროდ ამას ვერ ვიტყვით  
იმ მოთხოვნის შესახებ, რომლის  
სათაური აფტორს მთელი წიგნის  
სახელწოდებად გამოიუტანია —  
„შენი გულისთვის“. აქ აფტორს  
გამოჰყავს ნახევრად გიუ პიროვ-  
ნება გოგია, რომელსაც თავიდან  
პატრონობს, აძლევს საჭმელს, ყა-  
დულობს მისთვის ფეხსაცმელს და  
პალტოს. კაცია რომ თქვას, ასეთი  
არანორმალური პიროვნებისათვის  
არ ლირს დიდი გაჭივრების გადა-  
ტანა. ჩამს, ავტორს სურს, აჩვე-  
ნოს ჰუმანიზმი, ადამიანზე მზრუ-  
ნველობა, მაგრამ ავიწყდება. რომ  
ამ ჰუმანიზმს უნდა ჰქონდეს გამა-  
რთლება, იგი დიდი აღამიანური  
ღირსების დასაცავად უნდა იყოს  
მიმართული. ასეთი უპარტიო ჰუ-

მანიზმი დღეს საჭირო არ იქნა-  
მოთხოვნა გაუმართეს მეტად  
იდეურად. სამწუხაროდ, ავტორი  
ვერ კიდევ ვერ არის დაუფლებუ-  
ლი ტიპიზაციის თეორიასა და  
პარტიკულარის. ტიპიური არ შეიძლება  
იყოს ანომალიური. ასეთ მოვლე-  
ნას ნატურალიზმი გამოხატავს, მა-  
ვრამ რეალიზმსა და ნატურა-  
ლიზმს შორის წომ არსებითი გან-  
სხვავებაა. ახალგაზრდა დამწყები  
მწერალი ვერ კიდევ ვერ ერკვევა  
ტიპიურის და ტიპიზაციის ასეში.  
ამაში მას დახმარება სჭირდება.

მრავალი ანალოგიური მუგალი-  
თის მოტანა შეიძლება, მაგრამ ახ-  
ლა მათზე ვერ შევჩერდებით, გა-  
საცეთებელი ბევრია და თუ დამ-  
წყებ მწერლებთან ენერგიულად  
ვიმუშავებთ, არაერთი ნიჭიერი  
შემოქმედი შეემატება ჩვენს მწე-  
რლობას.

2829 გავითაპც

## სატრიალო გაშაირებები-გაგებას გვის ტრადიცია აჭარაში

ზეპირსიტყვიერების გავრცელებისა და თაობიდან თაობაზე გადაცემის სიძნელეები კარგადაც ცნობილი ფოლკლორის ტიკაში. შაგრამ, სხვა არის, ოცა ფოლკლორის ბუნებრივ განვითარებასა და გავრცელებას გზაზე ეღობება შეფნებულად შექმნილი წინააღმდეგული ცისტორიულ ეტაპზე, მეტადრე გაბატონებული კრასის წინააღმდეგ მიმართული ზეპირსიტყვიერება სასტიკად იდევნებოდა სახელმწიფოსა და ეკლესის მიერ. ამის მაგალითია 813 წელს უვრბაში და 1103 წელს საქართველოში საეკლესიო კრებების მიერ გამოტანილი მკაცრი განაჩენები.<sup>1</sup>

სარწმუნოების მავნე გავლენა თვისებურად განიცადა აჭარის

ზეპირსიტყვიერებამ თურქთა სამსწლიანი ბატონობისა და ამ დროს არსებული ასიმილატორული პოლიტიკის პირობებში. ისლამი მექეყუნიური არსებობის დანიშნულებად ილაპის სამსახურს მიიჩნევდა.<sup>2</sup>

მაგრამ აჭარელ კაცს მარტო ქადაგება ვერ გაჰყრიდა სისხლხორცელი ქართული ტრადიციებისაგან, რომ ამ საქმეში სოციალური და ეკონომიკური ფაქტორებიც არ ჩარეულიყო: სახალხო მეკრებისა და გართობა-მცირულების ნაცვლად საყოველთაო წირვა-ლოცვები შემოიღეს. მძიმე უღელში შებმულ აჭარელს წიგნიერების დასაწყის-დასასრული ყურანსა და ქითაბ-ნუსხაფებში უნდა ამოეკითხა, ხოლო მინარე-

<sup>1</sup> 1103 წლის რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დადგენილებანი, ქრონიკები, II, გვ. 65.

<sup>2</sup> კურანი მუჰამმადისა, თბ., 1906, თავი XIV, გამოიცემლობა „სინათლა“, ნაბოძები მედინეს 64 მუხლი.

ჰებიდან აღმოსავლური გამყივანით დარხეული „ეზანი“ ლექსადაც უნდა ჰყოფნოდა და სიმღერადაც.

ამგვარმა ვითარებამ, რა თქმა უნდა, ზიანი მიაყენა ზეპირსიტყვიერებასაც. სარწმუნოებამ შეზღუდა ქალი, აუკრძალა მას საზოგადოებაში თავისუფლად გამოსვლა, ცეკვა-სიმღერა, მიწერმოწერა. ამის შედეგად დაკინდა გაშაირება, როგორც ხალხურ შემოქმედებაში ქალ-ვაჟის ცოცხალი კონტაქტის სახე. ცალკეული ავტორები ს ხვადასხვა დროს შეხებიან აჭარაში გაშაირების ტრადიციებს.<sup>3</sup> მიუხედავად ამისა ეს საჭითხი ღლემდე მეცნიერულად შეუსწავლელია. ამჯერად ჩვენ აქ შევჩერდებით სატრფიალო გაშაირების ტრადიციებზე.

აჭარაში უკანასკნელ დრომდე შემორჩა ქალის მიერ სიყვარულის გამჟღვნების თავისებური ფორმა: შეყვარებული ქალი თანხმობის ნიშნად ვაჟს საიდუმლოდ უგზავნის ფურცელზე გადახატულ ხელის ანაბეჭდს.<sup>4</sup> ეს ჩვევა

3 ქ. ნოღიდელი, ნარკვევები და ჩანწერები, ტ. I, ბათ. 1971; ა. მსხალაძე, აჭარის საოჯახო-საწევსჩვეულებო პოეზია, ბათ. 1969; ქ. ჩხეიძე, შრომის პოეზიის ძირითადი სახეები აჭარის ზეპირსიტყვიერებაში, ბათ., 1961; ა. ინაიშვილი, აჭარის ხალხური პოეზიის დახასიათებისთვის, აჭარის ხალხური პოეზია — I, თბ., 1969, ე. ზორბე, წერილი — „გაშაირების ტრადიცია აჭარაში“, უზრნალი „ჭოროხი“, 1971, № 5 და სხვა.

4 საკუთარი მასალებიდან. დადასტურებულია ჩვენ მიერ მარითის ხეობაში.

ხელის მიცემის თავისებური სიმბოლიკა და იგი სათავეს შორის ულ წარსულში უნდა იღებდეს. მაშინ, რა თქმა უნდა ფურცლის მაგივრობას სალი ქვები გასწევდა, ხოლო ფანქრისას — ფერადი სილიკატები. ამ საკითხთან დაკავშირებით ურიგო ას იქნება ზემო აჭარაში გავრცელებული • სხვა ჩვევების გახსენებაც: როცა ქალის ან ვაჟის მშობლები წინააღმდეგობას უწევდნენ კანონიერ შეულლებას, შეყვარებულები სოფლის გარეთ კლდეს ამოირჩევდნენ და ზედ, ერთმანეთის გვერდი-გვერდ მარჯვენა ხელის ნებს მიახატავდნენ. ამ აქტს შეყვარებულთა რწმენით მაგიური ძალა გააჩნდა და „ურჩი“ მშობლების დაყოლიება შეეძლო.<sup>5</sup> ამ რწმენისაგან შორს ას უნდა მიღიოდეს აგრეთვე ე. წ. „ქარაქოზით“ ხელის შეღებვის ჩვევაც.<sup>6</sup> ქვის პინის აღმოჩენა-გამოყენება თავდაპირველად დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ხელის ანაბეჭდთა მაგიურობის პირველყოფილ რწმენისთან. ცნობილია, რომ პირველყოფილი ადამიანები ამ მიზნით ხშირად იღებავდნენ სხეულის სხვადასხვა ნაწილს. პირველადი ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა,

#### 5 იქვე.

6 ზემოაჭარაში „ქარაქოზი“ ეძახიან ლოდებზე გადატულ შაბიამნისუერ, თხელ ხორცლიას საფარს, რომელიც დასველებისა და მასზე ქვის ხასუნის შედეგად გადაეცლება, გაიხსნება და წითელ სალებავად იქცევა, რაც დადასტურებულია ჩვენ მიერ მარითის ხეობაში.

მაგიურობა იყო, ხოლო შემდგომ  
ჰერიოლში იგი თანდათან ხელის  
შეღება-კეცლუცობის საშუალე-  
ბაზ იქცა.

„ქარაქოზთან“ დაკავშირე-  
ბით ჩვენს ყურადღებას იქცევს  
ერთსტროფიანი ხალხური ლექსი,  
რომელსაც ხელის შეღებვისას წა-  
რმოთქვამენ ქალები:

ქარაქოზი, ქოზი,  
ლმერთი ქალატოზი.  
შემინახავს ბეღსო,  
ვერვინ წამართმევსო...

ასე იმურორებინ ისინი ჯანოშ-  
შვეტლივ, ლებვის პროცესში, ხო-  
ლო შემდეგ ხელს დამუჭავენ და  
სალებავის კარგად შეშრობამდე  
არ შლიან. მათივე რწმენით, თუ  
შეშრობამდე ხელის გულზე ცას  
დაახედებ, მაშინ მაგია ძალას და-  
კარგავს, სალებავი ხელს მალე გა-  
დაეცლება და სატროფოც სხვას  
შეირთავს.

აქ მოხსენიებულ მაგიურ ჩვეუ-  
ლებებს შორის მჭიდრო ქაშარია  
სავარაუდებელი: შესაძლოა შეკ-  
ვარებულთა მიერ კრიდუნე ხელის  
მიხატვის ჩვევა შორებულ წარსულ-  
ში თანამედროვე ქორწინების  
დროს არსებულ ხელის მიწერის  
მსგავს რასმე აქტს წარმოადგენდა,  
რითაც პირველყოფილი ადამია-  
ნები ზეციურ ძალთა წინაშე თავს  
ერთმანეთის კუთვნილებად აცხა-  
დებლენენ. ქვის ჰინის აღმოჩენაც  
თავის მხრივ დაკავშირებული ცქ-  
ნებოდა კლდეზე ხელის მიხატვის  
მაგიურ ჩვევასთან, რომლის პო-  
ეტური ტექსტიც შემდგომ დამა-  
ტებული ჩანს. და ბოლოს, სავა-

რაუდოა, ფურცელზე გადახატუ-  
ლი მარჯვენა ხელის აუზუშილის  
სატროფოსადმი გაგზავნის ჩვევა  
კლდეზე ხელის მიხატვის დღევან-  
დელი, ტრანსფორმირებული გა-  
მოხატულება იყოს.

ყველა ესენი ერთი მხრივ უქვე-  
ლესი წარსულის ანარექლს წარ-  
მოადგენენ, ხოლო მეორე მხრივ  
მიგვანიშნებენ გარდასულ დროში  
ქალის შეზღუდულ მდგომარეო-  
ბაზე, როცა იგი გულის ფიქრების  
გასამხელად უშუალოდ სატრ-  
ფოს ვერ მიმართვდა და მაგიურ  
მოქმედებაში ექებდა ხსნას. ხო-  
ლო, იმ პერიოდში, როდესაც ქა-  
ლი, როგორც საზოგადეობის წევ-  
რი, უფლებრივად შეიზღუდა,  
უძველესმა მაგიურმა მოქმედებამ  
შეიძინა ახალი მაგიური შინაარ-  
სი: დახმარებოდა ქალს საპედოს  
ერთგულების შენარჩუნებაში. სა-  
ამისოდ, როგორც ვხედავთ, სა-  
თანადო პოეტური ტექსტიც კი  
შექმნილა, სადაც წინა პლაზე  
სწორედ ბედის შენახვის რწმენა  
წამოწეული.

სატროფოსადმი ლექსით მიმართ-  
ვა ან შეყვარებულებს შორის პო-  
ეტური დიალოგი თავისუფალ გა-  
რემოს მოითხოვს. მუსლიმანურ-  
მა რელიგიამ ქალ-ვაჟის სატრ-  
ფიალო გაშაირება, როგორც ზე-  
პირსიტყვიერების ერთ-ერთი სა-  
ინტერესო მოვლენა, აკრძალა,  
რის გამოც ზეპირსიტყვიერებაში  
თანდათან გამოიყო გაშაირების  
გაღარიბებული, ფორმები, სადაც  
ქალსა და მამაკაცს შორის დია-

ლოგი შეცვალა ერთსქესიანთა მარტივება დღილოგრძა.

აჭარის სინამდვილეში ცნობილია სატრფიალო გაშაირების თავისებური ფორმა, რომელიც ქალთა საზოგადოებაში სრულდება. მოშაირე ქალთაგან ერთი ვაჟის პოზიციიდან სათქმელ შაირს ამბობს, მეორე ქალის პოზიციიდან ეპასუხება. გაშაირებისას ე.წ. ფსევდომამაკაცურ როლში ქალის გამოსვლა შესაძლებელია სწორედ განაპირობა წარსულის იმ პერიოდმა, როცა ქალებს მკაფრად ეკრძალებოდათ მამაკაცებთან სატრფიალო ურთიერთობა და იულებული იყვნენ გაშაირებაც წარმოდგენითი ელემენტებით შეევსოთ.<sup>8</sup> როგორც მთქმელთა გაღმოცემით ირკვევა, გაშაირებისას ფსევდომამაკაცურ როლში ქალის გამოსვლას ადგილი ჰქონია არა მარტო მკის, არამედ ჩეჩინისა და რთვის ნადშიც.

ქალის უფლებრივი ზღვარი თავისებურად ირეკლა ხალხურ გართობა-თამაშობებშიც. ამ მხრივ საყურადღებოა აჭარაში წარსულ-

ში გავრცელებული ფამილიები „ფადიკო“ („ფათიკო“);<sup>9</sup> შეიძლება კოსათვის“ ექვსი კაცი და ერთი ქალია საჭირო. ერთ კაცს ქალის ტანისამოსს ჩაცვამენ და ცალკეოთაში გაიყვანენ; მას ფადიკოს უწოდებენ”...<sup>10</sup> ან კიდევ: „ფათიკოს“ მონაწილეები (10-12 კაცი) თავსა და ტანს შეიბურავდნენ საქონლის ტყავებით, ქამარზე ჩამოიკიდებდნენ ჯოხს (ფალოსის სიმბოლო), აღიჭურვებოდნენ სის ჩანჯლებით და შეკრავდნენ წრეს... შუაში ჩაიყვნებდნენ ქალად გადაცემულ მამაკაცს“...<sup>11</sup>

ამჯერად ჩვენს ყურადღებას იქცევს მამაკაცის მიერ განსახიერებული ფსევდოქალური როლი. მართალია, „ფადიკო“ თავისი ისტორიით უცველეს პერიოდს მიეკუთვნება, მაგრამ, გამორიცხულიც არაა თამაშობის პირვანდელ სახეში ქალის როლი თვითონ ქალს შეესარულებინოს და მას კორექტივი შემდგომ პერიოდში კანეცადოს. ამაზე მიანიშნებს აგრეთვე ზოგიერთი მთქმელის გადმოცემაც: „უქალო ვახტეზე

7 ამ საყითხზე იხ. ჭ. ჩხეიძე, შრომის პოეზიის ძირითადი სახეები აჭარის ზეპირსიტყვიერებაში, ბათ., 1961, გვ. 10.

8 გაშაირების ერთ-ერთი ამგვარი ნიმუში ჩაუწერია ჭ. ჩხეიძეს აჭარისწყლის ხეობაში, რომელსაც ქალები თურმე მკის დროს ასრულებდნენ. იხ. დასახ. ნაშროვა, გვ. 49.

9 ზოგი მკვლევარის აზრით იგი სრულდებოდა ქორწილში, გვან ღამით, ხოლო ზოგი მას მიიჩნევს ვაზის საგაზაფხულო სამუშაოებთან დაკავშირებულ შეიღიერებისა და ნაყოფიერების ღმერთისადმი თავისიც გამომსახველ ორგაისტული ხასიათის გასართობ-სათამაშოდ. მას უკავშირებენ ფალოსის კულტის დღესასწაულებს.

10 ჭ. ნოღაიდელი, ნარკვევები და ჩანაწერები, წიგნი I, ბათ., 1971, გვ. 53.

11 ჭ. ჩხეიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 68.

ფალიკოს დროს კაცი გეღერცვაშ-  
და კაბას, თავზე დაიხურავდა ია-  
ზმას, „ქალი გახდებოდა“<sup>12</sup>... აქ  
გამოთქმა „უქალო ვახტზე“ მია-  
ნიშნებს სწორედ იმ პერიოდზე,  
როცა ქალებს ეკრძალებოდათ  
მსგავს თამაშობაში მონაწილეო-  
ბის მიღება, თორემ, ქორწილში  
ქალები, რა თქმა უნდა, იქნებოდ-  
ნენ. ე. ი. მთქმელის განმარტების  
მიხედვით პირველად ამ თამაშო-  
ბაში ქალი მონაწილეობდა და  
„უქალო ვახტზე“ დარჩა საჭირო  
ფსევდოქალური როლის განსახი-  
ერება.

სხვა ვარაუდით. ფსევდოქა-  
ლურ როლში მამაკაცის გამოსვ-  
ლა თამაშობის კომედიურობის  
გამძაფრების მიზნითაც შეიძლე-  
ბოდა ყოფილიყო გამოშვეული.  
ასეა თუ ისე, „ფალიკო“ პიროვ-  
ნული გარდასახვით მსგავსებას  
იჩენს გაშაირებისას ფსევდომა-  
მაკაცური როლის განსახიერებუ-  
სთან.

თურქთა ბატონობისა და მუს-  
ლიმიანობის მავნე შედეგებს აჭა-  
რაში არაერთხელ შექებიან ივ-  
ტორები. ზოგი მათგანი მიუთი-  
თებს რა ამ შეღეგებზე, უკიდუ-  
რესობაშიც ვარდება, რაც ზიანს  
აყენებს აჭარაში ქართული კულ-  
ტურის ტრადიციულობის პრინ-

12 მთქმელი ქიბარ შემედალის ქ კა-  
ხიძე, 70 წლის, აჭარის საოჯახო-საწეს-  
ნეულებო პოეზია, ბათ., 1969, გვ. 95.

ციპებს.<sup>13</sup> ჩვენ არ გავყვებით და-  
სახელებულ ავტორთა ნაშროვეთის  
ბში გატარებული აზრების ფარ-  
თ ანალიზს, რადგან იგი სცილ-  
დება ფოლკლორის ფარგლებს.  
მაგრამ, ავტორებს ვერ დავვთანხ-  
მებით, როცა საქმე ქალ-ვაჟის სა-  
ტრფიალო ურთიერთობას და „ქა-  
ლისა და კაცის ყოველგვარი ურ-  
თიერთობის აკრძალვას“ შეეხე-  
ბა.

ამამად კრიტიკულ გადასინჯ-  
ვას მოითხოვს თითქმის ტრადი-  
ციადქცეული შეხედულება: თი-  
თქოს თურქთა ბატონობის პერი-  
ოდში აჭარაში ქალს დაკარგული  
ჰქონდა ყოველგვარი დაფასება და  
სამოგადოებრივი ღირსება. მარ-  
თალია, მაშინ ქალი შეზღუდული  
იყო, მაგრამ მას აჭარელთა შეგ-  
ნებაში არასოდეს დაუკარგავს თა-  
ვისი ღირსება და წონა. იმ ძნელ-  
შეღობის ჟამს იგი, როგორც  
ოჯახის ფუძე თავისთავზე იღებდა  
ყველაზე რთულ და საპატიო მო-  
ვალეობას — შენარჩუნებინა  
შთამომავლობაში გშობლიური  
ენისა, ქართული ზნეჩვეულებები-  
სა თუ ტრადიციების სიყვარული.  
და თუ ზოგჯერ აჭარელი ზღუდა-  
ვდა ცოლსა თუ დას, იგი მათ უც-  
ხოთა თვალს უმალავდა, რათა  
ოჯახის სიწმინდე გადაერჩინა და  
ეს არამც და არამც არ იყო შეზ-

13 იხ. «Z. B.» Чертты из быта и  
нравов мусульман Батумского округа,  
СМОМП, К, 1894, XX.

ვ. დავითაშვილი, ისტორიისა და მორა-  
ლის მატერიალისტ. გავება, თბ., 1971,  
გვ. 68, და სხვა.

ლუდვის თვითმიზანი, როგორც  
ზოგს მიაჩნია.

ქალის შეზღუდვის გაზვიადე-  
ბულად წარმოლგვენას თავის დრო-  
ზე ნაწილობრივ არაქართველი  
ავტორებიც კი ეწინააღმდეგებო-  
დნენ.<sup>14</sup> აჭარელი ქალის დიდ უფ-  
ლებებზე მიუთითებდა თ. სახო-  
კია, ხოლო, ჩვენს დროში ამ  
აზრს იცავს და ავითარებს აგრე-  
თვე მეცნიერთა ერთი ნაწილი.<sup>15</sup>  
ქალს მუდამ ეჭირა ერთ-ერთი  
ძირითადი ადგილი აჭარულ ოჯახ-  
ში ფუნქციური განაწილებისა და  
დასექტების დროს. ამის დამადას-  
ტურებელია ამ კუთხეში არსებუ-  
ლი „მემთევრობის“<sup>16</sup> ინსტიტუტი,  
სადაც ქალი მესაქონლეობისა და  
მისგან მიღებული დოკლატის შეძ-  
ქმნელიცაა და პასუხისმგებელიც.  
აჭარულ ოჯახში „უფროსი“<sup>17</sup>  
„უმფლოსი“ ქალი ოდითგან განა-  
ვებდა ყოველგვარ შინასაოჯახო  
საქმეებს, რაც თავისთავად მეტყ-  
ველებს მის დიდ დაფასებაზე.  
სხვა საკითხია, თუ ეს დაფასება

მუსლიმანური დოგმატიზმისა და  
ძველი კონსერვატიული ყოფის  
პირობებში ვერ ამაღლდა ქალის  
საზოგადოების სრულუფლებიან  
წევრად აღიარებამდე.

აჭარული სატრაფიალო გაშაი-  
რება-გაბასების ნიმუშები ერთ-  
ერთი საუკეთესოთაგანია მოლი-  
ანად ქართულ ზეპირისტყვიერე-  
ბაში, რომელთა აზრობრივ-პოე-  
ტიკური სრულყოფა გვაძლევებს  
მათს ტრადიციულობაზეც ვითიქ-  
როთ. თურქთა უდღის გადაგდე-  
ბიდან (1878 წელი) დღემდე. ასე  
მოკლე ისტორიულ პერიოდში  
ვერ შეიქმნებოდა სატრაფიალო  
გაშაირების თუ გაბასების, საზო-  
გადოდ, სატრაფიალო პიეზიის  
ესოდენ დახვეწილი ნიმუშები.  
ამდენად, როდესაც მუსლიმანუ-  
რი სარწმუნოების მავნე ზეგავ-  
ლენაზე ვლაპარაკობთ, ზომიე-  
რების დაცვაც საჭიროა. ყოველგ-  
ვარ გავლენაზე ლაპარაკი უოური  
გულისხმობს ერთის სიძლიერეს  
მეორეზე, ერთის აღზევებას და  
მეორის დანინებას. ამ პროცეს-  
ში პირველის როლის გაზვადე-  
ბა, ნებით თუ უნებლიერ, ჩრდილს  
აყენებს მეორეს. სამ საუკუნოვა-  
ნი შეზღუდვანი თუ რეპრესიები,  
რაც უნდა მკაცრი ყოფილიყო,  
თავისი დისტანციურობით მაინც  
უძლური იყო მოესპო აჭარაში ძი-  
რძველი ქართული ტრადიციები.  
ამ ფაქტზე ყოფისა და კულტრის  
სხვა მტკიცებებთან ერთად ზე-  
პირისტყვიერებაც ნათლად მეტყ-  
ველებს.

მრავალრიცხვან მოქმედთა

14 იბ. В. Лисовский, Чорохский  
край, Тф. 1837; А. Френкель, Очерки  
Чурук-су и Батума, Тб., 1879; К. Са-  
довский, Посховский участок Арда-  
ганскоого округа, Карской области,  
СМОМПК, 1886, 5.

15 იბ. თ. სახოკია, მოგზაურობანი,  
აჭარა, ტფ., 1950; ვ. შამილაძე, ალპური  
მესაქონლეობა საქართველოში, თბ.,  
1969, გვ. 117; მ. ბექაია, დასახელებული  
ნაშრომი, გვ. 26 და ა. შ.

16 მემთევერობაზე ვრცლად იბ. ვ. შა-  
მილაძე, დასახელებული ნაშრომი; მ. ბე-  
ქაია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 25.

17 მ. ბექაია, დასახელებული ნაშრო-  
მი, გვ. 25.

გადმოცემებით, აგრეთვე გაშეი-  
რჩა-გაბასების ტექსტების შინა-  
ასტობლივი ანალიზით ოკენევა ის  
სიტუაციური გარემონი, სადაც  
აღგიღლი უნდა ჰქონოდა ქალ-გა-  
უის სატრანსპორტო ურთიერთობას  
და სათანადო პორტური ნიმუშე-  
ბის შექმნას, ასეთია: ქორწილი,  
მყისა და თიბგის სამუშაოები, ხე-  
რტლის, სახეჩლის და სიმინდის  
ნადი, მწყემსიბა, წყალზე წასვ-  
ლა, მდინარეზე სარეცხის ჯუფუ-  
რად რეცხვა, ტყეში წასვლა მოც-  
ვის, სოკოს, ასკილის და სხვათა  
საკრეფად და ა.შ.

ცალკე უნდა აღინიშნოს ზემო-  
აჭარაში დღემდე მტკუცედ შენარ-  
ჩუნებული დიდი სახალხო ზემინ  
„შუამთობა“ („შვამთევრობა“, „  
მემხლიანობა“).<sup>18</sup> საერთო-სახა-  
ლხო ზემინისას ცეკვა-სიმღერის,  
ხალხური გართობა-თამაშობების  
გვერდით განსაკუთრებული ადგი-

18 პარის მთანეთში მესაქონლევები  
ზაფხულობით საქონელს იალაღებზე მი-  
რეკავნ. ცალკეული ოჯახიდან მთაში  
ერთი ან ოჯახის ორი წევრი („შემთევ-  
რი“) მიდის, ისიც უმეტესად ქალები, რომლებიც უვლიან პირუტყებს. ივლისის  
შუა რიცხვებში ან მიწურულს ბარში  
დარჩენილები საზაფხულო სამუშაოებს  
შემოილევნ და მთელი სოფელი კოლე-  
ქტიურად ესტუმრება მთას. თან მაჲვავთ  
მოსეირე ხალხი: დამკვრელები, მომღე-  
რალ-შემსრულებლები, მოშაირენი, „ხა-  
სიათიანი“, ე.წ. მასხარა (მახარა) ხალ-  
ხი. ერთ-ორი კვირის განმავლობაში იქ  
დაჲვოფენ, ქეიფსა და მხიარულებაში  
ატარებენ ღროს და უკან ბრუნდებიან.  
ეს ჩევევა უძველესი შრომის ზემინის თა-  
ვისებური გმირატულებაა და სათანადო  
შესწავლას მოითხოვს.

ლი უჭირავს სხვადასხვა ხატიათის.  
გაშაირებასა და გაბასებებს უარის-  
ფიალო გაშაირება-გაბასებება კი  
ამ ზემინის ერთ-ერთი დამასი-  
თებელი ნაწილია. როგორც ზე-  
მოთ მივუთითებდით, ამგვარი სი-  
მუშები ყურადღებას იქცევს მა-  
ღალპოეტურობით. შინაარსია  
და ფორმის, აგრეთვე შესარულე-  
ბის წესის მიხედვით შესაძლებე-  
ლია გაშაირება-გაბასების მრავა-  
ლრიცხვოვანი ტექსტის ერთგვარი  
კლასიფიკაციაც მოვახდინოთ.

1. **სინკროტული ხასიათის სა-  
ტრანიალო გაშაირება.**<sup>19</sup> ერთმანე-  
თის მოპირისპირედ დგება მამა-  
კაცთა და ქალთა გუნდი. თითოვე-  
ულს ჰყავს თავისი კორიფე. გაშა-  
ირება ხდება საკრავთან ერთად  
(ჩონგური, ფანდური). იგი იწყე-  
ბა რეფრენის ორჯერადი განტეო-  
რებით, რომელსაც კორიფეები  
ცალ-ცალკე წარმოთქვამენ. ამის  
შემდეგ რეფრენს იტაცებს გუნ-  
დი და კორიფეები გადაღიან სო-  
ლო-შაირებზე. ზოგჯერ ორივე  
კორიფეს შეიძლება ბანს აძლევ-  
დეს ერთი გუნდი ან ორი ნახე-  
ვარგუნდი მარტო მამაკაცების ან  
მარტო ქალების, ანდაც შერეული  
სახით. დამახასიათებელია მაღა-  
ლი მუსიკალური და საშემსრუ-  
ლებლო დონე. გაშაირებას თან  
ახლავს ძლიერი, აღმავალი რიტ-  
მი, რომელიც ტაშისცემასა და  
ცეკვაში გადადის. ამგვარ გაშაი-  
რებას არაერთჯერ შევსწრები-

19 ტექსტები აქ და შემდგომშიც სი-  
დიდის გამო უველგან არ მოგვაჩვს.

ვართ პირადად ჩვენც ჩირუხის შთაზე. გაშაირება დღესაც სრულდება ხიხაძირის ხეობაში. იგი შესულია თვითმოქმედი ანსამბლების რეპერტუარშიც. სინკრეტული გაშაირების ამ ნიმუშს პირობითად შეიძლება ეწოდოს „ომ ჩანი და ნანა“, ასევე უწოდებს მას ხალხი. სახელწოდებად აღმიარებულია რეფრენი, რომელიც ტექსტის ბოლომდე მეორდება;<sup>20</sup> ტექსტის შენარჩუნებულია მსუბუქი და ლალი განწყობილება. გაშაირებისას პირველი სიტყვა ეკუთვნის ქალს, ხოლო ვაჟი თავისთავშე იღებს სათანადო რითმის მისადაგების სინელეს.

გაშაირება სინკრეტული ხასიათისაა, იგი შეიძლება ფერხულის თავისებურ ფორმადაც მივჩინოთ. მისი შექმნა მიეწერება პერიოდს, როცა გუნდური სინკრეტიზმი ჯერ კიდევ სრულად არა დაშლილი. თუმცა, გუნდური ანტიფონური სიმღერებიდან უკვე გამოყოფილია კორიფე. ვაშაირების ეს ნიმუში შეიძლება სეანურში შევადაროთ შარის სახელწოდებით ცნობილ ფერხულს<sup>21</sup> ან ლოტურში დადასტურებულ კო-

20 საკუთარი მასალებიდან, ჩაწერილია ხულოს რაიონის სოფელ ხიხაძირში.

21 იხ. ელ. ვირსალაძე, ქართული ხალხური სატრიიალო ლირიკის ძირითადი სახეობანი, ლიტ. ძეგბანი, თბ., 1953, გვ. 278.

რიფეს გადამალვის ხერხს.<sup>22</sup> ამასთან, თუ ლაზურში გუნდისაგან კორიფე ჯერ კიდევ მალულადა გამოყოფილი, აჭარულში იგი უკვე აშკარად ცალკეა, გუნდისაგან წინა სლანზე დგას და მისი აქტიურობაც აშკარა და დაუურავია. ამდენად ლაზურ ნიმუშთან შედარებით აჭარული უფრო მოგვიან პერიოდს უნდა მიეკუთვნოს. მათი ურთიერთშეპირისპარება კი გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს თვით გუნდური სინკრეტიზმის რღვევის პროცესის თანმიმდევრობაზე.

2 ცალფა შაირებით აგებული სატრიიალო გაშაირება. პირველყოფილი სინკრეტიზმი უკვე დაშლილია, ერთმანეთის პირისპირ მხოლოდ კორიფები დგანან. თუმცა, ქალ-ვაჟის სიტყვა-პასუხს შორის ლოგიური კავშირი არ არის. მოშაირენი იყენებენ პარალელიზმის ხერხით აგებოლ ცნობილ შაირებს („ჩასტუმეები“), რომელთა შინაარჩეულ ლალი და თავისუფალი ხასიათისა.<sup>23</sup>

ამგვარ გაშაირებაში სატრიიალო დავა ან სხვა წინააღმდეგვობები გამორიცხულია. ტექსტი სალალობო, სასიმღეროა. გაშაირების ეს სახე აჭარაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია,<sup>24</sup> იგი შეიძლება შეგვხვდეს ქორწილში, ნაღში, შუამთობაზე, საზამხულო

22 ზ. თანდილავა. ლაზური ხალხური პოეზია. ბათ., 1972. გვ. 30.

23 ბსკი, ფ. 1, ს. 38, გვ. 14.

24 ბსკი, ფ. 1, ს. 33, გვ. 15, ს. 68, გვ. 53; ს. 97, გვ. 13 და ა. შ.

სამუშაოებისა თუ უბრალო თავ-შეყრის დროს. გაშაირების ამ სახეობის პოპულარობა გამოწვეულია თვითონ შაირების პოპულარობით. მოშაირე არ იზიღუდება ახლის შექმნის სიძნელით, ივა მოარული სატრიფიალო სტროფების უბრალო მისადაგებით კრაკოფილდება, რაც კიდევ უფრო აადგილდებს ვოშაირისადმი წაკენებულ პირისას და უფრო პოპულარულ სახედ აქცევს მას.

3 გაფიის სახის სატრიფიალო გაშაირება. აჭარულ ზეპირსიტყვიერებაში გვხვდება სატრიფიალო გაშაირება, რომელიც ფშავურ შემღერებით კაფიობის ღონეზეც ადის. მოპირდაპირენი იცავენ ლექსის ერთნაირ ზომას და, რაც მთავარია, ერთის მიერ წარმოთქმული ტაეპები აზრობრივად პირდაპირი პასუხია მეორის ნათევაზე. პირველი ამბობს ორ ტაეპს, რომელსაც მეორემ უნდა შეუწყვილოს დანარჩენი ორი ტაები, და შეურითმოს კიდევ იგი. ასეთ დროს რითმის (ყუვის-ფშავ.) შეცდლი დაუშვებელია:

ჟალი — ბიჭო ძალან მიყვარხარ,  
ვაფილები გაბასა.

ვაფი — თუ არ მომცემს, ვენაცვალე  
ჭრელტარიან ყამასა.

ან კიდევ:

ვაფი — გოგოვ ერთი გამეჩედე,  
გამოაღე ფენჯერა.

ჟალი — შორიდან რომ თვალს მიხუჭავ,  
ეს არაფრად არ მჯერა.<sup>25</sup>

ამგვარი ნიმუშები აჭარულში მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც მოიპოვება.

გვხვდება აგრეთვე გაშაირების ნიმუშები, სადაც დარღვეულია „შემღერების“ პრინციპი. მოშაირენი შეწყობილი, მუნასიბი პარტიებით კი არ მიმართავენ ერთმანეთს, არამედ ორტავიანი დასრულებული შაირებით. სამაგიეროდ, „შემღერების“ პრინციპი დაცულია მეტრისა და რითმის თვალსაზრისით:

გოგო — მეშინია ბიჭებიდან,  
მათი ფეხის ბიჭებიდან.

ბიჭი — მეშინია გოგვებიდან,  
იმათ კლავზე გორვებიდან...

გაშაირებაში შენარჩუნებულია აგრეთვე ერთი მთლიანი შინაარსი. მოპაეჭრეთა პასუხები ერთშანეთთან ლოგიკურ შინაგან კავშირშია: მოშაირენი ურთიერთს შეფარგით აშაირებენ და თავიაპთ პასუხებში ოსტატურად აქანვენ ფარულ ტრფიალს.

სატრიფიალო გაშაირება ზოგჯერ მოყლე, ლაკონურ სიტყვა-პასუხს მოჰგავს, თუმცა, მიუხედავად ამისა, შინაარსი იმდენად მრავლისმეტყველი და შთამბეჭდავია, რომ ზემოქმედების ქალით „დიდტანიან“ გაშაირებასაც არ ჩამოუვარდება. ამ შთაბეჭდილებას ქმნის მეტად ორიგინალური და ჭარბი პარალელიზმი. ამასთან, საზოგადოდ, შაირებში გამოყენებული პარალელიზმისაგან განსხვავებით იგი აქ მომშობილია არა მხოლოდ რითმისათვის, არამედ შინაგანი კავშირი აქვს შინაარსთან და ემსახურება მთავარსათქმელის მიზანსწრაფულობას, რომელიც დიალოგის ორივე ნაწილ-

ში ბოლო ორი სტრიქონითაა გადმოცემული:

ქალი — ვის უნახავს, ვის მოსწრია  
ვიოთხას დაეჭიროს შეკელი,  
მწყერს — მიმინ, ხოხობს—ჟორი,  
თევზს გაეგდოს მინდვრად შეველი;  
ტურას — ლომი, კატას — ვაფხვი,  
ჭიანჭველას — დათვის ბელი,  
რავარც ეს არ მოხერტდება —  
არც შენ არ გაქ ჩემზე ხელი.

ვაჟი — სანთლის გუთანს ავაშენებ,  
შით შევაბამ ულელ დევსა.  
ზღვში ვხნავ და ზღვში ვთესავ,  
ხმელზე გადავაყრი ბზესა.  
ჭიანჭველას გოდორს ავკიდებ,  
და დევებს დავუყრი ბზესა,  
როცა ამას შევასრულებ —  
მაშინ ევლეფ შენზე ხელსა.<sup>26</sup>

აქ გამოყენებული პარალელები  
აღებულია ქართული ხალხური  
საგმირო-მითოლოგიური სიუკე-  
ტებიდან. პარალელიზმი იმდენად  
უხვია, რომ იგი დანაწილების შე-  
მთხვევაში რამდენიმე შაირსაც  
კი ეყოფოდა. გაშაირების ამ ნი-  
მუში არ ჩანს თუ როგორ გადა-  
წყდება სატრუიალო „დავა“, გა-  
უწევს თუ არა ქალი საბოლოოდ  
თანაკრძნობას. თუმცა, ვაჟის სიმ-  
ბოლური პასუხი და შესმი ჩაქსო-  
ვილი სიმტკიცე კამათის დადები-  
თად გადაწყვეტისაკენ მიანიშ-  
ნებს.

სავარაუდოა, აქ მოტანილი გა-  
შაირება რომელიმე გრძელი ტექ-  
სტის ნაწყვეტიც იყოს. მაგალი-  
თად, ზემორაჭული ქალ-ვაჟიანის  
ერთ-ერთ ტექსტში ფიქსირებუ-  
ლია აღნიშნულის მსგავსი სიტყ-  
ვა-პასუხი, თუმცა, იგი იქ ერთმა-

ნეთისაგან დაშორებულადაა წარ-  
მოდგენილი, დარღვეულია უძველე-  
ალო სიტყვა-მიგება და ამით ერ-  
თგვარად ეფექტიც დაკარგუ-  
ლია.<sup>27</sup>

გაშაირების ტრადიციებზე საუ-  
ბრისას არ შეიძლება გვერდი  
ავუაროთ დიალოგური ფორმის  
იმ პოეტურ ნიმუშებს, რომლებიც  
მართალია გაშაირებას არ წარმო-  
ადგენენ, მაგრამ მასთან მციცრო  
კავშირი გააჩნიათ. ამჯერად ჩვენ  
მხედველობაში გვაქვს გაბაასე-  
ბის რიგი ნიმუშები.

გაბაასება ქართული ზეპირ-  
სიტყვიერების ერთი ბუნებრივი  
სახეა და იგი ფოლქლორისტიკაში  
ცალკე უანრაღაცა გამოყოფილი.  
პროფ. მიხეილ ჩიქოვანი ასახე-  
ლებს დღისა და ღამის, სიკვდი-  
ლისა და სიცოცხლის, ცისა და  
ქვეყნის, ქალისა და ვაჟის გაბაა-  
სებას და ვრცლად ჩერდება ხილ-  
თა გაბაასებაზე, რის საფუძველ-  
ზეც გაბაასების უანრს ასე ახასი-  
ათებს: „შინაარსის მხრივ გაბაასე-  
ბის თითოეული მონაწილე ჯერ  
თავს იქებს, უამბობს დანარჩე-  
ნებს, თუ რითაა იგი ღირსშესანი-  
შნავი, რა დადებითი თვისებები  
აქვს და როგორ ეპყრობა მას  
ადამიანი. ასეთი თვითდახასიათე-  
ბის დროს მობაასეთა შორის შუ-  
რი იღვიძებს, იწყება დავა იშის  
შესახებ, თუ ვინ ვისა სჯობს სუ-  
რნელებითა და ფერით, საჩვენებ-  
ლიანობითა და კეთილბუნებიანო-

27 იბ. შ. ძიძეგური, ქართული დია-  
ლექტოლოგის მასალები, თბ., 1974, გვ.  
233-234.

გით”...<sup>28</sup> ხანგრძლივი შემკრება-  
ლობითი მუშაობის შედეგად  
დღეისათვის დაგროვილი დიალო-  
გური პოეტური ნიმუშების ერთი  
ნაწილის შინაარსობლივი ქარვა  
გაბაასების ამ ფორმულაში ვეღარ  
თავსდება. მაგალითად, მათვი არ  
გვხვდება თავის ქება, საქუთარი  
ლირსებების მტკიცება და ურთი-  
ერთმჯობნობაზე დავა. მეორე  
მხრივ, მთელი რიგი თავისებურე-  
ბების გამო ისინი არც გაშაირე-  
ბად ჩაითვლება.

საერთოდ, გაშაირებასა და გა-  
ბაასებას შორის მეტად ზღვარის  
გავლება ძნელდება. ქართულ ფო-  
ლკლორისტიკაში არსებობს მარ-  
თებული აზრი გაშაირება-გალექ-  
სების, კაფიისა და გაბაასების უან-  
რის საერთო საწყისებზე.<sup>29</sup> გაშა-  
ირებისა და გაბაასების მრავალ-  
რიცხოვან ნიმუშებზე დაკვირვე-  
ბით შესაძლებელია იმ ძირითადი  
ნიშნების გამოყოფა, რითაც დია-  
ლოგური პოეტური ნიმუშების ეს-  
ორი გვარი ერთმანეთისაგან განი-  
ჩევა: გაშაირების ტექსტი უმე-  
ტესად სახელდახელოდ, იმპრო-  
ვიზაციულად შექმნილია, ამის გა-  
მო იგი მოკლე და ლაკონურია.  
გაშაირებისათვის ნიშანდობლი-  
ვია საზოგადოდ შაირისათვის  
დამახასიათებელი სალალობი და  
ხშირად იუმორისტული ხასია-  
თიც. სიტყვა-პასუხი თითო ან  
ორი სტროფით ამოიწურება. საა-

მისოდ ხშირად გამოიყენება ცნო-  
ბილი შაირები, რომელთა შემოქმედ-  
ლოგიკური კავშირი არაა (ცალფა).  
შაირებით აგებული გაშაირება—  
გაშაირების მაღალ ფორმაში (კა-  
ფია) გაუმჯობესებულია შინაარ-  
სი და პოეტური მხარე, მაგრამ  
ტექსტი უმეტესად მაინც მცირე,  
ზომისაა. საერთო შეხედულებით  
გაშაირება დიალოგური ლექსე-  
ბის უფრო მარტივი დონეა (თუ:  
არ ჩავთვლით მის პოეტიკურ მხა-  
რეს).

ზემოჩამოთვლილი ნიშნების სა-  
პირისპიროდ გაბაასება უფრო სა-  
გულდაგულო წინასწარმზადები-  
სა და დინგი ზეპირშემოქმედების  
ნაყოფია. გაბაასებაში მოტანილი  
ურთიერთმჯობნობისა თუ სხვა  
არგუმენტები სირთულის გამო  
მართლაც მოითხოვენ წინასწარ-  
მზადებასა და საგულდაგულო-  
ობას. ამის გემო გაბაასება მოკ-  
ლებულია იმპროვიზაციულობას,  
აქვს უფრო სრულყოფილი შინა-  
არსი და ფორმა, შედგება გრძელი  
პოეტური მონოლოგებისაგან,  
რომელთა შორის ყოველთვის  
ლოგიკური კავშირია (ბაასი). ტე-  
ქსტი მთლიანობაში საკმაოდ დი-  
დია, ამის გამო გააჩნია ეპიური  
ეანრისაკენ მიღლვებილება. გაბაა-  
სება ყოველთვის არ შეიცავს იუ-  
მორს (სატრფიალო გაბაასება),  
ზოგჯერ სილაღესაც შიკლებულის  
და პირიქით, დრამატული შინაარ-  
სისა (საყოფიერო გაბაასება).

ამ ნიშნების გათვალისწინებით  
ის დიალოგური ტექსტები, რომ-  
ლებიც გაბაასების ცნობილ ფორ-

28 მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური  
სიტყვიერების ისტორია, თბ., 1956, გვ.  
343.

29 გალექსება-გაშაირება და ფშაური  
კაფია, თბ., 1964, გვ. 5.

მულას ვერ ეგუებიან, მაინც გაბასების უანრში უნდა გაერთიანდეს, რის გამოც თვითონ ფორმულა უფრო გაფართოებულ სახეს მიიღებს.

მიუხედავად არსებული სხვაობისა, როგორც მივუთითებდით, გამაირებისა და გაბასების ნიმუშების მკაცრი გამიჯენა ძნელია. მათ ბევრი საერთო ნიშანი გააჩნიათ, რომელზე დაკვირვებაც გვაიძულებს ვითიქროთ — ორივე ამათ ერთი წარმომავლობა აქვთ. გამაირება პოეტური დიალოგის შედარებით დაბალი ფორმა, გაბასება კი, გამაირების განვითარებულ, ერთგვარად სრულყოფილ და მისი გამო სახეშეცვლილ გვარს წარმოადგეს, რისთვისაც მან ცალკე უანრად არსებობის უფლებაც მოიპოვა. სწორედ ამ მსგავსებისა და საერთო საწყისის გამო დიალოგური ნიმუშების ამ ორ გვარს ერთმნეთან კავშირში განვიხილავთ.

\* \* \*

აჭარულ ზეპირსიტყვიერებაში არსებული სატრფიალო გაბასების ნიმუშთა სიმრავლე და სხვადასხვაობა სიუჟეტურად დაჯგუფებას ართულებს. სხვადასხვანაირია მათში საკითხის საბოლოო გადაწყვეტაც. თუ ერთ შემთხვევაში სატრფიალო დიალოგს ბედნიერი დასასრული აქვს, სხვა შემთხვევაში იგი შეიძლება ერთერთი მხარისათვის წარუმატებლადაც დამთავრდეს. თუმცა, ნიმუშთა ამ სხვადასხვაობაში მაინც

არ არის ძნელი იმ ძირითადი ჭარბების გამოყოფა, რაც სატრფიალო ბასების რიგი ტექსტებისათვის.

1. ზღაპრული მეტამორფოზებით აგებული სატრფიალო გაბაასება. ვაჟი ტრფიალებით მიმართავს ქალს. ქალი უარზეა და „იმუქჩება“, რომ თუ არ დაესცნება, გადაიქცევა ჩიტად, თევზიან, ნემსიღ, ხედ და ა. შ. ვაჟი პასუხობს, რომ თვითონ ბუღელ, ბადედ, ძაფად ან სურიდ გადაიქცევა, რათა არ დაპკარგოს სატრფოსთან სიახლოვე. როცა მოკვდები, ხომ მომშორდებიო, — ეკითხება ქალი. ვაჟი კუბოდ ქცევას პპირდება და გაბასებაც აქ მთავრდება. ამგვარ „ქცევადობას“, როგორც სატრფიალო დრამის გამოხატულებას, თავის დროზე ზღაპრული წარმოშობის მხატვრულ ხერხად მიიჩნევდა ვ. კოტეტიშვილი. მისი აზრით მსგავსი მეტამორფოზები უფრო ზღაპრებისთვისაა დამარასიათხელი. პერსონაჟთა „ქცევადობა“ ქართულ ზღაპარში ხშირადაა გამოყენებული სიუჟეტის გაგრძელებისათვის, ამდენიდ, კოტეტიშვილის ვარაუდი დამაჯერებელი ჩანს.

გაბასების ამგვარი ნიმუშები ვარიანტების სახით მოგვეპოვება, რაც მის პოპულარობაზე შეტყველებს.<sup>30</sup> როგორც ტექსტის განხილვით ვრწმუნდებით, იგი არ არის

რთული. ყველაფერი ძარტივად და მსუბუქად ხდება. ქალი თავისი კეკლუცობით იმ პეპელას მოგვავონებს, რომელიც ბუჩქიდან ბუჩქშე ფრენს და სწორფერს გაუჩბის. მიუხედავად დაპირისპირებულობისა, შენარჩუნებულია ლალი განწყობილება. გაბაასების რიტმიკა გვაფიქრებინებს, რომ იგი სიმღერით უნდა შესრულდეს. ამაზე მიანიშნებს შიგადაშიგ რეტრენად დატანებული სიტყვები „გოგონავ“ და „ბიჭუნავ“.

გაბაასებაში გამო ყენებულ „ქცევადობას“ პარალელი მრავალი ქვეყნის ზეპირსიტყვიერებაში ეძებნება. მაგ. Håsdeu-ს მიერ შესწავლილია ერთ-ერთი რუმინული ბალაზა Cucui se tuturică (გუგული და გვრიტი), სადაც დიალოგურად გადმოცემულია გუგულისა და გვრიტის სატრფიალო ურთიერთობა. თავისი შინაარსით იგი შორს არ დგას ქართული გაბაასებისაგან. ის გაბაასების ნიმუშიც:

ვაჟი — ქალო, ლამაზო,  
გამომყევ ცოლად.

მე დაგიდგები, ჭირიმე,  
შენ ბალის მცველად.

ქალი — არა, არ მინდა,  
შენ არ გაგვები.

ჩიტად ვიქცევი, ბიჭუნავ,  
ხომ მომშორდები.

ვაჟი — მაშინ მე ბუდედ ვადავიქცევი,  
მიგ შემოტინავ, გოგონავ,  
ჩემი იქნები.

ქალი — არა, არ მინდა,  
შენ არ წაგვები,  
ხოცავ მოხუცდება,  
ხომ მომშორდები.

ვაჟი — მაშინ მე კუპოლ

გადავიქცევი,  
შემოგვეხვევი, გოგონავ,  
ჩემი იქნები.

ქალი — არა, არ მინდა,  
შენ არ წაგვები,  
ნემსად ვიქცევი, ბიჭუნავ,  
ხომ მომშორდები.

ვაჟი — მაშინ მე დაფად  
ვადავიქცევი,  
გამოგვებმები, გოგონავ,  
ჩემი იქნები.

ქალი — არა, არ შინდა,  
შენ არ წაგვები,  
თევზად ვიქცევი, ბიჭუნავ,  
ხომ მომშორდები.

ვაჟი — მაშინ მე ბადედ  
გადავიქცევი,  
შიგ შემოსცურავ, გოგონავ,  
ჩემი იქნები.

ქალი — არა, არ მინდა,  
შენ არ წაგვები,  
რომ მოხხუცდება,  
ხომ მომშორდები.

ვაჟი — შენ მოხუცდები,  
მეც მოხხუცდები,  
ორთავე მოხუცდებული  
ერთად ვიქნებით.

ქალი — არა, არ მინდა,  
შენ არ წაგვები,  
როცა მოვკვდები,  
ხომ მომშორდები.

ვაჟი — მაშინ მე კუპოლ  
ვადავიქცევი,  
შიგ ჩამოწვები, გოგონავ,  
ჩემი იქნები. 31

რუმინული ბალადა თავიდან ბოლომდე გასიმბოლურებულია, მასში ერთმანეთს ფრინველები ეტრფიან. ბალადის შინაარსთან პარალელი პირველმა გაავლო 3. კოტეტიშვილმა, როცა „ქალვაჟის სტყვარული ვაჟიკასი და ჩვარამზისა“-ზე მსჯელობდა. გუ-

31 ბსკი, ფ. 1, ს. 59, გვ. 113, ჩაწერილია 1961 წელს.

გული სიყვარულს სთხოვს, გვრიტი უარზეა, დედაშენი ავია და კუდიანიო. გუგული კვლავ იმეორებს თხოვნას, გვრიტი ისევ უარობს, თუ თავს არ დამახებებ, ხმიადად გადავიქცევი, თონეში რომ არის ჩატრულიო. შენ ხმიად გადაიქცევი და მე შამფურადო, ჩამოვალ ცეცხლში და დაკუცნიო. მაშინ მე ლერწმად გადავიქცევიო. მე კი — მწყეშად, მოგჭრი სალამურად და დაგვოცნიო და ა. შ.<sup>32</sup>

გუგულისა და გვრიტის ბალადა ვარიანტების სახით გავრცელებულია ფრანგულ, იტალიურ, პოლონურ, თურქულ, სპარსულ, ნეპოლურ, კატალონურ და სხვა ხალხთა ზეპირსიტყვიერებაში. ყველა ისინი ზემოთმოტანილი ქართული გაბაასების შორეული ნათესავები არიან. ვ. კოტეტიშვილი მსგავსი ლექსების ჩასახას ვარაუდობდა იმ პერიოდისათვის, როცა „სიმბოლიზმს გარკვეული საზოგადოებრივი მნიშვნელობა ქონდა“, როცა „გაიგივებული იყო აღამიანისა და საგნების სიცოცხლე“. შემდგომში კი იგივეობა მხატვრული შედარებით შეიცვალა და მივიღეთ „ქცევადობაზე“, მეტამორფოზაზე დამყარებული ხალხური ქმნილებები.

ჩვენს შემთხვევაში ხელაღებით მსჯელობა არ შეიძლება ნიმუშის არქაულობაზე, თუმცა, მასში უთუოდ ჩანს ზეპირსიტყვიერების

32 ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, თბ., 1961, გვ. 342.

წინა პერიოდის ანარეკული შეზავებულია მხატვრულობის ძევლი ხერხი და აზროვნების თანამედროვე სიცხადე. წარსულსა და აწყოსთან შემაერთებელი ძაფებით ეს ნიმუში უფრო მეტ ინტერესს გვიქმნის.

2. ქალის განზრახ უარი და განზრახ თავშეკავება. ქალის უარს თითქოს წინასწარმოფიქრებული სახე აქვს. მას სურს გაიგოს რა ეფექტს მოახდენს მოტრფიალეზე მისი პასუხი და თითქოს კამაყოფილებასაც გვრის ვაჟის „წვა და დაგვა“. თავშეკავება გამოწვეული უნდა იყოს, გერ ერთი, ქალის მორცხვობით და მეორეც, ქვეცნობიერი სიფრთხილით — გაიგოს რამდენად გულწრფელია ვაჟი, რამდენად მტკიცეა მისი სიყვარული, ხომ არ არის იგი წუთიერი გატაცება. ქალის პასუხები მყაცრია, თუმცა არა იმედისგამწყვეტი, რაც კიდევ უფრო აღაგზნებს ვაჟს. უარით შეურაცხყოფილი და გახელებული რაინდი ამწვავებს და ამძაფრებს ტონს. როცა ქალი აწმუნდება ვაჟის სიყვარულში, ტონს შეიცვლის, თანდათან მორბილდება და ბოლოს თანხმობას აცხადებს. გაბაასების ზოგ ვარიანტში თანხმობის შემდეგ თვითონვე დასძენს: „მეც არანაკლებ მიყვარდი და არ გამჟღავნებდი, მინდოდა გამეგო რასი იტყოდიო...“ აქ ჩვეულებრივ, წინა პლაზე წამოწეულია სიყვარულზე მსჯელობა. ვაჟი თავის „მონოლოგებში“ ერთგულების დამტკიცებას ცდილობს, უხვად

ამკობს სატრაფოს მთატვრული შედარებებით, რაშიც ამჟღავნებს გულისწადილს. ვაჟი მსმენელშიც სიმპათიას იმსახურებს, მსმენელი თვითონაც მოელის ბედნიერ და სასრულს, რაც მართლდება კი- დეც.

ამგვარი გაბაასების ტექსტი შინაარსითა და ფორმით სრულყოფილი პოეტური ნაწარმოებია.<sup>33</sup>

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ქალ-ვაჟიანი საერთოდ გავრცელებული უნირია. იგი გვივდება როგორც პროზის, ისე პოეზიის სახით. პროზაულ ქალ-ვაჟიანში მთავარი ყურადღება გადატანილია სიბრძნითა და გონებამახვილობით პატრიობაზე.<sup>34</sup> ხოლო, პოეტურ ქალ-ვაჟიანში გაჭიბრება ხდება, როგორც სიბრძნე-გონიერების, ისე პოეზიისათვის დამახასიათებელი სხვა ნიშნების მოშევლიებით. ამასთან, წითა პლანზე წამოწეულია სატრაფიალო ურსიერთობა. ქართულ ზალტურ პოეზიში გრავალ ჩიმურაშიან შეიძლება დასახელებულ იქნას „ეჭური ქალვაჟიანი“ „ეს არის სასიყვარულო გაბაასება, ლექსალ, ვაჟსა და ქალს შორცს, გაბაასება მევახე სიტყვებით იტყება, შაგრამ ბოლოს შერიგება ხდება“.<sup>35</sup>

33 ბსკი, ფ. 1, ს. 32, გვ. 4, 1959

34 იხ. Е. Таканшили, Описание рукописей общества распространения грамотности среди грузинского населения, т. II (1906—1912), № 60, 62, 65, 286, 287, 288, 289, 290, 291, 292, 293, 300, 304, 311

35 ა. შანიძე, ეჭური ქალვაჟიანი, ლოტ. ძეგბანი, ტ. 11, თბ., 1958, გვ. 379

36 ბსკი, ფ. 1, ს. 21, გვ. 18; ს. 23, გვ. 167; ს. 32, გვ. 11; ს. 32, გვ. 69; ს. 49, გვ. 124; ს. 120, გვ. 53, ს. 122, გვ. 98 და ა. შ.

მსგავს ქარგაზე აგებული სატრაფიალო გაბაასება ერთ-ერთი გავრცელებული სახეა აჭარულ ზეპირსიტყვიერებაში.<sup>36</sup> სატრაფიალო ლირიკის ძირითად უანრებზე საუბრისას პროფ. ელ. ვირსალაძე ამგვარ ნიმუშებს „გაბაასების“ ქვეუანრში ათავსებს და ლირიკაში აერთიანებს.<sup>37</sup> გაბაასების მსგავს ნიმუშებს ერთგვარი სიუჟეტური ფორმულაც აქვს: ვაჟი ემუდარება ქალს სიყვარულს, ქალი უარზეა, მაგრამ ბოლოს თანხმდება მას.<sup>38</sup> დასახელებული ნიმუშების სიუჟეტურობა, აგრეთვე მათი მოცულობა, ტექსტებში ჩართული პოეტური ჭონოლოგების სიხშირე უფლებას გვაძლევს შევნიშნოთ, რომ დიალოგური ფორმის ამგვარ პოეტურ ტექსტებს ეპიკური უნირისაკენ მიღრეკილებაც გააჩნიათ. ხოლო განზრახ უარისა და განზრახ თავშეკავების ხერხი ხშირად თვითონ ხდება მიზეზი სიუჟეტის გაგრძელებისა. გაბაასების უმეტესი ნაწილისათვის ძნელი არ არის ეპიკური ნაწარმოებისათვის დამახასიათებელი ისეთი სიუჟეტური ნაწილების გამოყოფა, როგორიცაა: ექსპოზიცია, კვანძი, კულმინაცია, კვანძის გახსნა და სხვა. შესაძლოა სწორედ სატრაფიალო გაბაასების ამგვარი ნიმუშების შემდგომი განვითარებისა და გავრცობის შემდეგ მივიღეთ ზეპირსიტყვიერებაში ეპიკური პოეტური ნაწარმოებები, სადაც მოქმედი გმირები (მობაასენი) ხალტური ნაწარმოებისათვის დამახასიათებელი ზოგად-კონკ-

37 ელ. ვირსალაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 289.

38 იქვე.

რეტულობიდან, უშუალოდ, კონკრეტულობამდე ანუ ლიტერატურის ენით რომ ვთქვათ, ე. წ. ტიპამდე ამაღლდენ (ეთერი, აბესალომი, ხვარამზე, ვაჟიქა და ა. შ.). გაბაასების ნიმუშებს ამ ნიშნების გათვალისწინებით ლირიკულ და ეპიკურ უანრებს შორის ერთგვარი შუალედური ადგილი უკავიათ.

**ვ. ვაჟის სატრფიალო ქადილი.** გაბაასების ზოგიერთ სახეში ხვეწნა-მუდარის გვერდით გვხვდება მუქარაც. ამ მხრივ საყურადღებოა ცნობილი „გოგოვ შეჩერდი ერთ წამა“-ს აჭარული ვარიანტი. როცა ქალი საუკეთესო დაპირებებზე უარს ამბობს:

- წყლის მაგივრად ვასვამ რძესა,
- არ მინდა.
- დაგანაცვლებ ყველაფერსა,
- არ მინდა...

მოთმინებიდან გამოსული ვაჟი მუქარაზე გადადის:

- აგითხრებ ყველაფერსა,
- ვაიმე ბიჭო.
- სახლს დაუუწევ მიმაშენსა,
- არა ბიჭო.
- მუსრს გავავლებ თვეა-ქერსა,
- არა ბიჭო.
- საძოვარზე ცხვარს დაგივლავ,
- რათა ბიჭო...<sup>39</sup>

ამ შემთხვევაში ქალი სწრაფად იხევს უკან. ამოძანილები „რათა ბიჭო“, „ვაიმე ბიჭო“, „არა ბიჭო“... გულის მოლბობას მოასწავებს, რასაც შემდგომ ჩვეულებრივ სატრფოთა შერიგება მოსდევს.

39 ბსკი, ფ. 1, ს. 119, გვ. 57-60.

ვაჟის მუქარა ყოველობის როდი აღწევს მიზანს. გთხოვთ მაგალითები ზოგ ნიმუშში ქალი ასაკოდება ვაჟს, რომ მუქარით ვერაფერს დააკლებს და აზრს ვერ შეაცვლევინებს, თუ ეს მისი ნება არ იქნება. მაშინ ვაჟი თავად მიღის დათმობაზე, რასაც შემდეგ მოსდევს ქალის გულმოწყალება და ვაჟის სურვილის შეწყნარება-გაზიარება.<sup>40</sup>

ქალის პასუხი ერთნაირად მტკიცეა ყველას მიმართ, ვინც არ უნდა იყოს მისი მოძალადე. ცნობილია, მაგალითად, მეფე ერეკლესა და გლეხის გოგოს პოეტური დიალოგი, სადაც გაოცებას იწვევს ქალის თამამი პასუხი მბრძანებელი მეფის მიმართ:

- ნეტავი, ქალო, ვიცოდე, მთიდან მოხვალ თუ ბარათა, ყურძნის საკრეფად ყოფილხარ, ხელში გიჭირავს ქალათა, შენმა თვალმა და წამწამმა მე გული გამიხალვათა.
- მეფენი ბევრი მინახავს, რომ მოდიოდნენ ჯარათა, შენ ჩემს თას აბა ვინ მოგცემს და ვერც წამიყვან ძალათა.<sup>41</sup>

როგორც ვხედავთ, ქალი გრძნობს რომ იგი პრივილეგიური მხარეები და ამის გამო მისი პასუხი ერთობ თამამია. აქ მთელი სიცხადით ჩანს საუკუნეობით შექმნილი აზრი, რომ სიყვარული ერთნაირად ძლიერია მდიდარზეც და

40 ბსკი, ფ. 1, ს. 2, გვ. 167; ის. აგრეთვე ვარიანტები: ბსკი, ფ. 1, ს. 174, გვ. 239-243; ს. 185, გვ. 39 და ა. შ.

41 გოგოვ შეჩერდი ერთ წამა, თბ., 1966, გვ. 89.

ღარიბზეც, მეფეზეცა და გლახა-  
კეცც.

გაბაასებაში თავშეკავება და  
მუქარა არ ეშვება უბრალო პო-  
ზოორინბამდე, იგი მოვაგონებს  
ცონბილ აფორიზმს, „ვარდი უეკ-  
ლოდ არავის მოუკრეფია“-ო. სი-  
ყვარული ადამიანურ გრძნობათა  
შორის ერთ-ერთი უმთავრესი და  
უწმინდესია, ხოლო, სატრფია-  
ლო გაბაასებაში არსებული წინა-  
აღმდეგობებიც ამ გრძნობის თან-  
მხლები ასოციაციების რთული  
ანარეკლი უნდა იყოს და არა უბ-  
რალო სიტყვის მასალა ან პოზიო-  
რობა. გაბაასების ნიმუშებში  
მცგავის ექსცესები უტვად მოიპო-  
ვება სხვა ხალხთა ზეპირსიტყვიე-  
რებაშიც. ასეთია, მაგალითად,  
ფრანგულ, პროვანსულ ფო-  
ლკლორში არსებული პასტორა-  
ლები.

პროფ. ელ. ვირსალაძე ჩვენე-  
ბურ ქალ-ვაჟის გაბაასებას ადა-  
რებს იტალიურ ხალხურ სატრ-  
ფიალო პოეზიაში არსებულ ტე-  
ქსტს — contrasto-ს, რომელიც  
შექმნილია უცნობი უონგლიორის  
მიერ მე-13 საუკუნეში. ტექსტი  
წარმოადგენს ქალსა და ვაჟს შო-  
რის დავას, სადაც ჩვენს მიერ ზე-  
მოთმოტანილი მაგალითები ის  
მსგავსად ერთმანეთს ენაცვლება  
თხოვნა, მუქარა და დაქადნება.  
ამდენად, „ეს არ არის მანერული  
პასტორალი, ან მიამიტი გლეხი ქა-  
ლისა და ვაჟის უხეში ხუმრობა.  
აյ გრძნობათა სინატიფე და სიმ-

ძაფრე ტრაგიულ სიმაღლეს აო-  
წევს“.<sup>42</sup>

„გოგოვ შეჩერდი ერთ წამა“-ს  
გავრცელებულ ქართულ ვარიან-  
ტში არ გვხვდება ვაჟის მუქარა  
ქალისადმი ან მისი მშობელ-ნა-  
თესავებისადმი. პირიქით, ვაჟი  
„იმუქრება“ რომ ავნებს საქუთარ  
თავს. ვაჟი ცდილობს თავი შეაბ-  
რალოს ქალს, ოდნავ მაინც თუ-  
დეირფასია მისი სიცოცხლე, და-  
თანხმდეს სიყვარულზე. ხოლო,  
ამის შემდეგ ისევ ვეღრებაზე გა-  
დადის.<sup>43</sup>

გაბაასების აჭარულ ვარიანტში  
კი, პირიქით, კულმინაციას ქმნის  
ქალისადმი მუქარა. მასში ასახუ-  
ლია ქართულ სინამდვილეში კარ-  
გად ცნობილი ქალის „წაგვრის  
წესი“,<sup>44</sup> რასაც აჭარაში მოტაცება  
(„მოტაცნა-მოპარვა“)<sup>45</sup> ეწოდება.  
ხოლო ვაჟის მუქარა აჭარულ ქო-  
რწილში წარსულში არსებული

42 ელ. ვირსალაძე, დასახელებული  
ნაშრომი, გვ. 289.

43 გოგოვ შეჩერდი ერთ წამა, თბ.,  
1966, გვ. 96-97.

44 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამარ-  
თლის ისტორია, წ. 1, ტფ., 1928, გვ.  
161-164.

45 თ. სახოვია, აჭარა, მოგზაურობა-  
ნი, თბ., 1950, გვ. 140; ალ. მსხალაძე,  
აჭარის საოჯახო-საწესხვეულებო პოვ-  
ზია, ბათ., 1969, გვ. 37; მ. ბეჭაა, ძვე-  
ლი და ახალი საქორწინო ტრადიციები  
აჭარაში, ბათ., 1974, გვ. 52-56.

„გევეზობის“<sup>46</sup> თავისებურ ანა-  
რეკლს უნდა წარმოადგენდეს.  
აჭარულმა ყოფამ შედარებით  
სრულად შემოგვინახა პატრიარ-  
ქალური ყოფის ისეთი გამოვლი-  
ნებანი, როგორიცაა ქალის მო-  
ტაცება, „გევეზობა“ და სხვა.  
სწორედ ამანაც განაპირობა აჭა-  
რულ გარიანტში ძალადობის ნიშ-  
ნების შესვლა. „გევეზობა“ ჩვეუ-  
ლებრივ ქალის მხლებელთა (მაყა-  
რთა) ან მდევართა მიერ ხდებო-  
და. აქ კი საქმე გვაქვს საინტერე-  
სო მომენტთან, როცა ვაჟი არ  
კმაყოფილდება სატრაფოს გატა-  
ცებით და სხვა ახალი ძალადობი-  
თაც იმუქრება.<sup>\*</sup> ამდენად, „გევე-  
ზობას“ აღვილი უნდა ჰქონოდა  
არა მარტო ქალის მაყართა მიერ,  
ქორწილიდან უკან დაბრუნები-  
სას, არამედ ვაჟის მაყარის მიე-  
რაც ქალის წაყვანის (უმეტესად  
ქალის გატაცების) დროს და იგი  
იმ წინააღმდეგობას უნდა ასახავ-  
დეს, რაც მუდამ თან ახლდა ამა-  
თუ იმ ტომში შემავალ ქალთა გა-  
სხვისებას, მის უცხო ტომში გა-  
დასვლას გათხოვების მიზნით.

<sup>46</sup> ქალის მაყრები შინ წასვლისას  
თოფს ესროდნენ შინაურ ფრინველებს,  
არცევლნენ ღობებს, ზოგჯერ ნალიასა  
და სხვა მეორეხარისხოვან შენობებს,  
ცეცხლს უკიდებდნენ ჩალის ზვინებს და  
ა. შ. „გევეზობა“ მიწნეულია ტომიბრი-  
ვი წყობილების დროს ქალის გატაცე-  
ბისას პატრონი ტომის მიერ მისი უკან  
წართმევის ინსცენირებად. ამ საკითხის  
შესახებ იხ. ალ. მსხალებე, დასახელე-  
ბული ნაშრომი, გვ. 99; აგრეთვე, გაზე-  
თი „ფუხარია“, 1925 წელი, დ. გომჩე-  
ლიძის წერილი „აჭარულთა ყოფაცხვ-  
რება“.

4. ორმხრივი თანაგრძნობა. გვ-  
ბაასების ნიმუშთა ერთი ნაწილი-  
სათვის ნიშანდობლივია არა ქალ-  
ვაის სიტყვა-პასუხის შინაარსო-  
ბლივი დაპირისპირებ ბულობა,  
არამედ, პირიქით, ამ სიტყვა-პა-  
სუხში ჩაქოვილი სურვილის თა-  
ნხვდენა. ამის გამო დიალოგში  
გამოირიცხება წინააღმდეგობა და  
საქმე გვაქვს არა გაბაასება-კამა-  
თთან, ანდა გაბაასება-„წაკიდე-  
ბასთან“, არამედ გაბაასება-ურ-  
თიერთგაეგბასა და შეხმატკბილე-  
ბასთან.

გაბაასების ამგვარ ნიმუშებს  
უპირველესად სასიმღერო დანი-  
შულება აქვთ. მათი შესრულება  
ხდება ფანდურზე, ჩინგურზე და  
სხვა საკავშზე. ზეპირსიტყვიერე-  
ბაში გვხვდება ვარიანტების სა-  
ხით და მათვის საზოგადოდ და-  
მახასიათებელია ქალ-ვაჟის გრძ-  
ნობათა ურთიერთთანხვდენა.<sup>47</sup>

5. არაჭეშმარიტი სიყვარულის  
გმობა: გაბაასებას ყოველთვის ბე-  
დნიერი დასასრული არ აქვს. ეს  
უმეტესად შეიმჩნევა მაშინ, როცა  
რომელიმე ჭეშმარიტ სიყვარულს  
გადაუხვევს და ხალის გრძნობას  
ანგარიშიანობა ჩრდილავს.

მსგავს გაბაასებას აშკარად ემჩ-  
ნევა დაპირისპირებულობა, ხო-  
ლო ქალის მკვახე პასუხის შემ-  
დეგ საბოლოოდ ვაჟი აღარც ეპა-  
სუხება, რითაც მინიშნებულია გა-  
ბაასების უარყოფით შედეგზე.  
ძნელი სათქმელია იყვნენ თუ არა

<sup>47</sup> ბსკი, ფ. 1, ს. 2, გვ. 210; ს. 8, გვ.  
41, ს. 27, გვ. 3; ს. 32, გვ. 19, ს. 174,  
გვ. 242 და ა. შ.

შევვარებულები ამგვარი გაბაა-  
სების პირველი შემქმნელი —  
თუ შემსარულებელი. იგი განზ-  
რახ შექმნილს უფრო ჰგავს, სა-  
დაც დაძრახულია ანგარებაზე და-  
მყარებული სატრფიალო ურთი-  
ერთობა, რომ მსგავსი რამ სიკე-  
თის ნაყოფს ვერ გამოიღებს.

ამგვარი გაბაასებანი საქმაო  
რაოდენობით მოიპოვება აჭარულ  
ზეპირსიტყვიერებაში.<sup>48</sup> მათში  
დაგმობილია უმტკიცო სიყვარუ-  
ლი და ანგარიშიანი მოტრფიალე-  
ნი. ამ შინაარსის გაბაასებანი პო-  
პულარულია ხალხში, სრულდება  
ხშირად და ერთგვარი დიდაქტი-  
კურ-ალმზრდელობითი ღირებუ-  
ლება გააჩნია.

6. ეროტიკული გაბაასება. სატ-  
რფიალო გაბაასების ზოგ ნიმუშ-  
ში ვაჟის მიერ საწყისში გამომჟ-  
ღვნებული ფაქტი სულიერი გრ-  
ძნობა თანდათან მკრთალდება და  
ხორციელი. სიამოვნებისაკენ მიი-  
წევს. ამ შემთხვევაში გაბაასება  
გამოდის უბიშოების წმინდა სა-  
მოსელიდან და ვნების მქრქალ  
საფარველში ეხვევა. ხოლო ვაჟი,  
გადადის რა სიყვარულის ზეციუ-  
რი უმანქოებისა და უკარებლო-  
ბის გრძნობას, თვით იღებს ინი-  
ციატივას აშკარა ეროტიზმისაკენ.  
ამგვარ გაბაასებაში მოცემული  
იაფეთასიანი „დავა“ და „განსხა“  
გაბაასებას თითქმის ჰეშმარიტე-  
ბასაც უკარგავს. სიყვარულის  
გრძნობაზე ხომ ლაპარაკიც უხე-  
რხული ჩანს, რაღაც ასპარეზი

ვნებას დათმობია. საინტერესოა,  
რომ გაბაასების დატერმულული  
ჩვეულებრივ, დადებიტობის მიზან  
ლია, პირველხანებში ქალი უა-  
რზეა, მაგრამ შემდგომ ორივე  
მხარეში თავს იჩენს შემხვედრი  
გრძნობები და ქალი საბოლოოდ  
ემორჩილება ვაჟს. მსგავს ნიმუ-  
შებში<sup>49</sup> ეროტიზმი უნდა წარმოა-  
დგენდეს საწესჩვეულებო საგა-  
ზაფხულო დღეობებისა და საქო-  
რწილო სიმღერების ძველი ორ-  
გიაზმის ანარეკლს. როგორც  
ცნობილია წარსულში მას ნაყო-  
ფიერების გამომწვევი მაგიის და-  
ნიშნულება ჰქონდა და სრულდე-  
ბოდა გუნდის მიერ ფერხულის  
სახით. შემდგომში, ქრისტიანუ-  
ლი სარწმუნოების შემზღვდველი  
როლის გამო ორგიაზმი შესუსტ-  
და, გუნდური სინკრეტიზმი დაი-  
მალა და მისან ორი სოლისტის  
შეჯიბრება გამოიყო. სოლისტების  
გაშაირებაში შემორჩენილი თავ-  
შეცვავებლობა და შიშველი სექ-  
სუალური გადახვევები გუნდუ-  
რი სინკრეტიზმის დროს არსებუ-  
ლი ნაყოფიერების მაგიის ცვალი-  
შვევი თრგიაზმის გაღმონაშო  
უნდა იყოს, რომელიც ყველაზე  
კარგად სწორედ სატრფიალო გა-  
შაირებამ და გაბაასებამ შემოინა-  
ხა.

ელ. ვირსალაძე ყურადღებას  
იქცევს ქართულ ხალხურ პოეზია-  
ში გავრცელებულ უწმაწურ შაი-  
რებს. ავლებს რა პარალელს ბერ-

49 ბსკი, ფ. 1, ს. 114, გვ. 10, ს. 7, გვ.  
154; ს. 118, გვ. 10, აგრეთვე, ს. 127,  
გვ. 25-28 და ა. ვ.

ძნულ იამბიკურ პოეზიასთან, ვა-  
რაუდობს, რომ მათაც კავშირი  
უნდა ჰქონდეთ ნაყოფიერების  
მაგიასთან. ამგვარი ცალფა შაი-  
რები აჭარულშიც დიდი რაოდე-  
ნობით მოიპოვება, რომელთა დი-  
დი ნაწილი გამაირებისა და გაბა-  
ასების ტექსტებიდან უნდა იყოს  
მოწყვეტილი.

7. **სოციალური წინააღმდე-  
გობების ამსახველი სატრფიალო  
გაბაასება.** ისევე, როგორც ზე-  
პირსიტყვიერების სხვა ქანრებში,  
გაბაასებაში წარსული ცხოვრების  
სოციალური წინააღმდეგობანიც  
აისახა. გარდასულ ღრმში ქალ-  
ვაუის სიყვარულის ბედნიერად  
დაგვირგვინებას ხშირად ხელს  
უშლიდა ქალის თხოვა-გათხოვე-  
ბის საქმეში მშობლებისა თუ ბი-  
ძის როლი და მომავალი ოჯახის  
შექმნისას მატერიალური დაინ-  
ტერიერება. ამას ზედ ერთვოდა  
ზოგჯერ გვართა თუ ოჯახთა შო-  
რის მტრული დამოკიდებულება,  
რაც უარყოფით გავლენას ახდე-  
ნდა ქალ-ვაუის ნებაყოფლობით  
ურთიერთობაზე. ხშირად ქალს  
ათხოვებდნენ სურვილის წინააღ-  
მდეგ და იგი იძულებული იყო  
გულში ჩაეკლა ტრთობა.<sup>50</sup> ძალ-  
დატანებით სხვაზე გათხოვილი  
ქალი შესაბრალისად აღიარებს  
თავის უმწეობას, რომ მას არ შე-  
უძლია თანაგრძნობა გაუწიოს  
ვაუს. ამგვარი გაბაასების ნიმუშე-  
ბში აქარავდება ძველი ცხოვრე-

ბის სოციალური უკულმართობა-  
ნი.<sup>51</sup> ქალის თხოვა-გათხოვებაში  
ძალდატანება სოციალურად უც-  
როვ ფენებში შეინიშნებოდა. აჭა-  
რელი აღა-ბეგები საკუთარი გავ-  
ლენისა და პრესტიუსის ასამაღლე-  
ბლად ზოგჯერ თვითმიზნურად  
ათხოვებდნენ თავიანთ ასულებს.  
ამის დამადასტურებელია გაბაა-  
სება, რომელიც „ესმერ ხანუმის  
ლექსის“<sup>52</sup> სახელწოდებითაა ცნო-  
ბილი. ესმერ-ხანუმი ქედელი ოს-  
მან-აღას ასული ყოფილა, რომელ-  
საც შეჰყვარებია ახალგაზრდა ბე-  
გი ქაზიმი. მამას ასული გავლე-  
ნიანი დანდალოელი ბეგის, ხუ-  
სეინის შვილზე, მემეღ-აღაზე გა-  
უზოხვებია. ქაზიმ-ბეგი დიდად  
განაწყენებულა ამ ამბავზე, მე-  
ქორწილებს გაჰყოლია და ეს-  
მერ-ხანუმის მოტაცება გადაუწ-  
ყვეტია, რის გამოც დიდი ამბავი  
დატრიალებულა. „ნამდვილი ამ-  
ბავია, ამ საქმეზე, ეჭიდი შვილო,  
რა ჰალობა იყო“<sup>53</sup> — დასძენს  
მთქმელი. მომხდარი ამბავი გახმა-  
ურებულა და ხალხს მასზე დია-  
ლოგური ხასიათის ვრცელი ლე-  
ქსი გამოუთქვამს. გაბაასება უ-  
ღრესად ღრამატული შინაარსისაა,  
რომელშიც მთელი სისრულით  
ჩანს სოციალური წინააღმდეგო-  
ბებით გამოწვეული სულიერი  
ტკივილები.

გაბაასება შედგება გრძელი დი-

51 ბსკი, ფ. 1, ს. 23, გვ. 163; იხ. აგ-  
რეთვე, ბსკი, ფ. 1, ს. 116, გვ. 45.

52 ბსკი, ფ. 1, ს. 32, გვ. 89, 1959.

53 იქვე.

50 ა. ბექაა, დასახელებული ნაშრო-  
ბი, გვ. 23.

ალოგებისაგან, მასში გარდა ქალვაურისა მონაწილეობენ ვაჟის მშობელი, მაყარი, მემედალა, რომელსაც ძალად რთავენ ესმერ ხანუმს. გაბაასებაში გამოყვანილია ნამდვილი პიროვნებანი, რომელთაც თავს გადახდათ აქ მოთხრობილი ამბავი. ამდენად, მოქმედი გმირები ამჯერად არ ზოგადდებიან, არ ზოგადდება აგრეთვე მათი დრამატული სატრაფიალო ისტორია, თუმცა, იგი ერთგვარად მაინც გამოხატავს ყველა იმათ ბედსაც, ვინც საკუთარი სატრაფოს ნაცვლად უცხოსა და უნდოს ხვევნას ითმენდა და ეს მოთმენა ზოგჯერ სიცოცხლის ფასად უჯდებოდა. გაბაასებაში პერსონაჟთა მრავალფეროვნება, აგრეთვე მათი მონოლოგების ექსპრესიულობა გვაყიქრებინებს, რომ ტექსტი გამიზნული იყო თავისებურ დრამად, რომელსაც განსახიერების შემდეგ გარკვეული სანახაობითი ღირებულებაც ექნებოდა. შემუშავიში იგი დრამის სიმაღლემიდე არ ასულა და არც არსად განსახიერებულა, თუმცა, ხალხში კი გავრცელებულა და გაბაასების ფორმით სრულდებოდა.

8. დაბარებით ან წერილობით გაბაასება. ამგვარი ნიმუშები მოკლებულია უშუალოდ, პირისპირ შესრულების შეგრძნებას. ისინი დაბარებით, ან წერილობითი გაბაასების ქანრში ერთიანდება. ამის უფლებას გვაძლევს თვით ტექსტებში ჩართული სტრიქონები:

ვაჟი — შევარდენი, ცად ფრინვალე, გოგოც ერთი წერილს მწერას. დაბრძანდი და წამიკითხე დამარტინი  
სამაგიეროს რომ უბრუნებს, პასუხს გულის ფანცქალით ელო-ლება თვითონ ქალიც:

ქალი—...მე სიცოცხლე რაღად მინდა, პასუხს ველი, გენაცვალე, წიგნიც თუ მაღვ მომწერე, ულვაშებში გენაცვალე...<sup>54</sup>

დაბარებით თუ წერილობით გაბაასება საქართველოს სხვა კუთხეებისთვისაც არაა უცხო. მაგალითად, ფშავურ ხალხურ პოეზიაში გვხვდება სტრიქონები: „ა ეგ ლექს დაუბარებავ, იმედას, ტყისნაპირელსა“; „ლექსის საუბარ მეც ვიცი, ქალალის თისუა მიწერსა“<sup>55</sup> და ა. შ.

პროფ. ელ. ვირსალაძე ხალხურ სატრაფიალო ლირიკის უანრებზე საუბრისას გამოყოფს ე. წ. „სატრაფიალო წერილის“ უანრს<sup>56</sup> და შენიშვნაებს, რომ ესაა წერილით სიყვარულის ახსნა. ბუნებრივია, იგივე დანიშნულება აქვს დაბარებით და წერილობით სატრაფიალო გაბაასებასაც.

საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ ზეპირსიტყვიერებაში ამ სახის გაბაასების არსებობა საერთოდ ინტერესის საგნად აქცევს მას. თუ პროცესი ხდება დაბარებით ან მიწერ-მოწერით, მაშინ როგორლა ვრცელდება გაბაასე-

54 ბსკი, ფ. 1, ს. 32, გვ. 19, 1959.

55 იხ. გალექსება-გაშაირება და ფშაური კაფია, თბ., 1964, გვ. 7.

56 ელ. ვირსალაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 291.

ბის ზეპირი ტექსტი ლოგიკურ-  
კომპოზიციურად შექრული სა-  
ხით? სად, როდის და როგორ ერ-  
თიანდება ქალ-ვაჟის სიტყვა-პა-  
სუხი? ჩვენი აზრით, წერილით გა-  
ბაასება ქალ-ვაჟის თანხმობის შე-  
მდევ არაიშვრათად ალბათ საჯა-  
როდაც სრულდებოდა, რაც ხელს  
უწყობდა მის გავრცელებას ერ-  
თიანი სახით. როგორც პროფ. ელ.  
ვირსალაძე შენიშნავს, ამგვარი  
უანრი ქართულ ზეპირსიტყვიე-  
რებაში მოგვიანებითაა შემოსუ-

ლი. ამასთან, იგი მოკლებულია  
იმ საჯაროობას, რაც ჩვეულებ-  
რივ, ზეპირი გაბაასებისთვისაც  
დამახასიათებელი.

აქ განხილული გაბაასების ტექ-  
სტების მრავალფეროვნება, მათი  
მაღალმხატვრული და მაღალეს-  
თეტიკური შინაარსი და ფორმა  
ნათლად მეტყველებს ქართულ  
ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში სა-  
ტრფიალო პოეზიის მდიდარ. და  
ამოუწურავ ტრადიციებზე.

## კადიდოთ ქალი

ამ კრებულისთვის,\* ისე როგორც ქალთა საერთაშორისო წლისაღმი მიძღვნილი სხვა წიგნებისთვის, შეიძლებოდა წავეჭმლვარებია მაქსიმ გორჯის სიტყვები — „ვადიდოთ ქალი — დედა, სიცოცხლის უშრეტი წყარო!“.

თვით ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის თაოსნობით გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 1975 წელი ქალთა საერთაშორისო წლიდ გამოცხადა, ნათელს პეტენტს ქალის როლის განუხრელ ზრდას, მის საპატიო ადგილს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს მკაფიოდ ჩანს აჭარის მაგალითზეც. სარეცენზიონ კრებულის ავტორი გულაგულ შერჩეული ხელშესახები მასალების ანალიზის საფუძველზე გვეუპნება, რომ რასაც არ უნდა მივაყროთ თვალი, კველაფერში იგრძნობა ჩვენი ქალების — გულითა და მარჯვენით მართალი ადამიანების შრომითი შემართება, მაღალი ინტელექტი, საერთო სახალხო საქმისათვის თავდადება, სამშობლოს უზადო სიყვარული.

ჩვენი სახელოვანი ქალები — მეჩაიერები და მეციტრუსები, მეთამბაქოები და მეცხველები, ლაბორანტები, ტექნიკოვანები, დანადგარების ონერატორები, ელექტროამზების მემანქანეები, მკერავები, ინჟინერები, წარმოების ორ-

განიზატორები გვიჩვენებენ საზოგადოებრივი შრომისაღმი, სოციალისტური საკუთრებისაღმი კომუნისტური დამოკიდებულების მისაბაძ ნიმუშებს. ახლა არ იყოთხავთ რამდენი ქალი დგას აღამიანის სიცოცხლის სადარაჯოზე, რამდენი იღვწის სახალხო განათლებისა და კულტურის ფრონტზე, მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგში! მათი უბრალო ჩამოთვლაც კი შეუძლებელია, ამიტომ გულიკ კუნძე მეიონევლთა ყურადღების ცენტრში აქცევს კედლაზე უფრო წარჩინებულთ. პირველ რიგში იგი გვაცნობს ეკადემიკოს ქსენია ბახტაძეს, რომლის სახელთანც დაკავშირებულია ქართული ჩაის ახალი სელექციური ჯიშების გამოყვანა, ჩაის მცენარის ბიოლოგიის, სელექციისა და მეთესლეობის საკითხების დამუშავება. მისი მრავალი წლის ნაამაგარი „ზამთრის გმირი“ 20-25 გრადუს ყინვას უძლებს და მტკიცე საფუძველს უქმნის ჩაის კულტურის დანერგა-განვითარებას შომმერსებუბლივებში.

აჭარის მარტო ერთ სოფელში — ბობოყვათში 19 სოციალისტური შრომის გმირია. ამათვაზე 14 ქალია. მათ შორის აასქვეუნოდ სახელგანთქმული ნოვატორი მეჩაიერების ქონის გოგიტიძე — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, მრავალი დიდმნი-

\* გულიკ კიკნაძე, გული სავსეა სიხარულით, ბათუმი, 1975.

“ ସ୍ଵର୍ଗଲଙ୍ଘାନି ଫୁରୁମ୍ଭିଳି ମନ୍ଦବିଷୟେ । ଏହି  
କାହେଲଙ୍ଘାନି ଅଧିମିଳିନି ମାଗାଲିତୀଶ୍ଵର ଓହି  
ପ୍ରାଣରେ ଘରୀବୁରୀତଥାର୍ଥୀଙ୍କୁ, ଲାଗଲେବ ଦ୍ୱାରା  
ଯୁଦ୍ଧରେ ହିର୍ମଳି କାର୍ତ୍ତିଲାବନି ଶରମା,  
ଖରୁକର ଫାରତ ସାରଦୀଗୋଟିଥେ ଗାମ୍ଭୀର୍ଯ୍ୟରେ  
ମାତ୍ର ଜାଲି, କରମ୍ଭାଲିପ ଫାରିଲୁମାନ ଦାଲାନ  
ମହିରୁଦ୍ଧରେ ଗାନ୍ଧିପରିଲା କୁରାଳାଲୁରୀ ଦ୍ୱାରା  
ପ୍ରିଣନାଲୁରୀ ହାଗ୍ରାନୀ ସିମ୍ବିମ୍ବେ ।

გულიყო კინაძეს მკითხველის გულ-  
თან მიაქვს რესპუბლიკის კოლმეტურნეო-  
ბებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სამ-  
რაწმენო საწარმოებსა და მშენებლო-  
ბებზე მომუშავე მრავალი ეროვნების  
ქალთა სიხარული, რასც განაპირობებს  
ერთსულოვნება და მტკიცე დარაზმუ-  
ლობა პარტიის გარშემო, ურლევი მე-  
გობრობა, დასახული მიზნის სიცხადე  
და სიღიადე.

ବାନ୍ଧିମି ଓ ଶ୍ରୀଲିଙ୍କିନୀର ସାକ୍ଷେଳନବିଦୀ ବା-  
ପତନବିଦ୍ୟାରୁଦ୍ଧାବାସ୍ତୁଶ୍ଵର୍ଯ୍ୟବ୍ରାହ୍ମି ଓ ମନ୍ଦିରାବ୍ଲୟାନ୍ତିକା-  
ଶ୍ଵର୍ଣ୍ଣ କାର୍ଯ୍ୟକ୍ରମିକି, ସମ୍ପ୍ରଦୟବାଲି ଶାଖାଧରମନ  
ବ୍ୟାଗରତାନ୍ତର୍ଯ୍ୟବ୍ରାହ୍ମିକି, ଅକ୍ଷ୍ୟବିଶ୍ୱରୀର ହାତୀ ସାଦ୍ବ୍ୟତ-  
ତା ମେତ୍ରାଧର୍ମବିଦୀ ଓ ସେବା ଫାମ୍ୟଗାନ୍ କ୍ରମି-  
କ୍ରେତ୍ରିଯେବୀର ପ୍ରକ୍ରିୟାଲିଙ୍ଗବ୍ରାହ୍ମି ଶର୍ମିତା ଓ  
ଧର୍ମନିଲ୍ଲା ମିଳି ବ୍ୟାକ୍ରମି ଉଲ୍ଲେଖିତରୂପରୀତା ତୁ-  
ରାଜିକା ଚାର୍ଜନ୍ତର୍ଯ୍ୟବ୍ରାହ୍ମି କିମ୍ବା କାଲିକ ଶ୍ରମିକ-  
ମେତ୍ରିଯେବୀର ମାଲ୍ଲେବୀର ଗମନ୍ଧିଲିଙ୍ଗବ୍ରାହ୍ମିକି ଓ  
କ୍ରେତ୍ରିଯେବୀର କିରଣ୍ଦବ୍ରାହ୍ମି ଗ୍ରହମକଣ୍ଠେବ୍ରାହ୍ମିକି-  
ତଥାକି, ମିଳି ଲିଙ୍ଗବ୍ରାହ୍ମିକି ଅଧାରିତବ୍ରାହ୍ମିକିତବ୍ରାହ୍ମି.

မြိုင်ကြွေလျှော့ရှာစဉ်ပုံစံ အောင် လူ  
ဖြေဆုံးပဲ ၆၀၈၁။ ၂၀၁၃-ခုနှစ်၊ ဧပြီလ၊ ၁၅  
တနင်္လာ နေ့၊ ၁၁:၃၀ နာရီ၊ မြိုင်ကြွေလျှော့ရှာစဉ်  
အောင် လူ အောင် လျှော့ရှာစဉ် အောင် လူ အောင် လျှော့ရှာစဉ်

ଦେଖିଲା ଗମିରୀ ରେଣ୍ଡା ଶଲ୍ଲୁକ୍ତ ଅନ୍ଧର୍ଦ୍ଦୟ ତାଙ୍କି  
ରେ ତାଙ୍କି ମେଉଲଲେଶାନ ରୁ ପାଇଁଥିବା ଶ୍ଵରିଲ୍  
ତାନ ଏହାରୁ ରୁଦ୍ଧ ରୁଦ୍ଧ ଏହା ମାରନ୍ତିର ରେଣ୍ଡନ୍ଦିବି,  
ଏହାମେଇ ଶରମିବି ଗମିରୀପାଠା ଲ. ନ. ଡର୍ଜୁ-  
ନ୍ଦ୍ରୀବି ସାକ୍ଷେଳ୍ପେ ପାଇଁଥାବନ୍ତିଲ ଶ୍ଵରିଲାଶି ମାନ  
ଶର୍ମିନ୍ଦଲିନ ପୁରୁତ୍ବରୁବା ମେହିରୁ ଶ୍ଵରିଲ୍ଲେ-  
ଫିଲ ରେଣ୍ଡନ୍ଦିବି ଗାଲାକ୍ଷେତ୍ରରେବିତ ଗା-  
ନ୍ଦାନ୍ଦରେବା ମିଳ ମନମାଗାଲ ମେଅନ୍ତ ଶ୍ଵରି-  
ଲ୍ଲେରେବି ଏନ୍ଦାରିଶିଶି ପୁରୁଷ ମନ୍ଦରେତ୍ରିଲା  
ଏହି ତଥାତମିଶ୍ରିତ ତିରନା ହିବି ଉତ୍ତରଣି.

କେବଳ ଦ୍ୱାରା ପାଇଲୁ ନାହିଁ ଏହା କିମ୍ବା କିମ୍ବା  
କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା

ଶୁଣିମିଳି ଶ୍ରୀରାତି ତଥାଲ୍ପିନୀରମ୍ଭିତ୍ରାପା  
ତଥାଲ୍ପିନ ଶିଲ୍ପେବା,  
ମହିଳା ଉତ୍ସବାଲ୍ପଦି ଉତ୍ସବାଲ୍ପାନ୍ତି  
ଶିଲ୍ପିନ ପାନ୍ତିକାବେ,  
ଏହି ପରିପ୍ରେଷ ପାଲ୍ପେବି  
ସିଂହବାହି ରାଜୀ ସିଂହବାହି,  
ଖଳଗା ଉତ୍ସବାଲ୍ପଦି ମାତା ପାତ୍ରାଲ୍ପଦି  
ରା ପାତ୍ରାଲ୍ପିନାନ୍ତିକାବେ...

გალეთიონ ტაბიძის ამ სტრიქონებს,  
აგრეთვე სხვა პოეტების ლექსებს სარე-  
ცენზიონ კრებულში გარკვეული ემო-  
ციური ფუნქცია აქვთ დაკასრებული,  
„შრომის სურათებზე“, „ელფეროვან  
პანოდზე“ უფრო მყავიოდ აჩენენ ქალ-  
თა სახეებს, მძაფრად განვითარებინებენ  
„სიცოცხლის უშრეტი წყაროს“ ძალმო-  
სილებას.

## შურნალ „პოროჩის“ 1975 წლის ნომრების გინეარსი

### ართია

### აროზა

გამჭათოვი რასულ — სონეტები თარ-  
გმია გ. სალუქვაძემ, № 1.

გრიგოლაძე ზურაბ — საუბარი კითხ-  
ვის ნიშანთან (პოემა), № 1, ლექსები,  
№ 6.

დავითაძე ემენ — ლექსები, № 2.

ვარშანიძე გამია — ჰექა-ქუხილში გა-  
ვიჩნინე (ლექსი), № 3.

ზოიძე შოთა — ლექსები, № 4.

თეღორაძე დავით — ლექსები, № 5.

ონელიანი შალვა — წერილი დედა  
(ლექსი), № 3.

შელია იაკობ — ლექსები, № 3.

მალაშვილია ნესტორ — ჩემი გაზაფხუ-  
ლი (ლექსი), № 1.

შევია ქსენია — ლექსები, № 2.

სალუქვაძე გომრგო — მაისის წვიმა  
(პოემა), № 3.

სეიდიშვილი ლადო — სონეტების ვებ-  
რგიინი, № 4.

ტამიძე გალაკტიონ — მამულო, სიცო-  
პელე! (ლექსი), № 3.

უზრუნველისი ნუგზარ — ლექსები,  
№ 2.

ქათამაძე ჯემალ — ბალადა ბობოყვა-  
თელ ქალიშვილზე, № 1, დედა (ლექსი),  
№ 3.

შესტალვი ივან — მზე კავკასიის  
(ლექსი); თარგმან ფრ. ხალვაშვა.

ხალვაში ფრიდონ — ლექსები, № 6.

ხაჭიშვილი უშუუნა — ლექსები, № 5.

აბაშიძე მერაბ — პოეზიის ხანძრის ქა-  
ლიშვილი (მოთხრობა), № 4.

გორგოლაძე მიხეილ — მარცხი (მოთხ-  
რობა), № 1. საღაური საღმე გზასა (მო-  
თხრობა), № 3.

გუმბერიძე ოთარ — საზღვართან,  
ნარკვევი, № 6.

ვარშანიძე გამია — პატარა მონოლოგი,  
ოცნება ჩემს საყვარელ მსახიობზე (მი-  
ნიატურები), № 1; სიკვდილი სახელოვანი  
(ნარკვევი), № 2; ჩემი დელულეოთ (ჭრო-  
ნიერი), № 5, № 6.

ზედვინიძე ელიზბარ — სიყვარულის  
დაბადება (მოთხრობა), № 5.

ზოიძე შოთა — ფიქრის გორა (ნარკ-  
ვევი), № 1.

ლორია პარმენ — ფურცლები დღიუ-  
რიდან (მოთხრობა), № 3.

მოდებაძე ნოდარ — მას საუთარი  
თავისა სჭერა (მოთხრობა), № 2; პირვე-  
ლი ლექსი (მოთხრობა), № 5.

ქეთელაური სულხან — დილა (მოთხ-  
რობა), № 6.

უღნტი ნათელა — გაფრენილ არწივს  
მაგნებდა (მოთხრობა), № 4.

ჩაჩანიძე როდამ — გაქცევა (მოთხრო-  
ბა), № 5.

ძირკვაძე ნოდარ — თეონა (ნოველა),  
№ 2.

ჭგუბურია მურმან — პური (ნოველა),  
№ 2.

ქოხაძე გივი — გაგიმარჯოს, ადამია-  
ნო! (მოთხრობა), № 3.

ჭყველი ჯემალ — გთხოვთ, მესროლ-  
ო! (მოთხრობა), № 3, № 4.



## პრიტიკა და პუბლიცისტიკა

მეგრელიძე ოსებ — ნოდარ ღუმბაძის „დიდროს“ შესახებ, № 2.

ქურიძე შოთა — ომი და ლიტერატურა, № 2.

ჩავლეიშვილი ალექსანდრე — ღამწყებ მწერლებთან მუშაობის ზოგიერთი საკითხი, № 6.

## ჭრილები

დიდი მწერალი და მოაზროვნე, № 4.  
ახვლედიანი აზიზ — მემედ აბაშიძე, № 2.

ბერიძე მერაბ — ფოლკლორული ტრადიციები რომან „თუთარჩელაში“, № 5.

დავითაძე ემენ — სატრფიალო გაშინება-გაბასების ტრადიცია აჭარაში, № 6.

თურმანიძე თოარ — ქარიშხალი მთაში, № 2.

თავლიშვილი მურმან — სოფლისაკენ დაძრული ფიქრები, № 3.

კალანდარიშვილი ლევან — სოფელი და ფრონტი, № 2.

მხეალაძე ალექსანდრე — ხალხური მუსიკალური საკრავები აჭარაში, № 1.

ნაკაშიძე ჭემალ — ახალგაზრდული ენოუზიაზმით, № 1.

ნაცვალაძე დავით — დიდი მწიგნბარი და პოეტი, № 5.

სურმავა ნარგეზა — აჭარული დუღურების ლექსიკიდან, № 3.

სურგულაძე აბელი — უცნობი ფურცელები, № 1.

სურმანიძე რამაზ — „ერთხელ ვიხილეს“ ავტორის ვინაობა და ღვაწლი, № 4.

ქურიძე შოთა — საბჭოთა ლიტერატურის კლასიკოსი, № 3.

ჟავალაშვილი ვლადიმერ — რუსეთის პირველი რევოლუციის ასახვა ვარლამ რუხაძის პოეზიაში, № 4.

## ჩვენი პუბლიკაცია

დუმშაბე ნელი — ლადო ასათიანის ყმაწვილყალბის ფურცელები, № 5.

## სატირა და იუვორი

კასრაძე ქართლოს — მხარული კალიფოსკოპი, № 4.

## შიგნების მიმოხილვა

ა. ფუტკარაძე — ვადიდოთ ქალი, № 6.

იმ მრისხანე წლების ექო, № 3.

ღობორჯგინიძე ბენო — საყურადღებო ნაშრომი ესთეტიკის პრობლემებზე, № 5.

ი. სურგულაძე, ვ. მეტრეველი — პატრიოტული ნაშრომი, № 1.

შამელაშვილი რაციელ — პოეტის ტრაგიული ცხოვრების მართალი ფურცელები, № 2.

შენგელია მიხეილ — მნიშვნელოვანი ძეგლი, № 2.

6 210/211



ვაკე 40 სა. 3.

**ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

**„ЧОРОХИ“**

**ОРГАН СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ  
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ**  
**ИНДЕКС 76118**